

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი



მარიამ ნოზაძე

კორპორაციული საფარველის გარღვევა შეზღუდული პასუხისმგებლობისას  
საგადასახადო ვალდებულებისათვის თავის არიდების დროს  
(ამავდროულად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს N ას-1307-1245-2014  
გადაწყვეტილების კრიტიკისათვის)

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ბურდული

სამართლის დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის სრული პროფესორი

თბილისი, 2019

სარჩევი.....	2
აბრევიატურათა ნუსხა.....	5
<b>შესავალი.....</b>	<b>6</b>
<b>თავი I.....</b>	<b>10</b>
უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვა და პრობლემატიკა.....	10
1. დავის არსი.....	11
2. უზენაესი სასამართლოს პოზიცია.....	13
2.1 კომპანიის პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი.....	14
2.2 კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი .....	16
2.3 კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა .....	17
2.4 კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის ფორმა. სოლიდარული პასუხისმგებლობა .....	18
2.5 სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივი შედეგები .....	19
3. გადაწყვეტილების კრიტიკა .....	20
<b>თავი II გადასახადებისათვის თავის არიდება .....</b>	<b>21</b>
1. გადასახადებისათვის თავის არიდების სამართლებრივი შემადგენლობა .....	21
1.1 სამართალდარღვევის შინაარსი .....	25
2. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა .....	26
<b>თავი III პარტნიორის პასუხისმგებლობა .....</b>	<b>29</b>
1. იურიდიული პირის სამართალსუბიექტობა .....	29
2. ფიქციის თეორია .....	29
3. საზოგადოების ტიპები .....	30
4. entity და aggregate თეორიები .....	32
5. პასუხისმგებლობის ცნება .....	33
6. შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა .....	34

6.1 ქონების დემარკაციის პრინციპი .....	36
7. გამჭოლი პასუხისმგებლობა .....	37
8. პასუხისმგებლობისაგან დაცული მონაკვეთი - დოქტრინათა შეპირისპირება.....	39
9. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო კრედიტორები კორპორაციული საფარველის წინაშე .....	39
10. კორპორაციული საფარველი, როგორც ვალდებულებისათვის თავიდან არიდების საშუალება, კანონისმიერ კრედიტორებთან მიმართებაში .....	42
10.1 კომპანის სოციალური პასუხისმგებლობა .....	46
11. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ზოგადი წინაპირობები .....	46
12. პარტნიორის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები .....	50
13. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა გადასახადებისაგან თავის არიდების დროს .....	51
14. პარტნიორის პასუხისმგებლობის მოცულობა და სახე .....	52
15. შუალედური დასკვნა .....	53
<b>თავი IV. დირექტორის პასუხისმგებლობა .....</b>	<b>55</b>
1. დირექტორის ფიდეციური ვალდებულებები .....	55
1.1 გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა (Duty of care) .....	56
1.1.1 მართლზომიერი მოქმედების მოვალეობა .....	58
1.1.2 „სასარგებლო“ კანონდარღვევა .....	59
1.1.3 Business Judgement Rule, როგორც სამენარმეო გადანწყვეტილების თავისუფლება .....	61
1.2 ერთგულების მოვალეობა (Duty of loyalty) .....	65
1.2.1 დუმილის მოვალეობა (გერმანია) .....	65
1.2.2 ინტერესთა კონფლიქტი .....	66
2. ხელმძღვანელთა ბრალი .....	67
3. ზიანი და პასუხისმგებლობის მოცულობა .....	69
4. კრედიტორის უფლება მოთხოვნაზე .....	71
5. დირექტორის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები .....	72
6. შუალედური დასკვნა .....	74

<b>თავი V. სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობა</b>	75
1. სოლიდარული პასუხისმგებლობის ცნება და შინაარსი.....	75
2. სუბსიდიური პასუხისმგებლობის ცნება და შინაარსი .....	76
3. შიდა და გარე ურთიერთობა .....	79
4. ვალდებულებაში წილობრივი მონაწილეობა .....	79
5. პარტნიორისა და საწარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან ურთიერთობაში .....	80
6. დირექტორისა და საწარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან ურთიერთობაში .....	81
7. დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან მიმართებაში .....	81
8. დირექტორის, პარტნიორისა და საწარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან და კრედიტორებთან მიმართებაში .....	82
9. შუალედური დასკვნა .....	82
<b>დასკვნა</b> .....	83

## აბრევიატურათა ნუსხა

### ქართულ ენაზე:

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ა.შ	ასე შემდეგ
იხ.	იხილეთ
ე.ი	ესე იგი
სხვ.	სხვა
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

### ინგლისურ ენაზე

MBCA	Model Business Corporation Act
RMBCA	Revised Model Business Corporation Act
ALI	American Legal Institute

## შესავალი

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა მნიშვნელოვანი მონაპოვარია სამართლის ისტორიაში. სწორედ ეს ინსტიტუტია, რომელიც აძლევს პირებს სტიმულს, თამამად წამოიწყონ სამეწარმეო საქმიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს ეკონომიკაზე აისახება. კორპორაციის ამგვარი სტრუქტურა, დამფუძნებელ პარტნიორს, აძლევს საშუალებას, კომპანიის პასუხისმგებლობა, კრედიტორების წინაშე, კომპანიისავე ქონებით შემოფარგლოს, თავად კი დარჩეს დაკული მისი ვალდებულებებისაგან. თუმცა, ასეთი პრივილეგია, ყოველთვის თავის ტკივილია კრედიტორებისთვის, ვინაიდან, შესაძლოა, ერთხელაც, ასეთი საწარმოსგან, ვალდებულების შესრულება მოითხოვო და აღმოაჩინო, რომ ამისათვის, მას საკმარისი სახსრები არ გააჩნია. ასეთი შედეგი, სამეწარმეო საქმიანობის რისკებიდან გამომდინარე, ბუნებრივია და კანონის თვალშიც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. თუმცა, პრობლემა მაშინ იჩენს თავს, თუ კი პირები, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას, ბოროტად გამოიყენებენ და ამით კრედიტორებს აყენებენ უსამართლო ზიანს. იქ, სადაც არსებობს პრივილეგია, ასევე არსებობს ალბათობა იმისა, რომ მას, პირები, ბოროტად გამოიყენებენ. ასეთი ქმედების შედეგები, შეიძლება, განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდეს, როდესაც გადახდისუნარო საწარმოს კრედიტორი თავად სახელმწიფოა.

საგადასახადო ვალდებულებიდან გამომდინარე, გადასახადების გადამხდელად რეგისტრირებული პირი, ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადი, სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ. გადასახადებისათვის თავის არიდება, ქართული კანონმდებლობით, დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს. ამ დროს, პირები, გადასახადების დამალვით, თავს არიდებენ კუთვნილ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე, სახელმწიფო კი იმ კორპორაციული საფარველის წყალობით, რომლითაც საწარმოს უკან მოქმედი პირები იმოსებიან, შესაძლოა, დაზარალებული აღმოჩნდეს. ასეთი შედეგების წინააღმდეგ, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა ეფექტური ინსტიტუტია, რომლის გამოყენებაც, ქართული სამართლის პრაქტიკაში, უახლეს და უმნიშვნელოვანეს პრეცედენტს წარმოადგენს. ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის გამოცდილება მწირია, თუმცა, ამის მიზეზებს, საქართველოში განვითარებული მოვლენები, ნათლად წარმოაჩენს.

კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული საკორპორაციო სამართლის განვითარების პარალელურად, სხვაგვარად ვითარდებოდა მოვლენები საქართველოში, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველო წარმოადგენდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამართლის სისტემის შემადგენელ ნაწილს, რომელიც არ ცნობდა კერძო საკუთრებას, როგორც საკუთრების ფორმას და იგი აკრძალული იყო

კერძო პირებისთვის. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა კორპორაციული წარმონაქმნები და სავაჭრო საზოგადოებები იქმნებოდა და ვითარდებოდა, საბჭოთა კავშირის სამართლით, საწარმოებისა და მსგავსი საზოგადოებების ჩამოყალიბება მხოლოდ სახელმწიფოს უფლებამოსილება იყო და როგორც ვიცით, ერთადერთ მესაკუთრედ, მთელ საბჭოთა სივრცეში, სახელმწიფოვე გვევლინებოდა.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, როდესაც საქართველო გამოეყო ერთიან სივრცეს და კვლავ დამოუკიდებელ სუბიექტად შედგა, იგი დადგა მრავალი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე, კერძოდ გამოეთიშა იმ სავაჭრო სისტემას, რომელიც გარკვეული ორგანიზაციული მონესრიგებით აქამდე ფუნქციონირებდა და მარტო დარჩა იმ აუთვისებელი სივრცის წინაშე, რომელშიც, სხვა ქვეყნებს, უკვე ღრმად გაედგათ ფესვები.

„საზღვრების გახსნისა და გლობალიზაციის პროცესში ჩართვის შედეგად, ყოფილი საბჭოთა საწარმოები და მათი ხელმძღვანელები, ღია კონკურენციაში აღმოჩნდნენ დასავლეთის უდიდეს და უძლიერეს კორპორაციებთან, რომელთა ხელმძღვანელებიც თავიანთი ცოდნითა და გამოცდილებით, გაცილებით წინ იდგნენ, ვიდრე მათი კოლეგები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან.“<sup>1</sup>

პირველ რიგში, სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის, ანუ კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასვლის ფონზე, საჭირო გახდა ახალი რეალობისათვის შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება. გერმანელი სპეციალისტების დახმარებით, დაიწყო როგორც ახალ სამოქალაქო კოდექსზე, ასევე მენარმეთა შესახებ კანონზე მუშაობა<sup>2</sup> და ქვეყნის კონსტიტუციაში ასევე ჩაინერა მე-19 მუხლში,<sup>3</sup> რომელიც განამტკიცებს კერძო საკუთრების უფლებას. ამით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და სრულად შემოატრიალა ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა - სახელმწიფო სოციალისტური ტიპის რეჟიმიდან კაპიტალისტურ რეჟიმზე გადასვლით, რაც ბევრი სიახლისა და ახალი გამოცდილებების წინაშე აყენებდა ჩვენს სახელმწიფოს.

სწორედ აქედან იწყება მენარმეთა შესახებ კანონის ჩამოყალიბება და განვითარება. საქართველოში სამენარმეო სამართლის რეფორმა დაიწყო 1991 წლის 25 ივლისს „სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონით, რომელიც ნაბიჯი იყო სოციალისტური რეჟიმიდან კაპიტალისტურ რეალობაში. ამას მოჰყვა „ინდივიდუალური მენარმეობისა და ინდივიდუალური საწარმოს შესახებ“ 1992 წლისა და „შემღუდული პასუხისმგებლობის შესახებ“ 1993 წლის აქტები, საბოლოო, ერთიანი

<sup>1</sup>ჯანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006.48.

<sup>2</sup>ჯანტურია ლ., კანონის მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996, 33-34.

<sup>3</sup>საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი.

სახით კი საკორპორაციო სამართალი 1994 წლის „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ მიღებით ჩამოყალიბდა, რომელიც დღემდე განიცდის განვითარებას.<sup>4</sup>

მოქმედი კანონი არ არის ცალსახად გერმანული მოდელის ანალოგი, არამედ, ზოგიერთ საკითხში, იზიარებს ამერიკული მოდელის პრინციპებსაც,<sup>5</sup> შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს მოქმედი კანონი შერეული ტიპის მოდელია, რომელიც ცდილობს მოერგოს ქვეყნის ინდივიდუალურ რეალობასა და საჭიროებებს. თუმცა პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ კანონში ბევრი საკითხი დეტალურად არაა მონერგებული და ზოგიერთ თემაზე სასამართლოს უხდება მსჯელობა, რაც კანონის განვითარების პარალელურად, ერთგვარ სამოსამართლო პრაქტიკას აყალიბებს და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ეს პროცესი გავლენას ახდენს ქვეყნის სამართალწარმოების განვითარებასა და ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებაზე, რაც ერთგვარი ბიძგია საკორპორაციო სამართლის მიმართულებით აქტიური პროცესებისა და განვითარებისათვის.

დასავლეთის ქვეყნები წინ უსწრებდნენ ახალბედა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს, როგორც გაცხოველებული ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებით, ასევე სამართლის საუკუნოვანი განვითარებითა და ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკით. შესაბამისად, ამის შედეგია, რომ საქართველოს საკორპორაციო სამართლის სისტემა გამოირჩევა მწირი სამოსამართლო პრაქტიკითა და ღიად დატოვებული საკითხებით. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან საკითხს, წარმოადგენს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით<sup>6</sup> განსაზღვრული პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება, რომელიც არ განსაზღვრავს კონკრეტულად, თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ ბოროტად გამოყენებად და რა შემთხვევები შეიძლება დაკვალიფიცირდეს აღნიშნული მუხლით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ასეთი რედაქცია მისაღებია, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი ვერ გაითვალისწინებს კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენების ყველა შემთხვევას, შესაბამისად, ამ საკითხში სიცარიელის შევსება, ცალსახად, სამოსამართლო პრაქტიკით უნდა მოხდეს. ამასთან დაკავშირებით, ამერიკული და ევროპული ქვეყნების სამართალში უკვე არსებობს მდიდარი პრაქტიკა, რომლითაც შესაძლებელია ცალკეული წინაპირობების გამოყოფა, თუმცა საქართველოში საკორპორაციო სამართალი ახლა ვითარდება და სამართლის განვითარების

<sup>4</sup> ბურდული ი., სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007, 61-62.

<sup>5</sup> მაგალითად, როდესაც საქმე ეხება საზოგადოების დაფუძნებისთვის სანესდებო კაპიტალის თემას, რაც ამერიკული მოდელის მსგავსად, ე.წ. „ერთცენტრიანი საზოგადოების“ პრინციპს აყალიბებს და არ განსაზღვრავს კაპიტალის სავალდებულო ოდენობას, რაც წარმოუდგენელია გერმანიისა და კონტინენტური ევროპის სამართლის მოდელისათვის, რომელიც ერთგვარი კონსერვატიული და ბიუროკრატიული მიდგომებით გამოირჩევა.

<sup>6</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.



კუთხით, ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ამის დასტურია 2015 წელს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი ორი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება (საქმე Nას-1307-1245-2014<sup>7</sup> და საქმე Nას-1158-1104-2014),<sup>8</sup> რომელსაც აქამდე პრეცედენტი არ ჰქონია და რომელმაც დიდი დაინტერესება და გამოხმაურება გამოიწვია.

ამ ფონზე, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საქართველოს საკორპორაციო სამართალში პირველი შემთხვევა, როდესაც უზენაეს სასამართლოს მოუწია კორპორაციული საფარველის გარღვევის შესაძლებლობაზე მსჯელობა, რომელიც ეხებოდა გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევას. სასამართლოს მოუწია, შეეხებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სანარმოს სამართალსუბიექტობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ცნება და კორპორაციული საფარველის გარღვევის პრინციპი. ასევე, სასამართლომ იმსჯელა პასუხისმგებლობის მოცულობაზეც, რაც ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია და მთლიანობაში, გადასაჭრელ საკითხთან ერთად, აყალიბებს ერთიან მიდგომას მსგავს საქმეებზე და შესაბამისად, იმ საკითხის გადაწყვეტის ფორმულას, პრინციპს, რომელიც კანონმდებლობით არაა მოწესრიგებული და მთლიანად მიანდობს სასამართლოს გადასაწყვეტად.

მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისა და განვითარებული მსჯელობისა, საკითხის სპეციფიურობიდან და სიფაქიბიდან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, ვინაიდან, ასეთი გადაწყვეტილებები, სამართლის პრაქტიკის დანერგვის ერთგვარი წყარო ხდება, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აღნიშნულ თემაზე და საკითხის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო წრეები მას აქტიურად განიხილავენ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, ასევე, განხილულია ისეთი სპეციფიკური თემები, როგორცაა პარტნიორთა პასუხისმგებლობა, დირექტორის ფიდეციური ვალდებულებები, სანარმოს სამართალსუბიექტობის ცნების დაპირისპირება კორპორაციული საფარველის გარღვევის საგამონაკლისო წესთან, სანარმოს ხელმძღვანელი პირების პირადი პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის მოცულობა. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული დაინტერესება, აქტუალობა და კრიტიკა, იმსახურებს ყურადღებას და იმ საკითხების განხილვას, რომელზედაც საუბარია გადაწყვეტილებაში და რომელიც წინამდებარე ნაშრომში იქნება გაანალიზებული. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყურადღება და აზრთა სხვადასხვაობა, ასევე საკითხის მიმართ გამონვეული ინტერესი და პირველი პრეცედენტი ხდის წინამდებარე ნაშრომს აქტუალურს, ვინაიდან

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება Nას-1307-1245-2014.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014.

მიმოიხილავს მოცემულ საკვანძო თემატიკას და შეეცდება პასუხი გასცეს თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემატიკას, ამასთან შეეცდება, ჩამოაყალიბოს ერთგვარი რეკომენდაცია მსგავს საკითხებთან მიმართებაში განსახორციელებელ მიდგომებთან დაკავშირებით.

მოცემულ ნაშრომში, განხილული იქნება საწარმოს სამართალსუბიექტობის ცნება, შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც კონცეფტი, კორპორაციული საფარველის გარღვევა, მისი მნიშვნელობა და წინაპირობები, საზოგადოების ხელმძღვანელ პირთა - როგორც პარტნიორთა, ასევე დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი და მისი მოცულობა კრედიტორთა წინაშე. ასევე, დასავლეთის ქვეყნების მიერ შემუშავებული მიდგომებისა და ჩამოყალიბებული სამართლებრივი მოსაზრებების შეჯერებით, ნაშრომი შეეცდება ჩამოაყალიბოს წინაპირობები კორპორაციული საფარველის გარღვევისათვის, გადასახადებისაგან თავის არიდების დროს, ასევე იმსჯელოს საჯარო და კერძოსამართლებრივი ურთიერთობების გამიჯვნაზე, როდესაც პასუხისმგებელი საწარმოს კრედიტორს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანო - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლი იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური და იმსჯელოს საწარმოს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის მოცულობაზე, რომელიც გამომდინარეობს საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ურთიერთობებიდან. აღნიშნულ საკითხთა გამოსაკვლევეად, მიმოიხილული იქნება მნიშვნელოვანი პრაქტიკა და ნაშრომი დაეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ, ისტორიულ-სამართლებრივ, ემპირიულ და სამართლებრივ-ლოგიკური ანალიზის მეთოდებს და შეეცდება, ჩამოაყალიბოს მოსაზრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საგამონაკლისო წესის გამოყენების წინაპირობებზე გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევისათვის, განიხილოს და შეაფასოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს N ას-1307-1245-2014 გადაწყვეტილება და შეიმუშაოს ერთგვარი რეკომენდაცია მსგავს საქმეებთან მიმართებაში განსახორციელებელ მიდგომებზე.

ნაშრომმა, საბოლოო ჯამში, ხელი უნდა შეუწყოს, გადასახადებისაგან თავის არიდების შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის საწარმოს მმართველ პირთა მიმართ პასუხისმგებლობის - კორპორაციული საფარველის გაჭოლვის, როგორც საგამონაკლისო ინსტიტუტის გამოყენების პრაქტიკის განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

## **თავი I**

**უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვა და პრობლემატიკა**

კითხვას, თუ რამ გამოიწვია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა სამეცნიერო წრეებსა და პრაქტიკოს იურისტებში, რამდენიმე პასუხი შეიძლება ჰქონდეს. პირველი ესაა თემატიკის სენსიტიურობა და სიფაქიზე, ვინაიდან, როდესაც საუბარი გვინებს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორცაა ფიქციის თეორიის საფუძველზე აღიარებული იურიდიული პირის სამართალსუბიექტობა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი, ბენვის ხიდზე გავლასა საჭირო, იმისათვის, რომ ის კორპორაციული საფარველი გაირღვეს, რომლითაც კანონი ფარავს შეზღუდულად პასუხისმგებელ პარტნიორს. გარდა ამისა, გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკის შემუშავების კუთხითაც სანარმოებთან მიმართებაში, ვინაიდან აცალიბებს საკმაოდ მკაცრ მიდგომას, რომელიც იწვევს ერთგვარ დაუცველობის შეგრძნებას ადგილობრივ და უცხოელ მენარმეთათვის, ვინაიდან ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ საკმაოდ მძიმე პირობებში, თუ კი აღმოჩნდებიან პასუხისმგებლობის შეზღუდვით დაცული სივრცის მიღმა. გარდა ამისა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დაკისრებული პასუხისმგებლობის მოცულობა, რომელიც გარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, რომელიც გამოყენებული იყო პატიმრობის სახით, პასუხისმგებელ პირებს, გადასახდელ ძირ თანხასთან ერთად, დაეკისრათ, საგადასახადო კანონმდებლობით, გადასახადის გადამხდელთათვის დადგენილი საურავი და სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საგადასახადო ორგანოს მოთხოვნა.

საქმის არსისა და პრობლემატიკის უკეთ გააზრებისათვის, ქვემოთ, მოკლედ იქნება განხილული არსებული დავის ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული და განვითარებული პოზიცია თანხლებ კრიტიკასთან ერთად, შემდგომი მსჯელობის არეალის შემოფარგვლის მიზნით.

## 1. დავის არსი

საქმე ეხებოდათურქულ სანარმოს - შპს „ლ. 2009“-ს, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანას ახორციელებდა თურქეთიდან. სანარმოს ჰყავდა ორი პარტნიორი, რომელთაგან ერთ-ერთი, ასევე, ითავსებდა დირექტორის ფუნქციებს (ლ.ბ-ე) და ხელმძღვანელობდა სანარმოს. მეორე პარტნიორი (მ.ჭ-ე) კი იყო შემოტანილი საქონლის რეალიზატორი, ასევე აწარმოებდა მოლაპარაკებებს მომწოდებლებთან და თავადვე ითავსებდა ნავაჭრი თანხების კონტროლს.

კამერალური საგადასახადო შემონმების აქტის მიხედვით, სანარმოს დაერიცხა 786 657 ლარი და ხელმძღვანელ პირთა მიმართ დაიწყო გამოძიება დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდების ფაქტზე, რასაც, შემდგომ, მოჰყვა სასამართლოს გადაწყვეტილება და ისინი, სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, დამნაშავედ იქნენ ცნობილი. სააპელაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება უკვლელად დატოვა, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საქმე განსახილველად არ მიიღო.

საწარმოს ხელმძღვანელი პირების მიმართ არსებობდა პრეტენზია, რომ კომპანია არ აწარმოებდა ბუღალტრულ აღრიცხვას კანონის შესაბამისად და აღრიცხვა არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საქონლის რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და რეალიზებული საქონელი არ შეესაბამებოდა სალარო აპარატში ამოჭრილ მონაცემებს. კომპანიის მიერ მითითებული საქონლის სარეალიზაციო ფასები აბსოლუტურად შეუსაბამო იყო ბაზარზე არსებულ ფასებთან და ასევე, კომპანიას არ ჰქონდა ასახული საქონელი სრულად. შესაბამისად აღნიშნულისა, ადგილი ჰქონდა შემოსავლის შემცირების ფაქტს. უზენაესმა სასამართლომ, შემდგომში, ეს ქმედებები შეათვალა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება.

გარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, ვინაიდან, საწარმომ, მისთვის განსაზღვრულ ვადაში, არ გადაიხადა დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ, სსიპ შემოსავლების სამსახურმა სარჩელი აღძრა მოთხოვნით, რომ გადახდისუუნარო საწარმოს დავალიანება, რომელიც შეადგენდა საწარმოს ძირითად ვალს - 786 657 ლარსა და სარჩელის აღძვრამდე, ძირითად თანხაზე დარიცხულ საურავს - 1 436 713 ლარის ოდენობით, სოლიდარულად დაკისრებოდათ საწარმოს ხელმძღვანელ პირებს სრულად, პირდაპირ და უშუალოდ, რაც დაკმაყოფილდა მხოლოდ ძირითადი თანხის ნაწილში.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა, სააპელაციო სასამართლოში, მოითხოვა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება და საურავის დაკისრება, თუმცა ამ ნაწილში წარმოება შეწყდა, დანარჩენ ნაწილში კი გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უკვლელი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკითხი საურავის დაკისრების შესახებ არ იყო მისი კომპეტენცია, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“, „ვ“ და „ზ“<sup>9</sup> ქვეპუნქტებით, გადასახადების ოდენობის განსაზღვრის, სანქციების დანესების და მათი ამოღების უფლებამოსილება გააჩნიათ საგადასახადო ორგანოებს, მითუმეტეს, რომ ეს თანხა საწარმოს უკვე ჰქონდა დაკისრებული კანონიერი და შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციული აქტით, რომლის აღსრულების უფლებაც, თავადვე ჰქონდა აპელანტს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რეალურად, მისი აღსრულება შეუძლებელი იყო გადახდისუუნარო საწარმოს მიმართ.

ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აპელანტიცა და სასამართლოც ხელმძღვანელ პირთა ვალდებულების საფუძვლად განიხილავდა სსკ-ს 992-ე მუხლს,<sup>10</sup> რომლის

<sup>9</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“, „ვ“ და „ზ“<sup>9</sup> ქვეპუნქტი.

<sup>10</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-მუხლი.

თანახმადაც, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. შესაბამისად სასამართლო მიყენებულ ზიანად მიიჩნევა ძირითად თანხას, რომლის გადახდასაც თავი აარიდეს მოპასუხეებმა და რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენეს ზიანი. ამიტომაც, სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარიცხული საურავი არ განიხილა აღნიშნული მუხლის ქვეშ და მიუთითა, რომ საურავი, საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებისა<sup>11</sup> და მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილიდან<sup>12</sup> გამომდინარე, ეკისრებოდა გადასახადის გადამხდელს, ესე იგი თავად საწარმოს, რომელიც წარმოადგენდა შებლუდულად პასუხისმგებელ პირს.

სსიპ შემოსავლების სამსახურმა გაასაჩივრა გადანყვეტილება საკასაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ საურავი იყო ზიანის თანხის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი და რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია მის სამართლებრივ ბუნებაზე. მხარე მიუთითებდა საგადასახადო კოდექსის 272-ე<sup>13</sup> მუხლით დადგენილ საურავზე, რომელიც გამოითვლებოდა ძირ თანხაზე 0,06%-ის დარიცხვით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და ამგვარად, ერთის მხრივ, მოიაზრებდა იმ კომპენსაციას, რომელიც ადგებოდა ბიუჯეტს თანხის გადაუხდელობით, ხოლო მეორე მხრივ, ამავე კოდექსის 270-ე<sup>14</sup> მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით, საურავს განმარტავდა, როგორც პასუხისმგებლობის ზომას ჩადენილი სამართალდარღვევისთვის.

მეორე მხარე, ამაზე პასუხად, ისევ შებლუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმაზე<sup>15</sup> უთითებდა და საგადასახადო საურავის აღრესატად მიიჩნევა იურიდიულ პირს - საწარმოს.<sup>16</sup>

## 2. უზენაესი სასამართლოს პოზიცია.

უზენაესი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი მანევრი იყო, როდესაც მან კასატორის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად არა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, არამედ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი დაასახელა და თქვა, რომ აღნიშნული სამართლებრივი

<sup>11</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტი.

<sup>12</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>13</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლი.

<sup>14</sup>საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>15</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლი.

<sup>16</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
ნას-1307-1245-2014.

ურთიერთობა, სწორედ, ამ კანონით უნდა მოწესრიგებულიყო და ემსჯელა, ეკისრებოდათ თუ არა საწარმოს ხელმძღვანელ პირებს პასუხისმგებლობა საწარმოს ვალდებულების პირადად და უშუალოდ და იყო თუ არა კასატორი მოთხოვნაზე (ძირითად ვალსა და საურავზე) უფლებამოსილი.

ამასთან, რადგანაც, ძირითადი თანხის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში, გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, ვინაიდან, მოპასუხეებს არ გაუსაჩივრებიათ იგი, სასამართლოს მსჯელობა შეეხებოდა მოთხოვნილ საურავს. განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობის გამო კომპანიასთან და კრედიტორებთან, განსხვავებული იქნებოდა პარტნიორისა და ღირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ეკონომიკურ და ქონების გამიჯვნის პრინციპის სამართლებრივ მნიშვნელობაზე, ვინაიდან ერთი მხრივ, იგი იცავს პარტნიორის პირადი კრედიტორებისაგან საწარმოს, მეორე მხრივ კი - დაცულია პარტნიორი საწარმოს კრედიტორებისაგან. ამ პრინციპთან მიმართებაში, აღინიშნა, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ საწარმოს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (არანებაყოფლობითი) კრედიტორები, ვინაიდან ეს უკანასკნელნი, მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას (ე.წ. Bargaining power)<sup>17</sup>, განესაზღვრათ რისკები საწარმოსთან ურთიერთობაში შესვლამდე. ამიტომაც, ეს პრინციპი, არ ითვალისწინებდა კანონისმიერი კრედიტორების ინტერესებს, რომელთა რიგშიც, სასამართლო, ასევე, მოიაზრებდა საგადასახადო ორგანოსაც.

სასამართლომ მიუთითა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პოზიციაზე, რომ იგი დასაშვებად მიიჩნევდა, მიეთითებინათ სახელმწიფოებს საჯარო ინტერესზე, როცა საქმე ეხებოდა განსაკუთრებულ ზომებს გადასახადის გადამხდელთაგან გადასახადების ამოღებისას. ზოგიერთ ქვეყანაში, ასეთ ზომას ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა წარმოადგენდა, რისი პრაქტიკაც არ არსებობს საქართველოში.

## 2.1 კომპანიის პარტნიორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

ამის შემდგომ, მან იმსჯელა პარტნიორის პასუხისმგებლობის საკითხზე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, რომელიც უშვებს გამონაკლისს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპიდან, აღნიშნული სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებისას და აღნიშნა, რომ „საგადასახადო ვალდებულების კონტექსტში, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როცა კომპანიის პარტნიორების საქმიანობა მიმართულია გადასახადებისაგან თავის

<sup>17</sup> ტერმინი გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ ხელშემკვრელ მხარეებს გააჩნიათ ე.წ. მოლაპარაკების ძალაუფლება, რომლის დროსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ მეორე მხარესთან ხელშეკრულებაში შესვლის რისკები.

არიდების სქემების შექმნისკენ და კომპანია გამოიყენება, როგორც „ინსტრუმენტი“ გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის.“<sup>18</sup>

სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ნორმა უნდა განიმარტოს ფართოდ და კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენებამ უნდა მოიცვას არამხოლოდ კორპორაციის გამოყენება პარტნიორის მიზნის მისაღწევ „ინსტრუმენტად“, არამედ „შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის ბოროტად გამოყენებაც, რაც გულისხმობს ამ პრივილეგიის მართლოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგების სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.“<sup>19</sup>

შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ „შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება სახეზეა, როცა პარტნიორი უშუალოდ ხელმძღვანელობს და ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას, ანუ როცა საზოგადოება გამოიყენება არადეკლარირებული შემოსავლის მაგენერირებელი წყაროს დანიშნულებით.“<sup>20</sup>

ამასთან, პრაქტიკისათვის, მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომ კომპანიის პარტნიორების მიმართ სისხლის სამართლის განაჩენის არსებობა, საკმარისი არ არის მოპასუხეთათვის სადავო ვალდებულების უპირობო დაკისრებისათვის და რომ ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა მისთვის ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც უნდა გამოკვლეულიყო, ვინაიდან, საქმე განიხილებოდა არა სსკ-ს 992-ე მუხლის<sup>21</sup>, არამედ სპეციალური ნორმით - „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით<sup>22</sup> და შესაბამისად, არ გამოიყენებოდა სსსკ-ს 309<sup>17</sup>-ე მუხლის 1-ლი<sup>23</sup> და 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილები<sup>24</sup>, რომელთა მიხედვითაც, კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენში აღნიშნული ფაქტები მიიჩნევა დადასტურებულად. შესაბამისად, სისხლის სამართლის განაჩენი, სამოქალაქო სამართალწარმოებისას, როგორც მტკიცებულება, საჭიროებს სასამართლოს მიერ შეფასებას. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს გარემოებები, პირის ქმედებები და დადგინდეს, ქმნის თუ არა კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების კვალიფიკაციისათვის

<sup>18</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
ნას-1307-1245-2014.

<sup>19</sup>იქვე.

<sup>20</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
ნას-1307-1245-2014.

<sup>21</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

<sup>22</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>23</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>17</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>24</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309<sup>20</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საფუძველს და შესაბამისად, წინაპირობებს კოპორაციული საფარველის გარღვევისათვის.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის განაჩენის საფუძველზე დადგენილი ფაქტები და ის, რომ ადგილი ჰქონდა გადასახადების შემცირების ფაქტს, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია სავალდებულოდ, ვინაიდან, მოპასუხეებს, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა, არ გაუსაჩივრებიათ<sup>25</sup>.

## 2.2 კომპანიის დირექტორის პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი

დირექტორის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დირექტორის ფიდელიტეტ ვალდებულებებზე, რომელიც „სხვასთან ერთად მოიცავს დირექტორის მოვალეობას, საზოგადოების საქმეებს გაუძღვს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის („ზრუნვის მოვალეობა“)<sup>26</sup>

ვინაიდან, საწარმოს ძირითადი მიზანი მოგების მიღებაა, დირექტორთა საქმიანობაც მიმართულია ამ მიზნისკენ. საწარმოს ვალდებულებების მინიმუმამდე დაყვანა და შემოსავლისა და გასავლის მაქსიმალური ოპტიმიზაცია პრიორიტეტია ხელმძღვანელ პირთათვის. მოგების გაზრდის მიზნით, მათი გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მაღალი რისკის მქონე და მცდარიც, თუმცა დაცული „ბიზნეს გადაწყვეტილების მართებულობის“ პრეზუმფციით, რომელიც გულისხმობს, რომ „თუ ხელმძღვანელი კეთილგონიერების ფარგლებში მოქმედებს იმ რწმენით, რომ მისი გადაწყვეტილება მიღებულია საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით და ამ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ინფორმირებული იყო იმ ზომით, რაც მას, მოცემულ ვითარებაში, საკმარისად მიაჩნდა ამ გადაწყვეტილების შედეგებისათვის, კომპანიის დირექტორი დაცულია პირადი პასუხისმგებლობისაგან.“<sup>27</sup>

სასამართლოს მოსაზრებით, შეიძლება გადასახადებისათვის თავის არიდებით, იზრდებოდეს საწარმოს შემოსავალი, რაც შედის საწარმოსა და მისი ხელმძღვანელის ინტერესებში, თუმცა არსებობს ორი მიზეზი, რატომაც ცალსახაა, რომ ხელმძღვანელი

<sup>25</sup>საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>26</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>27</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
Nას-1307-1245-2014.



პირები ასეთ საქმიანობაში არ უნდა ჩაებან: 1. განმხორციელებლის პირადი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; 2. საწარმოსათვის მძიმე ფინანსური შედეგები. „მართებული ბიზნეს გადაწყვეტილების“ სტანდარტი დირექტორს აკისრებს ვალდებულებას, რომ არ ჩაერთოს გადასახადებისათვის თავის არიდების სქემაში.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემების განხორციელებისათვის პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანასკნელი ტენდენციებით, საწარმოს ხელმძღვანელების საჯარო ვალდებულებები, იმოქმედონ კანონის ფარგლებში, საწარმოს წინაშე შიდა ვალდებულებებად გარდაიქმნება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს დირექტორმა დაარღვია ფიდეციური ვალდებულება და შესაბამისად, საწარმოს წინაშე იყო პირადად პასუხისმგებელი.

სასამართლომ მიუთითა, რომ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით<sup>28</sup>, საზოგადოება ვალდებულია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება დირექტორისგან, როცა სახეზეა 1. საწარმოს ვალდებულება; 2. საზოგადოება გადახდისუუნაროა და 3. ანაზღაურება აუცილებელია სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.

დირექტორის პასუხისმგებლობის მოთხოვნა, საზოგადოების სახელით, შეუძლიათ როგორც საზოგადოების სხვა დირექტორებს, ასევე პარტნიორებსაც. ვინაიდან დირექტორის მიმართ ასეთი მოთხოვნა არ განხორციელებულა, სასამართლომ „მენარმეთა შესახებ“ კანონის იმავე პუნქტზე მითითებით, აღნიშნა, რომ ასეთ ვითარებაში, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს საზოგადოებას, დააყენოს დირექტორის პასუხისმგებლობა. ხოლო რადგან, მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელი პირები თავად არიან პასუხისმგებელი პირები და სასამართლომ მიიჩნია, რომ მათ მიმართ კრედიტორის ასეთ მოთხოვნას შედეგი არ ექნება, გამომდინარე ნორმის შინაარსიდან, მიანიჭა კრედიტორს უფლება, თავად მოითხოვოს ანაზღაურება დირექტორისგან.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ დირექტორის მიმართ, კრედიტორის ასეთი მოთხოვნა შეიძლება დადგეს მხოლოდ საზოგადოების გადახდისუუნარობისას, ე.ი. დირექტორის პასუხისმგებლობა, საწარმოსთან მიმართებაში და კრედიტორის წინაშე, სუბსიდიურია.<sup>29</sup>

### 2.3 კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა

<sup>28</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>29</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
Nას-1307-1245-2014.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პარტნიორსა და დირექტორს უნდა დაკისრებოდათ ძირითად საგადასახადო ვალდებულებასთან ერთად საურავის გადახის ვალდებულებაც, იმ გარემოებათა გამო, რომ: 1. პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას; 2. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების მტკიცებისაგან და მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი; 3. პირგასამტეხლო აქცესორული უფლებაა და დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულების არსებობაზე; 4. პირგასამტეხლოს აქვს ვალდებულების შესრულებისა და განცდილი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფი ფუნქცია, ამასთან წარმოადგენს სანქციას ვალდებულების დარღვევისათვის; 5. საურავი, ისევე როგორც ჯარიმა, წარმოადგენს პირგასამტეხლოს ერთ-ერთ სახეს; 6. დასაშვებია პირგასამტეხლოსა და ვალდებულების შესრულების მოთხოვნა კუმულაციურად; 7. საურავი იცავს კრედიტორის ინტერესს ვალდებულების დროული შესრულების მიმართ.

სასამართლომ გამოყო კანონისმიერი პირგასამტეხლოს თავისებურებები და აღნიშნა, რომ მას აქვს კონკრეტული ხასიათი, ვინაიდან აღგენს კონკრეტულ ოდენობას ან დარიცხვის წესს და იგი ნორმატიული აქტითაა დადგენილი. საურავის თავისებურებაა, რომ იგი განაგრძობს დარიცხვას ვალდებულების დარღვევის შემდეგაც. ვინაიდან, საურავი ერიცხება ძირითად თანხას ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, რაც მიმართულია ბიუჯეტის კუთვნილი თანხების გადაუხდელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისკენ, გამოყენებული უნდა იქნეს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლით<sup>30</sup> განსაზღვრული კანონისმიერი პირგასამტეხლო და დაეკისროთ იგი ხელმძღვანელ პირებს. ხოლო, რადგანაც საქმე გვაქვს კანონისმიერ და არა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოსთან, სასამართლოს არ შეუძლია მისი შემცირება სსკ-ის 420-ე მუხლის<sup>31</sup> საფუძველზე.<sup>32</sup>

#### **2.4 კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობის ფორმა. სოლიდარული პასუხისმგებლობა**

პასუხისმგებლობის ფორმასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიის პარტნიორებისა და დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე კომპანიის ვალდებულებებისათვის სუბსიდიურია, ხოლო ერთმანეთის მიმართ

<sup>30</sup>საგადასახადო კოდექსის 992-ე მუხლი.

<sup>31</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი.

<sup>32</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება  
Nას-1307-1245-2014.

შესაძლოა იყოს სოლიდარული, ვინაიდან ეს გამომდინარეობს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტებით.<sup>33</sup>

სასამართლომ იმსჯელა სოლიდარული ვალდებულების სამართლებრივ ბუნებაზე და სსკ-ს 462-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 463-ე მუხლის<sup>34</sup> შინაარსიდან გამომდინარე, დაადგინა, რომ სოლიდარული ვალდებულებისას ერთ-ერთ მხარეზე უნდა მონაწილეობდეს რამდენიმე პირი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია ვალდებულება მეორე მხარის წინაშე და ამასთან, თითოეულს მთლიანი ვალდებულების შესრულება ეკისრება. თუ კი ერთი მხარე დააკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას და ერთიან ინტერესს მათ მიმართ, ეს ნიშნავს ვალდებულების (გარე ურთიერთობის) დასასრულს კრედიტორის წინაშე. რაც შეეხება შიდა ურთიერთობას, ესაა ერთ მხარეზე მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობები ერთმანეთთან მიმართებაში და მათ აქვთ თანაბარი წილი ერთმანეთთან ურთიერთობაში, თუ მათ შორის სხვაგვარი შეთანხმება არ არსებობს. „შიდა“ ურთიერთობა კი „გარე“ ურთიერთობის შემდეგ ხდება აქტუალური.

სასამართლომ, ასევე, გამოყო სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები: 1. ხელშეკრულებით; 2. კანონით; 3. ვალდებულების საგნის განუყოფლობით.

საწარმოს ხელმძღვანელი პირები, სასამართლომ, სოლიდარულ მოვალეობად სცნო ერთმანეთთან მიმართებაში, კანონისმიერი საფუძვლით და დააკისრა მათ საგადასახადო საურავის გადახდა სოლიდარულად, თუმცა სუბსიდიურად, საწარმოსთან მიმართებაში. ასეთი ურთიერთობა გავრცელდებოდა ძირითად ვალდებულებაზეც, თუ კი ხელმძღვანელი პირები, გაასაჩივრებდნენ ქვედა ინსტანციით მათთვის დაკისრებულ სოლიდარულ პასუხისმგებლობას საწარმოსთან მიმართებაში.<sup>35</sup>

ეს ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი პირველად, უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს საწარმოს, ხოლო მისი გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ხელმძღვანელ პირებს სოლიდარულად.

## **2.5 სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივი შედეგები**

საბოლოო სახით, თუ კი შევაჯამებთ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას, მივიღებთ შემდეგი სახის სამართლებრივ შედეგებსა და სამოქმედო ფორმულას:

<sup>33</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი.

<sup>34</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

<sup>35</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება Nას-1307-1245-2014.

საგადასახადო ორგანოსა და საწარმოს, ასევე საწარმოს ხელმძღვანელ პირთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დარიცხული დავალიანების შესახებ, წესრიგდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

საწარმოს პარტნიორის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებისათვის.

საწარმოს დირექტორის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით, ფილუციური ვალდებულებების დარღვევისათვის.

სასამართლოსათვის სისხლის სამართლის განაჩენი წარმოადგენს ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომელიც საჭიროებს გამოკვლევასა და შეფასებას, საქმის გადაწყვეტისათვის.

გადასახადებისათვის თავის არიდება, წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას, დირექტორის მიერ ფილუციური ვალდებულების დარღვევას.

საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, მოითხოვოს ანაზღაურება პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირებისაგან, საწარმოს გადახდისუუნარობის დროს.

როდესაც ცხადია, რომ არ მოჰყვება შედეგი კრედიტორის მოთხოვნას საწარმოს მიმართ, რომ ამ უკანასკნელმა, დააყენოს დირექტორის პასუხისმგებლობა, კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნა წაუყენოს უშუალოდ საწარმოს დირექტორს.

პასუხისმგებელი პირები, კრედიტორის წინაშე ვალდებულნი არიან, საწარმოსთან მიმართებაში სუბსიდიურად, ერთმანეთთან ურთიერთობაში - სოლიდარულად კანონისმიერი საფუძვლით.

სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს კანონისმიერი პირგასამტეხლო.

საბოლოო ჯამში, დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელ პირებს ეკისრებათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ჯარიმასთან ერთად, ასევე, საწარმოს გადახდისუუნარობის შემთხვევაში, საწარმოს ძირითადი საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ და დარიცხული საგადასახადო საურავი სოლიდარულად, პირდაპირ და უშუალოდ.

შესაბამისად, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემაში ჩართულმა, ნებისმიერი საწარმოს ხელმძღვანელმა პირმა, უნდა იცოდეს, რომ საწარმოს

ვალდებულებისათვის, პირადად მოუწევს პასუხისმგებლობა და ე.წ. კორპორაციული შილდი მას ვერ დაიცავს.

### 3. გადანყვეტილების კრიტიკა

გადანყვეტილების მიმართ გამოთქმული კრიტიკა, პირველ რიგში, შეეხება იმას, რომ ამგვარი გადანყვეტილება აზრს უკარგავს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას.

მეორე საკითხი, რამაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, შეეხებოდა იმას, რომ საგადასახადო ორგანო არაა ჩვეულებრივი კრედიტორი და რომ ის თავის უფლებამოსილებებს საჯარო უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს. შესაბამისად, კითხვას იწვევს, რამდენად ჰქონდა უფლება საჯარო სამართლით უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს, მოთხოვნა დაეყენებინა კერძო სამართლით. გამოთქმულია აზრი, რომ საქმის ამგვარი გადანყვეტილი, ირღვევა ზღვარი საჯარო და კერძო სამართალს შორის.

ასევე, პრეტენზია არსებობს საურავთან დაკავშირებით, ვინაიდან, კრიტიკოსთა აზრით, ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო ვალდებულება გათანაბრებულია კერძო-სამართლებრივ ვალდებულებასთან, ხოლო საგადასახადო საურავი/ჯარიმა კი სამოქალაქო ზიანთან.

გარდა ამისა, აღინიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადანყვეტილების შემდეგ, სისხლის სამართლის განაჩენი გადასახადებისათვის თავის არიდების შესახებ, თავისთავად გულისხმობდა პარტნიორის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებას, ხოლო დირექტორის შემთხვევაში - ფილტვიური ვალდებულების დარღვევას, ხოლო ასეთი კვალიფიკაციისთვის გარკვეული შეფასება და კრიტერიუმები იყო საჭირო, რის შესახებაც სასამართლოს არ უმსჯელია.<sup>36</sup> ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ სისხლის სამართლის განაჩენი მიიჩნია გამოსაკვლევ მტკიცებულებად, თუმცა არ მომხდარა მისი გამოკვლევა პროცესუალური მიზეზების გამო, გამომდინარე იქიდან, რომ ქვედა ინსტანციის გადანყვეტილებები მოპასუხეებს არ გაუსაჩივრებიათ. შესაბამისად, გადანყვეტილებით არ ჩამოყალიბებულა წინაპირობები, თუ რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს და გადაწყდეს სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენება და ფილტვიური ვალდებულებების დარღვევა. ნაშრომი, ასევე, შეეცდება, პასუხი გასცეს ამ კითხვას.

<sup>36</sup> გოგელია ვ., ფორბს-მოსაზრება, შეზღუდული პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, იხ. <<http://forbes.ge/news/1017/SeuzRudavi-pasuxismgebloba-SezRuduli-pasuxismgeblobis-sazogadoebaSi>> [26.06.2019]

რაც შეეხება დირექტორის პასუხისმგებლობას, აღსანიშნავია, რომ რეალურად, კანონის თანახმად, დირექტორის პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიისათვის მიყენებული ზიანისათვის და არა კომპანიის ვალდებულებებისათვის. სწორედ ეს განსხვავებაა პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობებს შორის. ამ თავისებურებიდან გამომდინარე, განხილვას საჭიროებს, დირექტორისათვის დაკისრებული ძირითადი თანხა, საურავთან ერთად, წარმოადგენდა საწარმოს ვალდებულებას, თუ დირექტორის მიერ საწარმოსთვის მიყენებულ ზიანს. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, იმდენად, რამდენადაც, განაპირობებს დირექტორის ბედ-იღბალს, ვინაიდან, თუ ძირითადი საგადასახადო ვალდებულება ან საურავი ჩაითვლება კომპანიის თავისთავად ვალდებულებად და არა დირექტორის ქმედებით გამოწვეულ ზიანად, ეს იქნება დირექტორის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი და მთლიანად შეცვლის არსებულ ვითარებას.

საბოლოო ჯამში, იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს არსებულ კითხვის ნიშნებსა და ბუნდოვან დეტალებს, უნდა დადგინდეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დასაბუთებულობა. გაანალიზდეს პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი, წინაპირობები, ბრალი და პასუხისმგებლობის მოცულობა ცალ-ცალკე. ჩამოყალიბდეს კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობები და გაანალიზდეს, თუ რას მოიცავს კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების კონცეპტი.

## **თავი II გადასახადებისათვის თავის არიდება**

### **1. გადასახადებისათვის თავის არიდების სამართლებრივი შემადგენლობა**

ფილოსოფოსი თომა აკვინელი გადასახადებს კანონით ნებადართულ „ძარცვის უცოდველ ფორმად“ მიიჩნევდა, თუკი აკრეფილი სახსრები მოხმარდებოდა „საყოველთაო სიკეთეს“. გადასახადები წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების წყაროს. გადასახადების სავალდებულობას საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლი ადგენს. მის სახელმწიფო მნიშვნელობაზე, მისი უმაღლეს საკანონმდებლო აქტში ასახვაც მეტყველებს. აქედან გამომდინარე, ცხადია დანაშაულის სიმძიმე, როდესაც საუბარია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებულ ზიანზე.

იმისათვის, რომ განვიხილოთ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა გადასახადებისათვის თავის არიდების კონტექსტში, პირველ რიგში, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა სამართლებრივ შემადგენლობას მოიცავს აღნიშნული სამართალდარღვევა. ზოგადად, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევად მიიჩნევა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (რომელიც მოიცავს მოქმედებას ან უმოქმედობას), რისთვისაც პირს ეკისრება პასუხისმგებლობა

საგადასახადო კოდექსით.<sup>37</sup> საგადასახადო სამართალდარღვევისათვის, პირს ეკისრება საგადასახადო სანქცია, რომელიც არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადის გადახდისაგან.<sup>38</sup>

„მოგების გადასახადის გადამხდელია სანარმო, რომელიც არ წარმოადგენს ფიზიკურ პირს.“<sup>39</sup> მოგების გადასახადის გადამხდელებად ითვლებიან ისეთი წარმონაქმნები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ასეთი საქმიანობის განხორციელებისთვის და რომელშიც შედიან როგორც ქართული სანარმოები, ასევე უცხოური, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ შემოსავალს.<sup>40</sup>

საგადასახადო სანქცია პირსე შეიძლება დაეკისროს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. საგადასახადო სამართალდარღვევის ჩამდენი პირისაგან, სგადასახადო ორგანოებს, შეუძლიათ ამოიღონ დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადი, ჯარიმა და საურავი იძულებითი წესით, საინკასო დავალების ან ქონების გირავნობის ან იპოთეკის საფუძველზე.<sup>41</sup>

სანქცია შესაძლოა პირს დაეკისროს გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, საქონლის ან სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით. მათი განსხვავებული ბუნების გამო შეიძლება მათი კლასიფიკაცია ორი ნიშნით, კერძოდ, სანქცია შეიძლება იყოს სადამსჯელო და უფლებააღმდგენი. საურავი უფლებააღმდგენ სანქციას წარმოადგენს, ვინაიდან, უზრუნველყოფს „სახელმწიფოს ფინანსური ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრას, შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების იძულებით შესრულებას, ასევე, სახელმწიფოს დარღვეული, ფისკალური უფლებების აღდგენას. საურავი საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადასახადის გადაუხდელობის გამო, უფლებააღმდგენი ხასიათის სანქციაა.“<sup>42</sup> ამერიკელი მეცნიერების აზრით, ფინანსურ სანქციებს გააჩნიათ დადებითი ეკონომიკური გავლენა, მაშინ, როდესაც თავისუფლების აღკვეთა და პატიმრობა გულისხმობს დანახარჯებს.<sup>43</sup> სისხლის სამართლის სანქციას მხოლოდ პრევენციული და სადამსჯელო ფუნქცია შეიძლება გააჩნდეს, სამოქალაქოს კი პრევენციული, უფლებააღმდგენი, საკომპენსაციო და სადამსჯელო ერთად. დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკის თანახმად, გადასახადებისათვის თავის არიდების დროს, პირს შესაძლოა

<sup>37</sup> როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002, თავი 8.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი (წიგნი I), თბილისი 2012.

<sup>40</sup> როგავა ზ., საგადასახადო სამართალი (წიგნი III), თბილისი, 2017, 107.

<sup>41</sup> როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002, 229.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> გვარამაძე თ., სანქციები საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის, სამართლის ურნალი N2, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 62.

შეეთარდოს პატიმრობა, ან ჯარიმა, ან ორივე სახელთან ერთად დაეკისროს იმ თანხის ანაზღაურება, რომლითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა ზიანი.<sup>44</sup>

დასავლეთის ქვეყნებში იმ სასჯელთა გრძელი სია არსებობს, რომელიც შეიძლება, თავს გადაგხდეს, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში. ასეთ სასჯელებში შედის ჯარიმა, პატიმრობა, სოციალური უზრუნველყოფის შემცირება, ქონების დაკარგვა, ანგარიშების დაყადაღება, პასპორტის ჩამორთმევა, საკრედიტო ისტორიის დაზიანება და ა.შ.<sup>45</sup> შესაბამისად, ისევ დასტურდება ბენჟამინ ფრანკლინის<sup>46</sup> ფრაზა: „ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები“.

რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ წყდება საქმე საქართველოში, გადასახადებისათვის თავის არიდების დროს, თანაც, თუ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული სანარმო გადახდისუუნაროა, სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, სანარმოს უკან მდგარ პირებს, შესაძლოა დაეკისროთ ჯარიმა, შეეთარდოთ პატიმრობა, ასევე, სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე, დაეკისროთ გადასახდელი თანხის გადახდა, გადახდის ვადაგადაცილებისათვის დადგენილ საურავთან ერთად.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ერთი დასკვნის გაკეთება - სჯობს, გადაიხადო კუთვნილი გადასახადი.

როდესაც საუბარია დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდებაზე, აღსანიშნავია, რომ საგადასახადო კოდექსი, ასეთი შემთხვევებისათვის, სისხლის სამართლის იურისდიქციაში გვამისამართებს.<sup>47</sup> თავისთავად, საგადასახადო კოდექსის თანახმად, გადასახადებისათვის თავის არიდება გულისხმობს პირის მიერ, საგადასახადო დეკლარაციაში, გადასახადის თანხის 100 000 ლარზე მეტით შემცირებას. გადახდისუუნარიანი სანარმოს შემთხვევაში, საგადასახადო ორგანო, ამოიღებდა კუთვნილ გადასახადს სანარმოს აქტივიდან, დანაშაულის ჩამდენ პირებს კი მოუწევდათ პირადად პასუხისგება სისხლის სამართლით.

მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს გადახდისუუნარო სანარმოსთან, საგადასახადო წარმოების ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტი, ვერ შეძლებდა დანაკლისის შევსებას და შედეგი იქნებოდა ის, რომ შემთხვევა შემოიფარგლებოდა სამართალდაღვევის ჩამდენ პირთა პატიმრობით. ასეთი შედეგი, სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნებისათვის, არაა ხელსაყრელი.

<sup>44</sup>Income Tax: Fraud vs. Negligence, იხ. <<https://tax.findlaw.com/tax-problems-audits/income-tax-fraud-vs-negligence.html>> [05.07.2019].

<sup>45</sup>Tax Evasion Penalties and Other Consequences, იხ. <<https://tax.findlaw.com/tax-problems-audits/tax-evasion-penalties-and-other-consequences.html>>, [05.07.2019].

<sup>46</sup>ბენჯამინ ფრანკლინი (1706 – 1790) - აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის და აშშ-ის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი.

<sup>47</sup>საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 პუნქტი.



უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთადერთი გზა, სამოქალაქო სამართალწარმოებით საქმის გაგრძელება რჩება. რა თქმა უნდა, მოთხოვნის საფუძველს აკმაყოფილებს დელიქტით მიყენებული ზიანის მუხლი,<sup>48</sup> მაგრამ, თუ კი წარმოებას სამოქალაქო სამართლის სიბრტყეზე გადმოვიტანთ, ასევე უნდა გამოვიყენოთ სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული პრინციპი სპეციალური ნორმის გამოყენების შესახებ.<sup>49</sup> ამიტომ, ურთიერთობის განსჯადობა, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ინაცვლებს. ამ კანონით მონესრიგებულია საწარმოს პარტნიორისა და დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი. პარტნიორის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას, კორპორაციული საფარველის გარღვევა წარმოადგენს, თუმცა რთულდება მტკიცების ტვირთი მოსარჩელისათვის. სწორედ აქ ვლინდება შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის დაცულობა და პატივისცემა კანონის მიერ, ვინაიდან, ასეთ საწარმოებთან ურთიერთობაში, კორპორაციული საფარველის უგულვებელყოფისთვის, კანონი მტკიცების განსაკუთრებულ ხარისხს აწესებს. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის, უნდა დგინდებოდეს კორპორაციული სტრუქტურის ბოროტად გამოყენება, რაც განსაკუთრებული წინაპირობების არსებობას საჭიროებს. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, თავისთავად არ გულისხმობს დანაშაულის ჩამდენ პირთა სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას და მოსარჩელე მხარეს უწევს, ამტკიცოს ზიანის მიყენებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენების ფაქტი.

გადასახადებისათვის თავის არიდების საქმეზე, თუ კი მოსარჩელე მხარე, შეძლებს დაამტკიცოს, რომ კორპორაციული სტრუქტურა გამოყენებულია უკანონო სარგებლის მისაღებად, იმგვარად, რომ მის უკან მოქმედი პირები, დაცული იყვნენ პასუხისმგებლობისაგან, სასამართლოს ექნება საფუძველი, თამამად გამოიყენოს გამჭოლი პასუხისმგებლობა,<sup>50</sup> ვინაიდან აღნიშნული, თავისი არსით, იგულისხმებს კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას.

### 1.1 სამართალდარღვევის შინაარსი

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ კორპორაციული საფარველის გარღვევაზე, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, პირველ რიგში, აუცილებელია, ვიცოდეთ, რას მოიცავს აღნიშნული სამართალდარღვევის შინაარსი, კერძოდ კი რა სამართლებრივი შემადგენლობა გააჩნია მას, იმისათვის, რომ შემდგომ განისაზღვროს წინაპირობები კორპორაციული საფარველის გარღვევისათვის.

<sup>48</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი.

<sup>49</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>50</sup> Recovery of Tax by Lifting the Corporate Veil, 2013.

მის სამართლებრივ შინაარსზე პასუხს ამ დანაშაულის სისხლის სამართლის შემადგენლობა იძლევა.

„გადასახადის გადამხდელები მოვალენი არიან, გადაიხადონ გადასახადები კანონით დადგენილ ვადებში და საგადასახადო განაკვეთების ოდენობით. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დიდი ოდენობით გადასახადისაგან თავის არიდებაში.“<sup>51</sup> სისხლის სამართლის თვალსაწიერიდან, სახეზეა უმოქმედობის დელიქტი, რაც შეიძლება გამოიხატოს წმინდა უმოქმედობით, რაშიც მაგალითად, შემოსავლების შესახებ დეკლარაციის წარუდგენლობა მოიაზრება, ან შესაძლოა, სახეზე იყოს უმოქმედობა მოქმედებით, რაც გულისხმობს, მაგალითად, დეკლარაციაში, გაანგარიშებაში გადასახადების შემცირებას, მონაცემების გაყალბებას საბუღალტრო დოკუმენტებში შემოსავლებისა და გასავლების შესახებ, დასაბეგრი ობიექტების დამალვას დეკლარაციაში და ა.შ.<sup>52</sup> ჩვენს განსახილველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს უმოქმედობასთან მოქმედებით, ვინაიდან პირებმა, განახორციელეს მოქმედებები გადასახადების შესამცირებლად. ე.ი დანაშაული, თავისი შინაარსით არის განზრახი.

ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, სავალდებულოდ მოიცავს სურვილს გადასახადის გადაუხდელობისა. მისი მიზანია, დანაშაულებრივ ქმედებათა განხორციელებით, მიიღოს პირადი სარგებელი.<sup>53</sup> ეს გარემოება, გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის, შესაძლოა აღმოჩნდეს გადამწყვეტი.

დანაშაულის ამსრულებელი სპეციალურია და ასეთად, მითითებულია გადასახადის გადამხდელი პირი, რაც იურიდიული პირის კონტექსტში მოიცავს როგორც თავად იურიდიულ პირს, ასევე ფიზიკურ პირს - იურიდიული პირის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელ პირებში კანონი მოიაზრებს პარტნიორს, დირექტორს, მთავარ ბუღალტერს. ვინაიდან, კორპორაციული საფარველით დაცულობა ვრცელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორზე,<sup>54</sup> გამჭოლი პასუხისმგებლობის კონტექსტში, განვიხილავთ პარტნიორის პასუხისმგებლის საკითხს.

გადასახადებისათვის თავის არიდების დანაშაულს გააჩნია პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები. კერძოდ, პასუხისმგებელ პირებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, თუ საგადასახადო შემონმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის მიღებიდან 45 სამუშაო დღეში, გადასახდელად დაკისრებული ძირითადი

<sup>51</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014, 556.

<sup>52</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014, 556.

<sup>53</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014, 557.

<sup>54</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.

თანხა იქნება 1. გადახდილი, 2. კორექტირებული 3. გადავადებული 4. გადახდის ვალდებულება შეჩერებულია კანონის საფუძველზე.<sup>55</sup> ამ გარემოებების არსებობისას, დღის წესრიგიდან იხსნება პასუხისმგებლობა და პირების ქმედება მართლზომიერ ელფერს იღებს. აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც გამოტანილია სისხლის სამართლის გამამტყუნებელი განაჩენი ამ შინაარსის საქმეზე, ე.ი საქმეში არ დაფიქსირებულა პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ასეთი გარემოება, ხოლო სამოქალაქო სამართლისათვის, ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზეა იმ გარემოებების ერთობლიობა, რამაც დაადასტურა პირის ბრალი - ე.ი ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა.

შედეგად, მტკიცებულების სახით, სახეზე გვაქვს პირის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი განზრახვი ქმედებები, მიმართული პირადი სარგებლის მიღებისაკენ. თუ კი ამას დაემატება კრედიტორისათვის მიყენებული ზიანისა და კორპორაციული ფორმის საფარველად გამოყენების დადასტურება, ეს საფუძველი გახდება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის.

## 2. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა

არსებობს მოსაზრება, რომ საგადასახადო ორგანო, ვინაიდან განეკუთვნება საჯარო სამართლის იურისდიქციას, შემოსაზღვრულია მხოლოდ საჯარო უფლებამოსილებებით და შესაბამისად, არ შეიძლება, საგადასახადო ორგანოს დავა გადასახადის გადამხდელ პირთან, კერძო სამართლით მოწესრიგდეს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლება-მოვალეობები როგორც წესი, კანონითაა შემოფარგლული. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირები, მოქმედებენ მხოლოდ მინიჭებული უფლების ფარგლებში და მოქმედებენ პრინციპით: „დაშვებულია მხოლოდ ის, რაც პირდაპირაა დადგენილი კანონით“. ისინი ვერ იმოქმედებენ სამოქალაქო სამართლის პრინციპით - „დაშვებულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის კანონით“.<sup>56</sup>

საგადასახადო კოდექსი, შესაბამისად, შემოსაზღვრავს და აღგენს იმ სამართლის იმ წყაროების ჩამონათვალს, რომელსაც ეფუძნება მისი იურისდიქცია. ესენია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თავად საგადასახადო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.<sup>57</sup> ამასთან, გადასახადის გადამხდელს გადასახადის გადახდა შეიძლება მოეთხოვოს მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და

<sup>55</sup> ლეკვეიშვილი მ., თოღუა ნ. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014, 558.

<sup>56</sup> როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2003, თავი 8.

<sup>57</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

საფუძვლით<sup>58</sup> და საგადასახადო ორგანო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო კოდექსისა და საგადასახადო კანონმდებლობის სხვა აქტების ფარგლებში.<sup>59</sup> მათი უფლებები, იმავდროულად, წარმოადგენს მათ ვალდებულებებს.<sup>60</sup>

მოცემული შემთხვევა, გადასახადებისათვის თავის არიდების სამართალდარღვევის შესახებ, განეკუთვნება საგადასახადო კოდექსის იურისდიქციას და გადასახადის გადამხდელთან შემოსავლების სამსახურის ურთიერთობა წმინდა საჯაროსამართლებრივი ურთიერთობაა, ვინაიდან, ერთ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო, ურთიერთობა დაქვემდებარებული, ე.ი ვერტიკალური ხასიათისაა, ამასთან, კერძო სამართლის მონაწილის ვალდებულება წარმოიშვება კანონის საფუძველზე.

საგადასახადო სამართალდარღვევებისას, საგადასახადო ორგანოებს აქვთ სამართლებრივი ბერკეტები, გადასახადის ამოღებისათვის. ეს შეიძლება იყოს როგორც საგადასახადო სანქცია, ასევე იძულებითი ღონისძიებები, როგორცაა აღსრულება და ყადაღა. მაგრამ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც გადასახადის გადამხდელი იურიდიული პირი (ჩვენს განსახილველ თემასთან მიმართებით, იგულისხმება პასუხისმგებლობის შეზღუდვით სტრუქტურირებული სანარმო) გადახდისუუნაროა, საგადასახადო ორგანო ვერ შეძლებს გადასახადის ამოღებას იმ სანარმოს ბიუჯეტიდან, რომელსაც არ გააჩნია აქტივი. ეს რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მოვლენაა და საგადასახადო წარმოება, აქ დასრულდებოდა, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფომ, ზიანი, პირთა არამართლზომიერი ქმედებებისგან მიიღო, მაგალითად, როცა პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმა სახელმწიფო ბიუჯეტის საზიანოდ იქნა გამოყენებული და სახელმწიფოს მიაღვა ისეთი ზიანი, რომელიც ასეთი ფორმის მართლზომიერად გამოყენების შემთხვევაში, არ მიაღვებოდა, ჩნდება უსამართლობის განცდა. ვინაიდან სახელმწიფოს კისერზე გადავიდა დანაკარგის უსამართლო ტვირთი, რომელიც არამართლზომიერი ქმედების ჩამდენი პირების მიერ „თამაშის წესების“ დარღვევამ გამოიწვია.

სწორედ ეს უსამართლო შედეგია, რომელიც არ იძლევა სამართალწარმოების შეჩერების საფუძველს და ვინაიდან, ასეთი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, საჯარო სამართალს არ გააჩნია, მისი შევსების მიზნით, გარემოებები, კერძო სამართალში გვამისამართებს.

<sup>58</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>59</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლი

<sup>60</sup> როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2003, თავი 1.

საჯარო და ერთი სამართლის გამიჯვნის ფორმულა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განმარტებები, ხშირად მაინც ბუნდოვანია მათ შორის საზღვარი. ეს იმით აიხსნება, რომ ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე, მონაწილეობენ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებშიც, ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგება, ხშირად, ერთდროულად ხდება საჯარო და კერძო სამართლით.<sup>61</sup>

ამ მხრივ, უნდა გაიმიჯნოს საჯარო მმართველობის განხორციელება კერძო სამართლის ნორმების საფუძველზე იმ შემთხვევისაგან, როდესაც კერძო სამართლის ნორმები გამოიყენება საჯარო სამართალში არსებული ხარვეზის შესავსებად. მაგალითად, ისეთი შემთხვევები, რომელიც არაა მონესრიგებული საჯარო სამართლით და რომელსაც აწყდებიან ადმინისტრაციული ორგანოები თავისი საქმიანობისას, როგორცაა უსაფუძვლო გამდიდრება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და მსგავსნი. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვაქვს „ნასესხებ“ ნორმებთან, რომლებიც ხდება საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის ნაწილი.<sup>62</sup>

გამომდინარე აქედან, იმის თქმა, რომ საჯარო სამართლის ურთიერთობებში, ცალსახად, მხოლოდ საჯარო სამართლით მონესრიგებული ნორმები უნდა გამოიყენოთ, არ შეგვიძლია. ისეთ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია სამართლებრივი წონასწორობა და პირებს შორის მოსაწესრიგებელი ურთიერთობა ისევ არსებობს, დასაშვებია შემავსებელი ნორმების გამოყენება.

ამ დასკვნის საფუძველზე კი, შეგვიძლია, განსახილველ საკითხზე მსჯელობა, კერძო სამართლის ნორმების მიხედვით გავავრცელოთ.

## თავი III პარტნიორის პასუხისმგებლობა

### 1. იურიდიული პირის სამართალსუბიექტობა

იურიდიული პირის ცნებას, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი ადგენს და განსაზღვრავს ასეთი წარმონაქმნისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და სხვა სახის გაერთიანებებთან ერთად, კოდექსი ასევე მიუთითებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც, თუმცა მათ მიმართ არ განსაზღვრავს დეფინიციებსა და რეგულაციებს. საჯარო-სამართლის იურიდიულ პირს იგი, თავის იურისდიქციაში,

<sup>61</sup> ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 83.

<sup>62</sup> ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 83.

მხოლოდ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის დროს მოიაზრებს, ე.ი. როდესაც ასეთ პირებს სძენს კერძო სამართლის სუბიექტობას.<sup>63</sup> იურიდიული პირი არის ადამიანთა ან ქონების გაერთიანების შედეგად შემდგარი წარმონაქმნი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, სამართლებრივ ურთიერთობებში, დამოუკიდებელი პირის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა.<sup>64</sup>

## 2. ფიქციის თეორია

იურიდიული პირებისათვის დამახასიათებელია შვიდი ძირითადი ნიშანი 1. მიზანი 2. საკუთრების ქონის უნარი 3. ორგანიზებულობა 4. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის უნარი 5. საკუთარი სახელი 6. გარიგებაუნარიანობა 7. საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.<sup>65</sup>

კანონმდებლობა, ასეთ ხელოვნურ წარმონაქმნებს, ანიჭებს სამართალსუბიექტობას იმ ფიზიკურ პირთა თანასწორად, რომლებიც ბუნებრივად არიან სამართლის სუბიექტები. ეს ნიშნავს იმას, რომ სამართალს ხელოვნურად გადააქვს ადამიანებისათვის ბუნებრივად თანდაყოლილი უფლებაუნარიანობა იმ წარმონაქმნებზე, როგორცაა პირთა და ქონების გაერთიანება ერთ „არსებად“.<sup>66</sup> შედეგად იურიდიული პირები მონაწილეობენ სამართლებრივ ურთიერთობებში ფიზიკური პირების მსგავსად, ე.ი. ხდება მათი პერსონიფიკაცია.

„იურიდიული პიროვნულობა ნიშნავს უფლებაუნარიანობას კერძო სამართლის ფარგლებში,<sup>67</sup> რომელიც ფიზიკურ პირებს გააჩნიათ, თუმცა სამართალს, აქვს ის მაგიური შესაძლებლობა, რომ ასეთი პიროვნულობა ხელოვნურ წარმონაქმნებსაც შთაბეროს და მოახდინოს გაპიროვნება.

სწორედ ის ფაქტი, რომ იურიდიული პირები სამართლის სუბიექტებად განიხილებიან, ეფუძნება ფიქციის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით. ის სამართლებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გააჩნიათ ადამიანებს, ფიქციით, გადატანილია იურიდიულ პირებზე, რომლებიც სამართლის მიერ ხელოვნურად არის შექმნილი და არსებობს მხოლოდ სამართლის თვალში.

ფიქციის თეორიას ეფუძნება, შემდეგ, ისეთი სამართლებრივი თეორიები როგორცაა საზოგადოების წევრთაგან საწარმოს განცალკევებული სამართალსუბიექტობა, შემლუდული პასუხისმგებლობა და გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა. სწორედ

<sup>63</sup> ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 28.12.2015, მუხ.24, ველი 1.

<sup>64</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 215.

<sup>65</sup> ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 28.12.2015, მუხ.24, ველი 6.

<sup>66</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილი, 2011, 224.

<sup>67</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002, 210.

ეს თეორია ქმნის საფუძველს, რომ იურიდიული პირი იყოს ურთიერთობებში როგორც კრედიტორი, ასევე - მოვალე, ჰქონდეს საკუთარი აქტივები და საკუთარი ქონებითვე იყოს პასუხისმგებელი თავის ვალდებულებებზე.

### 3. საზოგადოების ტიპები

კერძო სამართლის სუბიექტების ჩამონათვალს გვთავაზობს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი და მე-2 მუხლში<sup>68</sup> განამტკიცებს იურიდიული პირების ჩამონათვალს. მათგან შესაძლოა, თავისი ბუნებით, გამოიყოს ორი ტიპის საზოგადოებები - ამხანაგური და კაპიტალური ტიპის. კაპიტალური ტიპის საზოგადოებებში ექცევა მხოლოდ ორი სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და სააქციო საზოგადოება (სს), რომელიც ჩვენი განხილვის საგანია და შემდგომაც, ამ ორი სამართლებრივი ფორმის კონტექსტში გვექნება საუბარი. შესაბამისად, აღმნიშვნელ ტერმინებად გამოყენებული იქნება „საზოგადოება“, „საწარმო“, „კომპანია“, „კორპორაცია“.

ამ ორი სამართლებრივი ფორმის ის საერთო ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია მათთვის, არის ის, რომ ასეთი ფორმით დაარსებული საწარმო არ არის წევრობაზე დაფუძნებული და ასევე, პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოსაზღვრულია კორპორაციის ქონებით. შესაძლოა, ასეთ კორპორაციებში, სრულიად შეიცვალონ თავდაპირველი დამფუძნებელი პარტნიორები, აქციონერები, მაგრამ კორპორაცია ინარჩუნებს თავის მყოფადობას, სუბიექტობას და არსებობს მის წევრთაგან დამოუკიდებლად, მაშინ როდესაც ამხანაგობებში, შესაძლოა, რომელიმე წევრის საზოგადოებიდან გასვლამ, აზრი დაუკარგოს საწარმოს არსებობას და გამოიწვიოს დაშლა. ასევე, ასეთი ტიპის კორპორაციები, პირადი პასუხისმგებლობისაგან იცავენ პარტნიორებს, აქციონერებს და საწარმო ურთიერთობებში გამოდის თავისი ქონებით, როგორც ცალკე ორგანიზმი. პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი, სწორედ იმ თეორიიდან გამომდინარეობს, რომელიც ასეთ წარმონაქმნებს ანიჭებს დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას. რაც შეეხება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპსა და მის გამონაკლისს, ამ საკითხზე, ქვემოთ, ცალკე გვექნება საუბარი.

ქართულ სამართალში არსებული კაპიტალური ტიპის საწარმოთა მსგავს სამართლებრივ ფორმებს ითვალისწინებს აშშ-სა და ბრიტანეთის კანონმდებლობა, სადაც ექვივალენტურ ტერმინებად დამკვიდრებულია "corporation" და "company", თუმცა ისინი არ არიან აბსოლუტურად არც ერთმანეთისა და არც ქართული მოდელის იდენტურები, ვინაიდან მათი კანონმდებლობა სხვადასხვა კორპორაციული ფორმის მოდელს ითვალისწინებს. კერძოდ, აშშ-ში, ტერმინი "corporation"<sup>69</sup> გულისხმობს მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტის მქონე კორპორაციებს, მაშინ,

<sup>68</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>69</sup> MBCA Art. 6.22.

როდესაც ინგლისური “company”<sup>70</sup> აერთიანებს როგორც შეზღუდული (“limited company”), ასევე, შეუზღუდავი (“unlimited company”) პასუხისმგებლობის კომპანიებსაც.<sup>71</sup>

ინგლისური “Limited company”, რომელიც მოიაზრებს პარტნიორთა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტს, თავის წრეში მოიცავს “Public limited company” (PLC), რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს აქციებით საჯარო ვაჭრობა და ასევე “Private limited company” (LTD), რომელიც არ მოიცავს ასეთ უფლებამოსილებას. თავის მხრივ, “Public limited company” განასხვავებს ორი ტიპის კომპანიას: “Company limited by shares” და “Company limited by guarantee”. პირველი მათგანი მოიაზრებს პასუხისმგებლობის შეზღუდვას იმ წილებით, რომლისთვისაც პარტნიორმა განახორციელა შენატანი, მეორე შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა შეზღუდულია წინასწარ შეთანხმებული თანხით - გარანტიით, თუ კი დაინყება კომპანიის ლიკვიდაცია.<sup>72</sup>

რაც შეეხება ამერიკულ “corporation”-ს, იგიაერთიანებს “close corporation”-ს, “public corporation”-ს<sup>73</sup> და “limited liability company”-ს (LLC).<sup>74</sup> ქართულ მოდელთან, მათ შორის, ყველაზე ახლოს დგას დახურული ტიპის კორპორაცია.<sup>75</sup> რაც შეეხება ღია ტიპის კორპორაციას, აღსანიშნავია, რომ კვლევების შედეგად, არ ფიქსირდება მათ მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების შემთხვევები,<sup>76</sup> თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა, ეს ინსტიტუტი, მოქმედია ყველა ისეთ სამართლებრივ ფორმასთან, რომელიც მოიაზრებს პასუხისმგებლობის შეზღუდვას<sup>77</sup> და გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაშე, მთავარია, არსებობდეს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტი.

#### 4. entity და aggregate თეორიები

სანამ პასუხისმგებლობის საკითხზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საზოგადოების, როგორც სუბიექტის, რაობა და თავისებურებები. entity და aggregate

<sup>70</sup>Company Act 2006, Art.3.

<sup>71</sup> ზუბიტაშვილინ., პარტნიორი სპასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 15.

<sup>72</sup> იქვე.

<sup>73</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 78.

<sup>74</sup> Maizes, Limited Liability Companies: A Critique, St. John’s Law Review: Vol.70:Iss.3, Article 3, 1996, 578.

<sup>75</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 78.

<sup>76</sup> McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 Wake Forest Law Review 931, 2010, 967.

<sup>77</sup> ზუბიტაშვილინ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 17.



თეორიები ცდილობენ ახსნან, თუ როგორია კორპორაციის სამართლებრივი ბუნება. საერთო ჯამში, ეს თეორიები უპირისპირდებიან ერთმანეთს და აყალიბებენ განსხვავებულ პოზიციებს. Entity-ს თეორია ამტკიცებს, რომ კორპორაციას გააჩნია საკუთარი სუბიექტობა და დამოუკიდებელი მიზნები და ინტერესები, რომლებიც შესაძლოა, არ დაემთხვეს მის უკან მდგომი პარტნიორებისა თუ ხელმძღვანელების ინტერესებს, მაშინ როდესაც aggregate-ის თეორია თვლის, რომ საზოგადოების განცალკევებული სამართალსუბიექტობა მხოლოდ ფიქციაა, წარმოსახვაა და მეტი არაფერი, შესაბამისად, არ შეიძლება, კორპორაციას მის უკან მდგომი პირებისაგან განსხვავებული რაიმე ინტერესი ჰქონდეს, რაც როგორც წესი, მოგების მიღებაა. აგრეგატის თეორია კორპორაციას ცალკე გამოყოფას, თავისი პარტნიორებისაგან, არ აღიარებს და ამ თეორიისათვის, კორპორაცია, მხოლოდ მის წევრთა გაერთიანებას წარმოადგენს.<sup>78</sup>

მართალია, დამფუძნებლების ძირითადი მიზანი, საწარმოს დაფუძნებისას, ძირითადად, შემოსავლის მიღებას წარმოადგენს და საწარმოც ახორციელებს ამ მიზანს, თუმცა, ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ საწარმო მხოლოდ პარტნიორების ინსტრუმენტია და რომ ის უნდა იმართოს მხოლოდ პარტნიორთა სასარგებლოდ, მხოლოდ მათთვის მოგების გაზრდის მიზნით. იურიდიულ პირს, როგორც პირსა და სამართლის სუბიექტს, კიდევ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციები და ვალდებულებები გააჩნია, პირველ რიგში, სოციალური პასუხისმგებლობა. მან საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კანონის ფარგლებში, გაითვალისწინოს თავისი დასაქმებული პირები, კრედიტორები, საზოგადოება და ა.შ.

საზოგადოებისა და პარტნიორთა მიზნების სხვადასხვაობა იმ საკითხთან მიმართებაშიც ვლინდება, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია. მაგალითად, ღირეფქორის მიერ საწარმოს მართვა იმგვარად, რომ ემსახურებოდეს მხოლოდ პარტნიორთა ინტერესებს, ე.ი - მოგების გაზრდას, aggregate-ის თეორიის მიხედვით, ბუნებრივად და გამართლებულად ჩაითვლებოდა და შესაბამისად, ეს თეორია გაამართლებდა ღირეფქორის ჩაბმას გადასახადებისათვის თავის არიდების სქემაში, ვინაიდან ასეთი ქმედებები, რეალურად, ზრდის საზოგადოების ქონებას. ხოლო entity-ის თეორიის მიხედვით, საზოგადოებას აქვს პასუხისმგებლობა და ვალდებულება, იყოს კეთილსინდისიერი სუბიექტი და გაითვალისწინოს სახელმწიფოს ინტერესები. ამრიგად, ნათელია, რომ შესაძლოა, ერთმანეთს არ ემთხვეოდეს პარტნიორისა და საზოგადოების მიზნები.

## 5. პასუხისმგებლობის ცნება

<sup>78</sup> მახარობლიმვილი გ., მენარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ურნალი N2, ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 20012, 112.

კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება ის არის, რომაკისრებს პირს ქონებრივ პასუხისმგებლობას, ისე რომ არ ახდენს პასუხისმგებლობის გამომწვევი ქმედების კრიმინალიზაციას, ე.ი მაგალითად, კრედიტის დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ვალდებულების დამრღვევი პირი პასუხს აგებს ქონებით, თუმცა ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი კრედიტორი განახორციელებს მოთხოვნას. ეს ნიშნავს იმას, რომ კრედიტორს გააჩნია მოთხოვნის უფლება და არა ვალდებულება. ამით განსხვავდება კერძო სამართლის ურთიერთობები, რომლებიც ჰორიზონტალური ბუნებით ხასიათდება,<sup>79</sup> სისხლის და ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელთა დროსაც ურთიერთობები ვერტიკალურია და ხდება პირის პირადი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სანქციით.

თუმცა შესაძლებელია პასუხისმგებლობათა კომბინაცია. მაგალითად, პირის ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს მის ქონებრივ პასუხისმგებლობას, შესაძლოა ასევე იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. მაგალითად, საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-4 პუნქტი<sup>80</sup> ადგენს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის, საწარმოსთვის დადგენილი საგადასახადო სანქცია, ხელმძღვანელ პირებს არ ათავისუფლებს ადმინისტრაციული, სისხლისსამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან, თუ კი არსებობს შესაბამისი საფუძვლები. გადასახადებისათვის თავის არიდება ითვლება საგადასახადო სამართალდარღვევად,<sup>81</sup> თუმცა იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>82</sup> ასევე, არ გამოირიცხება სამოქალაქო პასუხისმგებლობაც, თუ კი ურთიერთობაში მონაწილე პირებს კერძო სამართლის სიბრტყეზე განვიხილავთ. ეს არ გულისხმობს იურიდიული პირის იძულებით ლიკვიდაციას, არამედ კორპორაციული საფარველის გარღვევისათვის აუცილებელი წინაპირობების არსებობისას, საფარველით დაცული პირების პირად ქონებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აუცილებლად არ გულისხმობს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ვინაიდან სისხლის სამართლის დანაშაული, სამართლის თვალში, მხოლოდ ფაქტია და ამ ფაქტით მიყენებული ზიანის არსებობა, დაზარალებულმა კრედიტორმა უნდა ამტკიცოს, იმისათვის რომ სამოქალაქო წესით მოითხოვოს მისი ანაზღაურება.<sup>83</sup>

<sup>79</sup> მუბიტაშვილინ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 37.

<sup>80</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>81</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>82</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 218-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>83</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება Nსს-238-224-2010.

## 6. შებლუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა

მე-19 საუკუნის ბოლოს, გერმანიაში შეიქმნა საზოგადოების ახალი ტიპი, რომელსაც შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს და რომელმაც, თავისი მიმზიდველობით, მალევე დაიპყრო მსოფლიოს სავაჭრო ასპარეზები.<sup>84</sup> პირველ რიგში, რაც შებლუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ხსენებისას გვახსენდება, ესაა ინგლისის ლორდთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე *Saloman v. A Saloman & Co*,<sup>85</sup> რომელიც 1987 წელს იქნა მიღებული. სალომანი იყო ებრაული ტყავით მოვაჭრე, რომლის ბიზნესსაც ფეხსაცმლის წარმოება წარმოადგენდა. სალომანმა თავისი ბიზნესი გარდაქმნა შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, რომელშიც, პარტნიორებად, თავისი მეუღლე და შვილებიც იყვნენ გაერთიანებულნი. მას შემდეგ, რაც ბიზნესის საქმე კარგად არ წავიდა და კრედიტორებმა ვალის დაბრუნება მოითხოვეს, პირველი ინსტანციის სასამართლომ თქვა, რომ სალომანის კომპანია იგივე სალომანი იყო, ოღონდ კომპანიის ფორმით. სააპელაციო სასამართლომ, დაეთანხმა რა პირველ ინსტანციას, სალომანი თაღლითად მონათლა და დასძინა, რომ სალომანი კომპანიას იყენებდა როგორც საშუალებას კრედიტორების გასაცურებლად “a device to defraud creditors.” ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ კი დაადგინა, რომ კომპანია სამართლის ნორმების მიხედვით იყო დაფუძნებული, რომ თაღლითობას ადგილი არ ჰქონია და რომ სალომანი იყო დამოუკიდებელი სუბიექტი თავისი კომპანიისაგან, შესაბამისად, იყო დამოუკიდებელი თავისი დირექტორული ვალდებულებისა და წილებისაგან, შესაბამისად არ იყო პასუხისმგებელი კომპანიის ვალდებულების.<sup>86</sup> ეს ნიშნავდა იმას, რომ სასამართლომ გამორიცხა გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება მოცემულ ვითარებაში, ვინაიდან, ჩათვალა, რომ შებლუდული პასუხისმგებლობის ფორმის გამოყენება, პირისათვის კანონის მიერ მინიჭებული უფლებაა, თუკი ასეთი საწარმო კანონის მოთხოვნათა დაცვითაა<sup>87</sup> დაფუძნებული და არც შეცდომაში შემყვან მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, იხელმძღვანელა განცალკევებული სამართალსუბიექტობისა (separate entity doctrine) და შებლუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი პრინციპით (limited liability doctrine). ეს გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც შემოქმედითი ე.წ. „სალომანის პრინციპისა“. ამ პრინციპის არსი მარტივია და გულისხმობს, რომ კომპანია არის დამოუკიდებელი სამართლებრივი წარმონაქმნი და იურიდიული პირი სამართლებრივ ჭრილში. აღნიშნულ გადაწყვეტილებას, როგორც წესი გამჭოლი პასუხისმგებლობის ათვლის წერტილად თვლიან, თუმცა პირველ რიგში ის ასახავს პასუხისმგებლობის შებლუდვისა და

<sup>84</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002, 295.

<sup>85</sup> *Saloman v. A Saloman & Co Ltd* [1897] AC 22.

<sup>86</sup> Richards D. Piercing the corporate veil: Supreme Court Clarifies the English Law Position, 2013.

<sup>87</sup> მსგავს დათქმას ითვალისწინებს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, როდესაც ადგენს სავალდებულო რეგისტრაციას იურიდიული პირებისათვის.

გამჭოლი პასუხისმგებლობის ურთიერთშეპირისპირებას, სადაც კიდევ ერთხელ, ხაზი გაესვა შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმისა და იურიდიული პირის სამართალსუბიექტობის მნიშვნელოვნებას, იმას, რომ მისი უგულვებელყოფისათვის, განსაკუთრებული პირობები და გარემოებებია საჭირო.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპი დამახასიათებელია, ზოგადად, კერძო სამართლისათვის. იგი, ძირითადად, ვლინდება სამი სახით. პირველ რიგში, მაშინ, როდესაც იგი გამოირიცხავს ერთი პირის პასუხისმგებლობას და აკისრებს მეორე პირს, რომელიც მართალია, უშუალოდ არ იყო ქმედების განმახორციელებელი, მაგრამ სამართალი, სწორედ მას მიაწერს იმ განხორციელებულ ქმედებას, რომელმაც პასუხისმგებლობა გამოიწვია. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე კორპორაციებთან მიმართებაში, როდესაც იმ პირთა ქმედებები, რომლებიც დგანან კორპორაციის უკან, სამართლის ძალით მიეწერება თავად კორპორაციას, როგორც სუბიექტს.<sup>88</sup>

მეორე შემთხვევაა, როდესაც მართალია, ერთი სუბიექტის მიერ განხორციელებულ ქმედებას არ მიაწერს მეორე სუბიექტს, თუმცა თვლის ამ უკანასკნელს პირველის „მეთვალყურედ“ და აქედან გამომდინარე აკისრებს მას პასუხისმგებლობას. ასეთ შემთხვევებთან გვაქვს საქმე, მაგალითად, დელიქტურ სამართალში, როდესაც საუბარია არასრულწლოვნის ან მხარდამჭერის მიმღების მიერ გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებაზე. ასევე, ამ ტიპს მიეკუთვნება რწმუნებულისა და მარწმუნებლის ურთიერთობები.<sup>89</sup>

მესამე შემთხვევას წარმოადგენს პასუხისმგებლობის შეზღუდვას სახელშეკრულებო ურთიერთობებით, როდესაც გამოირიცხება ერთი პირის პასუხისმგებლობა და ეკისრება იგი მეორეს, ამ ორ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რის გამოვლინებასაც წარმოადგენს სადაზღვევო ურთიერთობები, კერძოდ დაზღვევის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, პირი იღებს პასუხისმგებლობას მესამე პირის წინაშე, მეორე პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის, ამ უკანასკნელის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.<sup>90</sup>

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებლობის შეზღუდვის ამ პრივილეგიის გამოყენება ულიმიტო და განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაძლოა მისი მოქმედება გამოირიცხოს.<sup>91</sup> კორპორაციებთან მიმართებაში, ესაა შემთხვევა, როდესაც კორპორაციის უკან მდგომი პარტნიორი ბოროტად იყენებს

<sup>88</sup>ზუბიტაშვილინ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 40.

<sup>89</sup>იქვე.

<sup>90</sup>იქვე.

<sup>91</sup>იქვე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის პრივილეგიას.<sup>92</sup> დელიქტის შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირი არ აგებს პასუხს, თუ კი შეუძლებელი იყო ზიანის თავიდან აცილება.<sup>93</sup> ხოლო, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ კი დამზღვევემა განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოიწვია ზიანი.<sup>94</sup>

მთლიანობაში, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართალი იმ პრივილეგიას, რომელსაც „შეზღუდული პასუხისმგებლობა“ ჰქვია, თავის ზღვარს უწესებს. ამ ზღვარისმიღმა ეს პრივილეგია უჩინარდება დამის მიღმა მოქმედება პირისათვის ინვესტს იმ შედეგს, რომ იგი სრული პასუხისმგებლობით წარსდგება კანონის წინაშე.

შესაბამისად, ცხადია, რომ პრივილეგიას მოჰყვება პასუხისმგებლობაც, იმოქმედო კეთილსინდისიერად, კანონის ფარგლებში და გულისხმიერების სტანდარტის დაცვით, იმისათვის, რომ ასევე დაგიცვას პრივილეგიამ.

### 6.1 ქონების დემარკაციის პრინციპი

ქონების დემარკაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა სამართალში, ეყრდნობა რა კორპორაციის განცალკევებულ სამართალსუბიექტობის პრინციპს და განაცალკევებს კომპანიის ქონებას პარტნიორის პირადი ქონებისაგან, რომელსაც იგი შეიძლება დამოუკიდებლად ფლობდეს. შესაბამისად სხვადასხვაა კორპორაციისა და პარტნიორის ქონება. ამ დაყოფით კი იქმნება ორი სამართლებრივი ბერკეტი - “entity shielding”, რომელიც იცავს კომპანიას პარტნიორების პირადი კრედიტორებისაგან, და “owner shielding”,<sup>95</sup> რომელიც იცავს პარტნიორს კომპანიის კრედიტორებისაგან, რაც პრინციპში, არსობრივად, იგივეა რაც შეზღუდული პასუხისმგებლობა პარტნიორისათვის.

შესაბამისად, თუ კი პარტნიორის ქონება, პირადი ვალდებულებიდან გამომდინარე, მიექცევა აღსასრულებლად, ეს შეიძლება იყოს მისი წილი კომპანიაში (რომელიც არის მიმოქცევადი უფლება)<sup>96</sup> და არა ამ წილის ექვივალენტი ქონება.<sup>97</sup>

ქონების დემარკაციის ინსტიტუტი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ, პარტნიორის მიერ მის უგულვებელყოფას, ასევე იმის უგულვებელყოფას, რომ

<sup>92</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>93</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>94</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 829-ე მუხლი.

<sup>95</sup>Hansmann, Kraakman, Squire, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol.119, No 5, 2006,1337.

<sup>96</sup>მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-3 პუნქტი, 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>97</sup>ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 39.

კორპორაცია არის დამოუკიდებელი სუბიექტი, განიხილავენ კორპორაციული საფარველის გაჭოლვის წინაპირობად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, პარტნიორი, თავისი მოქმედებით, არღვევს საზღვარს და კომპანიის ქონებას განკარგავს როგორც საკუთარს, ამგვარად, იყენებს მას როგორც ინსტრუმენტს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად, შესაბამისად მოქმედებს ნიღბით და თავადვე არღვევს იმ სივრცეს, რა სივრცეშიც, წესით, იგი კომპანიისაგან დამოუკიდებლად განიხილება. ლოგიკურია, რომ ამ კონტექსტში, პარტნიორის მხრიდან თავს იჩენს კომპანიის კონტროლის გარკვეული ხარისხი, რომელიც წარმოადგენს გამჭოლი პასუხისმგებლობის დაყენების წინაპირობას. ამ ვითარებაში, პარტნიორის ხელში, კომპანია, თითქოს, მსხვერპლის როლში გვევლინება, ვინაიდან ირღვევა კომპანიის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა და იგი იმართება, როგორც მარიონეტი, თავისი დამოუკიდებელი მიზნების საპირისპიროდ, რომელზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი.

შესაბამისად, შესაძლებელია ცალკეული კრიტერიუმების გამოყოფა და უკვე ცხადი ხდება, კორპორაციული საფარველის უგულვებელყოფისთვის, თუ რა წინაპირობები უნდა გავითვალისწინოთ.

## 7. გამჭოლი პასუხისმგებლობა

გამჭოლი პასუხისმგებლობა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც კომპანიის უფლება, ვალდებულება ან ქმედება მიეწერება მის უკან მდგომ პირს.<sup>98</sup>

გამჭოლი პასუხისმგებლობა ლიტერატურაში ცნობილია როგორც “piercing the corporate veil”. ეს არის ბერკეტი კრედიტორების ხელში, მოვალეების არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან თავდასაცავად. მისი დამახასიათებელია სამი ნიშანი: იწვევს პირის პირად პასუხისმგებლობას კრედიტორის სასარგებლოდ, აქვს, როგორც წესი, არანებაყოფლობითი ხასიათი და გამოიყენება კორპორაციის გადახდისუნარობის დროს.

შეზღუდული პასუხისმგებლობა ნიშნავს, დატოვო კრედიტორები ანაზღაურების გარეშე, კომპანიის გადახდისუნარობის შემთხვევაში.<sup>99</sup> ჩვეულებრივ, ეს შედეგი გამომდინარეობს ასეთი სამართლებრივი ფორმის არსიდან, რაც ნამდვილად არის პარტნიორებისათვის მინიჭებული პრივილეგია, მაგრამ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც პარტნიორები ბოროტად სარგებლობენ ასეთი დაცულობით და იყენებენ ამ სამართლებრივ ფორმას არაკეთილსინდისიერად, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, თუმცა კრედიტორთა საზიანოდ, მათი ინტერესების გაუთვალისწინებლად, გამჭოლი პასუხისმგებლობა გულისხმობს, ჩამოხსნა კორპორაციული საფარველი

<sup>98</sup>Taylor A., Piercing the Corporate Veil and Fraud, 2013, 1.

<sup>99</sup> Cox James D., Hazen Thomas L., Business Organizations Law, 2011, 69.

კორპორაციული ნიღბით მოქმედ პირს და დააყენო მისი პირადი პასუხისმგებლობა, თუ კი კორპორაციას არ გააჩნია ანაზღაურებისათვის საკმარისი აქტივები.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ზოგად შემთხვევებზე საუბრისას, თეორიაში, თავდაპირველად ასახელებენ დაფუძნების საკითხს, კერძოდ, თუ კი კომპანია დაფუძნებული არ არის კანონის შესაბამისად, იგი ვერ ისარგებლებს შეზღუდული პასუხისმგებლობით.<sup>100</sup> ეს წესი მსგავსია, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც. გარდა ამისა, რაც შეეხება უკვე შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის მქონე კომპანიებს, მათთან მიმართებაში, ამ ინსტიტუტის გამოყენებისათვის, უნდა დამტკიცდეს, რომ კომპანია არის თაღლითური, ფასადური და წარმოადგენს მისი წევრების ალტერ ეგოს (ე.ი. ემსახურება მის უკან მდგომი პირის პირად ინტერესებს) ან ის უბრალოდ ინსტრუმენტი (ე.ი. საშუალება მის უკან მდგომი პირის პირადი მიზნის განსახორციელებლად) წევრების ხელში.<sup>101</sup> ამ ორ თეორიაზე ქვემოთ კიდევ გვეჩვენება საუბარი. ამასთან, პირთა ასეთი ქმედება უნდა იწვევდეს არამართლზომიერ და უსამართლო შედეგს მესამე პირის მიმართ.<sup>102</sup>

გამჭოლი პასუხისმგებლობის მოქმედება იწვევს სამგვარ შედეგს, კერძოდ, კორპორაციული საფარველის გარღვევას პარტნიორამდე, დედა კორპორაციამდე ან კორპორაციასთან დაკავშირებულ კორპორაციებამდე. პირველ ორ შემთხვევაში პასუხისმგებელ კომპანიასა და მის უკან მოქმედ პირებს შორის არსებობს დაქვემდებარებული კავშირი, მესამე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს არა დაქვემდებარებულ, არამედ დამოუკიდებელ, მაგრამ ერთად მოქმედ კოალიციურ ჯგუფთან. შესაბამისად, ასეთი ურთიერთობებისათვის დოქტრინა ცნობილია, როგორც ვერტიკალური და ჰორიზონტალური გამჭოლი პასუხისმგებლობის სახელით.<sup>103</sup>

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის უგულვებელყოფა, არ ნიშნავს მისი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის უგულვებელყოფას (ამის მტკიცებულებას სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს). ასეთი უგულვებელყოფის მიზანია, პირისათვის იმ პრივილეგიის ჩამორთმევა, რომლითაც მან ბოროტად ისარგებლა.

მიუხედავად იმისა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტი, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, გადახდისუნარო საწარმოს ვალებისათვის აღსრულების მისაქცევად მის უკან მდგომ პირებზე, მისი მტკიცების ტვირთი საკმაოდ მძიმეა და საჭიროებს განსაკუთრებული გარემოებების არსებობას, ვინაიდან სამართლის

<sup>100</sup> Cox James D., Hazen Thomas L., Business Organizations Law, 2011, 33.

<sup>101</sup> იქვე.

<sup>102</sup> Charles B., Brittany N., The Five Most Common Ways to Pierce the Corporate Veil and Impose Personal Liability for Corporate Debts, 2016, 2.

<sup>103</sup> Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), 2 Minnesota Journal Business Law & Entrepreneurship 1, 2003, 420.

აღნიშნული დოგმა, წარმოადგენს საგამონაკლისო შემთხვევას შებენიერი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის უგულებელყოფისათვის. ეს ინსტიტუტი, შეიძლება გახდეს ძალაუფლების გადაჭარბების საშუალება მოსამართლის ხელში, შესაბამისად, საჭიროა მისი ლიმიტირება, ისევე როგორც ლიმიტირება იმ იმუნიტეტისა, რომელსაც პარტნიორს კორპორაციული საფარველი ანიჭებს.

### **8. პასუხისმგებლობისაგან დაცული მონაკვეთი - დოქტრინათა შეპირისპირება**

პასუხისმგებლობისაგან დაცული მონაკვეთი არის შუალედი პირის სრულ პასუხისმგებლობასა და სრულ უპასუხისმგებლობას შორის. რეალურად, ეს არის სივრცე, სადაც პირი დაცულია პასუხისმგებლობისაგან. ერთი მხრივ, იგი ზღვარს უვლავს დამდგარ პასუხისმგებლობას და არ უშვებს მას ამ სივრცეში, მეორე მხრივ კი, დაცულ პირს უწესებს ზღვარს, სადამდეც მას შეუძლია, ამ სივრცის ფარგლებში მოქმედოს და იგრძნოს თავი დაცულად, ესე იგი უწესებს ზღვარს მის უპასუხისმგებლობას და ამით, პირის უპასუხისმგებლო ქმედებისაგან, იცავს სამართლებრივ სივრცეს. დაცულმა პირმა უნდა იცოდეს, რომ თუ კი მისი მოქმედება გადააბიჯებს ლიმიტირებულ საზღვარს, ასევე გასცდება პასუხისმგებლობა მის შემაკავებელ ბარიერს და გაქრება დამცავი სივრცე.

აღნიშნული თეორია ცხადად წარმოგვიდგენს პასუხისმგებლობის შებენიერ რეალურ სახესა და ხასიათს, რომ იგი არ არის აბსოლუტური და სინამდვილეში შემოფარგლულია ბარიერებით და გააჩნია თავისი მოქმედების პირობები და შემოსაზღვრული სივრცე. ეს თავისებურება ემსახურება იმას, რომ დაცვის პრივილეგია, არ იქცეს ბერკეტად დაცული პირის ხელში, რომელსაც ის ბოროტად გამოიყენებს.

მნიშვნელოვანია სწორედ იმ წინაპირობების განსაზღვრა, რომელიც დაცული პირის ქმედებას ზღვარს მიღმა მოიაზრებს და ქმნის წინაპირობას დამცავი ბარიერების მოშლისათვის.

სწორედ ამ თეორიაში იკვეთება შებენიერი პასუხისმგებლობისა და გამჭოლი პასუხისმგებლობის თანაარსებობა, შეპირისპირება და ურთიერთჭიდილი. ერთი დოქტრინა არ არის მეორის არსებობის გამომრიცხველი, არამედ ისინი არსებობენ ერთად და წარმოადგენენ შეპირისპირებულ ორ სამართლებრივ ძალას, რომელთაგან ხან ერთ იმარჯვებს, ხან მეორე, იმისდა მიხედვით, თუ რა გარემო პირობებთან გვაქვს საქმე. როცა კი შებენიერი პასუხისმგებლობით დაცული პირი, მინიჭებული პრივილეგიის სანაცვლოდ, უპასუხისმგებლობას გამოიჩენს, გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, ყოველთვის მზად იქნება, აამოქმედოს თავისი სადამსჯელო უფლებამოსილება და აღადგინოს წონასწორობა და სამართლიანობა.



შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის ძალაუფლება მოქმედებს მხოლოდ კეთილსინდისიერი პირის ხელში, გამჭოლი პასუხისმგებლობის ძალაუფლება კი მხოლოდ არაკეთილსინდისიერი პირის წინააღმდეგ.

## 9. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო კრედიტორები კორპორაციული საფარველის წინაშე

კორპორაციული საფარველი არის იმუნიტეტი, რომლითაც იფარება პარტნიორი კორპორაციისათვის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის არჩევას. საფარველს გააჩნია ორმაგი დაცვის ფუნქცია - ერთი მხრივ პარტნიორისა, კომპანიის კრედიტორებისგან, მეორე მხრივ კი კომპანიისა, პარტნიორის კრედიტორებისგან. ასეთ სამართლებრივ ფორმას გააჩნია ეკონომიკური მიზანი, კერძოდ ის, რომ ახალისებს ბიზნესის დაწყების გადანყვეტილებას, როცა პირებს არ სურთ გარისკონ მთელი თავისი ქონებით და მეორე, ხელს უწყობს ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილე პირთა (როგორც პარტნიორის, ასევე კომპანიის) გადახდისუნარიანობას. თუმცა ეს პრივილეგია, შესაძლოა თავის ტკივილი აღმოჩნდეს კომპანიის კრედიტორთათვის, რადგან კომპანიის გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, ისინი ვეღარ შეძლებენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კრედიტორის უფლებები შესაძლოა წარმოიშვას ხელშეკრულებით ან კანონის საფუძველზე. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სახელშეკრულებო და კანონისმიერი კრედიტორები. სწორედ ამ უკანასკნელთა ჯგუფს მიეკუთვნება, სამოქალაქო სამართლის თვალსაწიერიდან, სახელმწიფო, რომელსაც, საგადასახადო ურთიერთობაში, სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს. ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სახელშეკრულებო კრედიტორები, მეორე მხარესთან ურთიერთობაში საკუთარი ნებით შედიან, მაშინ როდესაც კანონისმიერი კრედიტორების შემთხვევაში მოთხოვნის უფლება კანონიდან გამომდინარეობს. როგორც წესი, ეს შეიძლება იყოს დელიქტით მიყენებული ზიანის საფუძველზე (მაგალითად, როგორც ეს იყო Unocal Inc.-ის საქმეში,<sup>104</sup> სადაც დაზარალებული მხარის ზიანი გამოიწვია კომპანიის საქმიანობამ და უსაფრთხოების ზომების დაუცველობა, ადგილობრივი მოსახლეობისა და მუშახელის ონკოლოგიური დაავადებების მიზეზი გახდა<sup>105</sup>), უსაფუძვლო გამდიდრების ან სხვა კანონისმიერი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. მეორე ნიშანი, რაც მათ განასხვავებთ, ისაა, რომ კანონისმიერი კრედიტორები სახელშეკრულებო კრედიტორებთან შედარებით, უფრო მეტად დაუცველები არიან კორპორაციული საფარველის წინაშე, ვინაიდან მათ არ აქვთ საშუალება მოლაპარაკების ეტაპზე,

<sup>104</sup>McCulloch J., Tweedale G., *the Indefensible: The Global Asbestos Industry and Its Fight for Survival*, Oxford University Press: Oxford, 2008, ნაშრომიდან: Stefan H C Lo, *Piercing of the Corporate Veil for Evasion of Tort Obligations*.

<sup>105</sup>Adams v Cape Industries PLC [1990] Ch 443.

წინასწარ გათვალონ, მხარესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის რისკები.

პრობლემა განსაკუთრებით მწვავე შეიძლება იყოს, როდესაც კომპანიამ მოგება სწორედ ისეთი მოქმედებებისგან მიიღო, რომელმაც გამოიწვია პასუხისმგებლობის დადგომა, ან როდესაც, კორპორაციული სტრუქტურა ჩამოყალიბებულია იმ მიზნით, რომ პარტნიორმა განაცალკევოს საკუთარი პასუხისმგებლობები კომპანიის პასუხისმგებლობისაგან, ხოლო კომპანიას არ გააჩნია მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის სახსრები.<sup>106</sup> იმისათვის რომ არ მოხდეს კომპანიის საქმიანობით გამოწვეული რისკების იმ კრედიტორებზე გადაკისრება, რომლებიც დაზარალებულნი არ არიან ქმედებებით, საჭიროა მათი უკეთესი დაცვის მექანიზმის შემუშავება, კერძოდ, ასეთი კრედიტორების ხელში არსებულმა ბერკეტმა, რომელსაც გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი გულისხმობს, უნდა აღადგინოს სამართლიანობა.

არსებობს სამი შემთხვევა, რომელიც წარმოაჩენს, როდის არის მართლზომიერი პირის კორპორაციული საფარველით პარტნიორის დაცვა და როდისაა სამართლიანი გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება.

პირველი მაგალითია, როდესაც რამდენიმე პირი აარსებს საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმით, იმ მიზნით, რომ მათ სურთ წარმატების მიღწევა, მაგრამ არ სურთ გარისკონ მთელი პირადი ქონებით. ისინი საქმეს უძღვებიან სათანადო გულისხმიერებით, მაგრამ მათი ბიზნესი არ აენცო. ამ შემთხვევაში, სამართლიანია პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივი ფორმის გამოყენება,<sup>107</sup> ვინაიდან შესაბამისობაშია იმ მიზანთან, რასაც თავად ამ სამართლებრივი ფორმის ჩამოყალიბების ისტორიული მიზანი ემსახურება. სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე “A Saloman & Co Ltd”-ის<sup>108</sup> შემთხვევაში.

მეორე შემთხვევაა, როდესაც პირთა მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაარსება, მიზნად ისახავს არა წარმატების მიღწევას მართლზომიერი საქმიანობით, არამედ იყენებს ამ ინსტიტუტს, კრედიტორების ხარჯზე, პირადი მოგების მისაღებად.<sup>109</sup> ასეთ შემთხვევაში, პრივილეგია, გამოყენებულია, როგორც საშუალება, თაღლითური გზით მოგების მიღების მიზნით. ასეთი შემთხვევა ახლოს დგას სისხლის სამართლის დანაშაულთან და როგორც წესი, პარტნიორი სისხლის სამართლით მაინც არის პასუხისმგებელი, თუმცა მეორე საკითხია, რომ კრედიტორები, რომლებიც

<sup>106</sup>Stefan H C Lo, Piercing of the Corporate Veil for Evasion of Tort Obligations, 2017,1.

<sup>107</sup>ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 56.

<sup>108</sup>Saloman v. A Saloman & Co Ltd [1897] AC 22.

<sup>109</sup>ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 57.

დაზარალებულნი ამგვარი ქმედებით, მხოლოდ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობით, ვერ იქნებიან დაკმაყოფილებულნი. ვფიქრობ, ასეთ დროს, სამართლიანი იქნება, თუ კი პარტნიორი ვერ ისარგებლებს შეზღუდული პასუხისმგებლობის იმუნიტეტით.

მესამე შემთხვევა უკავშირდება სიტუაციას, როდესაც კორპორაცია შეიქმნა მოგების მიღების მიზნით, მაგრამ, პარტნიორებს არ სურდათ აეღოთ დანაკარგების რისკი და გადაეკისრებინათ იგი კრედიტორებისათვის. თუმცა, წინა შემთხვევისაგან განსხვავებით, პარტნიორები ახდენენ ხელშემკვრელი მხარის ინფორმირებას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.<sup>110</sup> ეს ქმედება ექცევა მართლზომიერების ფარგლებში და იმსახურებს დაცვას. თუ კი რისკის მიუხედავად, მხარე მაინც შევა ასეთ კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ითვლება, რომ იგი იღებს ამ რისკს და არ შეიძლება კომპანიის დამფუძნებელ პირებს მოეთხოვოთ პასუხისმგებლობა. სწორედ აქ იკვეთება ის, რასაც “bargain power” ეწოდება, ესე იგი „მოლაპარაკების ძალაუფლება“, როდესაც მხარეებს აქვთ შესაძლებლობა რისკების გათვლისა.

სწორედ, მესამე შემთხვევასთან უნდა აღინიშნოს, რომ არასახელშეკრულებო კრედიტორებს, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ არანებაყოფლობით კრედიტორებს, ეს შესაძლებლობა არ გააჩნიათ. შესაბამისად, მათ წინაშე, გამოირიცხება შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიის გამოყენების ეს მესამე შემთხვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ არასახელშეკრულებო კრედიტორებთან, კორპორაციული საფარველის გაჭოლვის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ პირველი ორი შემთხვევისათვის, ესე იგი, იმის მიხედვით, ექცევა თუ არა ხელმძღვანელ პირთა საქმიანობა მართლზომიერების ფარგლებში. შეიძლება პარტნიორებმა თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა, სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რისკების მეორე მხარეზე გადაკისრებით, მაგრამ ვერ გაექცვიან პასუხისმგებლობას კანონისმიერ კრედიტორებთან, ბრალის არსებობის შემთხვევაში, ესე იგი მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგია გამოიყენება კრედიტორების საზიანოდ და პირადი სარგებლის მიღების მიზნით.

#### **10. კორპორაციული საფარველი, როგორც ვალდებულებისათვის თავიდან არიდების საშუალება, კანონისმიერ კრედიტორებთან მიმართებაში**

გამჭოლი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლები და წინაპირობები მოქმედებს კანონისმიერი კრედიტორების შემთხვევაშიც, ესე იგი, მოქმედებენ გადასახადებისაგან თავის არიდების დროსაც.

<sup>110</sup>ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 57.

კანონისმიერ კრედიტორებთან ურთიერთობის წარმოშობა, შესაძლოა, განაპირობოს კანონით განსაზღვრულმა ვალდებულებამ, მაგალითად, როგორც ესაა საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული, გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი პირის ვალდებულება, გადაიხადოს გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.<sup>111</sup> ასევე, შეიძლება, წარმოიშვას დელიქტით მიყენებული ზიანის შედეგად, მაგალითად, თუ კი კომპანია, თავისი საქმიანობით, ზიანს მიაყენებს პირების ჯანმრთელობას.<sup>112</sup> შესაძლებელია, კანონისმიერი ვალდებულება, წარმოიშვას სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც ხშირია დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში, მაგალითად, როდესაც სასამართლო ავალებს ერთ პირს, შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, მეორე პირის მიმართ.<sup>113</sup>

ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში, გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის, კანონისმიერ კრედიტორებთან მიმართებაში, განასხვავა ერთმანეთისაგან ვალდებულებისათვის თავის არიდების ნიშანი, უკვე დამდგარ ზიანსა და იმ ზიანს შორის, რომელიც შესაძლოა, რომ მომავალში დადგეს.

ამ მხრივ, საყურადღებოა სასამართლო დავა Adams v Cape Industries PLC. საქმე შეეხებოდა ინგლისურ კომპანიას (Cape Industries), რომელსაც ჰყავდა შვილობილი კომპანიების ჯგუფი. კომპანია მათი საშუალებით აწარმოებდა სამთამადნო სამუშაოებს სამხრეთ აფრიკაში და მოიპოვებდა აზბესტოსის მინერალს. მისი ერთ-ერთი შვილობილი კომპანია - NAAC, აწარმოებდა გაყიდვებს ჩრდილოეთ ამერიკაში. საქმე ის იყო, რომ ეს მინერალური წარმოადგენდა საშიშ ნივთიერებას ჯანმრთელობისათვის და შედეგმაც არ დააყოვნა - ონკოლოგიური დაავადებებით დაავადდნენ როგორც მოსახლეობა, ასევე დაქირავებული მუშახელი. კომპანიას არ მიუღია უსაფრთხოების ზომები, მუშახელს არ ჰქონია დამცავი აღჭურვილობა. დაზარალებულთა ჯგუფმა ტექსასში, სარჩელი აღძრა NAAC-ის, Cape Industries-ისა და დანარჩენი შვილობილი კომპანიების წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც Cape Industry დაეთანხმა სარჩელს და დაევალა ზიანის ანაზღაურება, მან დაიწყო ამერიკული NAAC-ის ლიკვიდაცია, ნაცვლად კი ორი ახალი კომპანია შექმნა, რომელიც მისი წინამორბედის ფუნქციებს იწარმოებდნენ. ცხადი იყო, რომ დედა საწარმომ ჩაიფიქრა, მის ამერიკულ კომპანიას არავითარი კავშირი აღარ ჰქონოდა აზბესტოსის საქმესთან, ვინაიდან მისი აქტივები NAAC-ში მნიშვნელოვნად მცირდებოდა, დაკისრებული ვალდებულების გამო. შედეგად, როცა კიდევ ერთმა ჯგუფმა აღძრა სარჩელი, დედა კომპანია ისევ

<sup>111</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>112</sup> Adams v Cape Industries PLC [1990] Ch 443.

<sup>113</sup> Tiu Shi Kian v Red Rose Restaurant Sdn Bhd [1984]. მოცემულ საქმეში, N1 კომპანიას დაევალა, არ შეემალა N2 კომპანიის საქმიანობისათვის ხელი. N3 კომპანიამ, რომლის ტერიტორიაზეც ახორციელებდა ეს ორი საწარმო საქმიანობას და რომელიც ასევე ფლობდა N1 კომპანიას, N2 კომპანიას აუკრძალა ტერიტორიაზე შესვლა. სასამართლომ გამოიყენა კორპორაციული საფარველის გარღვევის პრინციპი და მიიჩნია, რომ N3 კომპანია იგივე იყო რაც N1 კომპანია და შესაბამისად, N1 კომპანიამ დაარღვია სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება.

დაეთანხმა შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამ დროს კი მას უკვე აღარ ჰქონდა NAAC-ის აქტივები შტატებში, ხოლო ბრიტანეთში არსებულ აქტივებზე, კომპანიამ იცოდა, რომ აღსრულება ვერ მიეცეოდა (ბრიტანეთის სააპელაციო სასამართლომ, ამის დასტურად, აშშ-ს სასამართლოს გადაწყვეტილების იურისდიქცია, კომპანიის ბრიტანულ აქტივებზე, არ გაავრცელა). დაზარალებული ჯგუფი ითხოვდა, რომ მომხდარიყო კორპორაციული საფარველის გარღვევა, NAAC-ის ნაცვლად, თვალის ასახვევად შექმნილ კომპანიებზე. სასამართლო დაეთანხმა, რომ ახალი კორპორაციები, თვალის ასახვევად იყო შექმნილი, იმ მიზნით, რომ Cape Industries-ს იმგვარად გაეგრძელებინა მოღვაწეობა ამერიკაში, რომ დაემალა მასში თავისი მონაწილეობა, ამასთან, თავისუფალი ყოფილიყო ამერიკული სამართალწარმოებისგან, როგორც თავად, ასევე, მისი ახალი შვილობილები. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც არ გამოიყენა გამჭოლი პასუხისმგებლობა ახალი კორპორაციების მიმართ, იმ არგუმენტით, რომ Cape Industries-ის კომპანია უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა კორპორაციული სტრუქტურა იმისთვის, რომ თუ კი იგი მომავალში, საქმიანობას განახორციელებდა, თავისუფალი ყოფილიყო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და ასეთი პასუხისმგებლობა, კორპორაციების ჯგუფთაგან, სხვა წევრზე გადაეკისრებინა. მოსამართლის აზრით, კორპორაციული სტრუქტურის გამოყენება, თავად კანონით იყო დადგენილი და ამის უფლებას, კომპანიას, თავად კანონი აძლევდა. და თუნდაც კომპანიის მიზანი ყოფილიყო გაყიდვების წარმოება, დელიქტური პასუხისმგებლობის აღების გარეშე, რაზეც დაობდა მოსარჩელე მხარე, მოსამართლის აზრით, კომპანია უფლებამოსილი იყო, ამგვარი ორგანიზება გაენა თავისი საქმიანობისთვის, დაეცვა შვილობილი კომპანიები, რომლებსაც ფინანსები ესაჭიროებოდა და ჰქონოდა იმედი, რომ სასამართლო „სალომანის პრინციპით“ იხელმძღვანელებდა.

თუმცა, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ ასეთი ქმედება შეიცავდა გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელ ელემენტს - უკვე არსებული პასუხისმგებლობისაგან გაქცევისა და თავის არიდების სახით, სხვა კორპორაციული საფარველის საშუალებით. საქმის ასეთი გადაწყვეტა ქმნიდა ცუდ პრაქტიკას, ვინაიდან ნიშნავდა, რომ კომპანიას შეეძლო გაქცეოდა პასუხისმგებლობას კანონისმიერი კრედიტორების წინაშე, ისე, რომ არ ყოფილიყო გათვალისწინებული კორპორაციის სამოქალაქო საზოგადოების ინტერესები და საჯარო წესრიგი, რომელიც გულისხმობდა კომპანიის მიერ საქმიანობის იმგვარად განხორციელებას, რომ არ მიეყენებინა ზიანი საზოგადოებისთვის და მიეღო მაქსიმალური ზომები, ზიანის თავიდან ასაცილებლად. ეს გულისხმობს სწორედ იმას, რომ კომპანიას გააჩნია სოციალური პასუხისმგებლობა და არ შეიძლება მისი მიზნები, მხოლოდ მის მენილეთათვის მოგების მოტანით შემოიფარგლოს.

საქმის ასეთი გადაწყვეტით, სასამართლო აყალიბებდა იმგვარ პრაქტიკას, რომ თუ კი საწარმოს, მაგალითად, კამერალური შემონების შედეგად, დაეკისრებოდა გადასახადი, შემდეგ კი დიდი ოდენობით საურავი და კომპანიის უკან მოქმედი პირები გადაწყვეტდნენ ვალდებულებისგან გაქცევას საწარმოს ლიკვიდაციითა და სანაცვლოდ, ფასადური კომპანიების შექმნით, საქმე გადაწყდებოდა იმგვარად, რომ სასამართლო ახალ კომპანიებს მიიჩნევდა დამოუკიდებელ სუბიექტებად და ვერ მოხდებოდა კორპორაციული საფარველის გარღვევა ახლადწარმოქმნილ კორპორაციებამდე. ასეთი ორგანიზმების ჩამოყალიბება კი ჩაითვლებოდა მართლზომიერად, იმაზე მითითებით, რომ მათ ჰქონდათ უფლება, აერჩიათ შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა და რომ ეს ფორმა, სწორედ პასუხისმგებლობის შეზღუდვას ითვალისწინებდა. შესაბამისად, ეს გასაქანს მისცემდა პირთა ქმედებებს, ემოქმედათ საჯარო წესრიგის მოთხოვნათა უგულვებელყოფით და მიყენებული ზიანი გადაკისრებნათ დაზარალებულ პირებზე. ესე იგი, ფართოდებოდა პრივილეგიის გამოყენების არეალი იქამდე, სადამდეც მას წესით უნდა ჰქონოდა ზღვარი.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მნიშვნელოვანია თითოეული კორპორაციის არსებობა და მისი შენარჩუნება, მაგრამ როდესაც იგი უპირისპირდება საჯარო წესრიგსა და დამკვიდრებულ პრინციპებს, საქმე უნდა გადაწყდეს ამ უკანასკნელის უპირატესობით, იმისათვის რომ შენარჩუნდეს სამართლებრივი წონასწორობა, თავად სამართლის სისტემა და სამოქალაქო ურთიერთობების სამართლიანი ბალანსი.

აღნიშნული გადაწყვეტილება, შემდგომში, სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული სხვა გადაწყვეტილებაში,<sup>114</sup> რომელიც იმავე მოვლენებს ეხებოდა და სადაც ამერიკის სასამართლომ თქვა, რომ Cape Industries-ს სქემაში იყო „თაღლითობისა“ და „უსამართლობის“ ისეთი ელემენტი, რომელიც დააკმაყოფილებდა გამჭოლი პასუხისმგებლობის სტანდარტებს, ვინაიდან მიმართული იყო არა მომავალი ვალდებულებების შესაზღუდად, არამედ უკვე არსებული ვალდებულებებისათვის თავიდან არიდებისთვის.

ესე იგი, სამართლიანია, როდესაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იქმნება, მომავალი საქმიანობის განსახორციელებლად, გარკვეული პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიზნით, მაგრამ არაა სამართლიანი, როდესაც ასეთი საზოგადოება იქმნება უკვე არსებული ვალდებულებებისათვის თავის არიდებისა და ფორმალური განცალკევების მისაღწევად.

შესაბამისად, იკვეთება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისათვის ორი შემთხვევა: 1. როდესაც კომპანია იქმნება იმ მიზნით, რომ დამფუძნებელმა თავი აარიდოს პირად პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშობა კომპანიის

<sup>114</sup>Craig v Lake Asbestos of Quebec Ltd., 541 F. Supp.182 [1982]

**მომავალივალდებულებებისთვის** (ფორმის ბოროტად გამოყენების პირობებში) და 2. როდესაც კომპანია იქმნება უკვე არსებული ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით. ორივე შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის საჭირო თანდართული ნიშნები. ორივე შემთხვევაში, სახასიათოა პირადი სარგებლის ელემენტი მიყენებული ზიანის კრედიტორებზე გადაკისრებით.

ამასთან, შესაძლოა კომპანია თავის დროზე, არ იყოს დაფუძნებული არამართლზომიერი ქმედების განსახორციელებლად, თუმცა მისი დაფუძნების შემდეგ, მაკონტროლებელმა პირმა განახორციელოს ასეთი ქმედება, სადაც კომპანიის სტრუქტურა გამოყენებულია არამართლზომიერი ქმედებისთვის, ფასადად,<sup>115</sup> თაღლითობისთვის, პასუხისმგებლობის ასარიდებლად. ასეთ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს არა დაფუძნების მიზანს, არამედ ტრანზაქციას, განხორციელებულ ქმედებას, რომელაც შექმნა უსამართლო მდგომარეობა და მიაყენა კრედიტორს უსამართლო ზიანი.

თაღლითობის ელემენტის მტკიცების ტვირთი მძიმეა, მაგრამ ასეთის არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს იგი აძლევს უფლებას თამამად გამოიყენოს გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტი, იმისათვის, რომ აღმოფხვრას უსამართლო შედეგი.<sup>116</sup> თაღლითობის კომპონენტს, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევებისათვის, ინგლისური სამართალი, მიიჩნევს ღირსად, რომ უკუაგდოს „სალომანის პრინციპი“, გამოიყენოს გამჭოლი პასუხისმგებლობა და შერაცხოს კომპანია ფასადად.<sup>117</sup>

### 10.1 კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა

კორპორაციას, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრს, გააჩნია სოციალური პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ კანონების დაცვას, საქმიანობის განხორციელებას კეთილსინდისიერად, სათანადო გულისხმიერებით. ზემოთ აღნიშნულ საქმეში, შეგვიძლია მნიშვნელოვანი პარალელის გავლება, კერძოდ - კომპანიას, რომელიც აწარმოებს ქიმიურ ნივთიერებებს, აქვს ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები, იზრუნოს თანამშრომლებზე, ხოლო სანარმოს, რომელიც რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად, ვალდებულია, დაიცვას კანონი და გადაიხადოს კუთვნილი გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, გამოიჩინოს გულისხმიერება სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის მიმართ და არ გადააკისროს მას ზიანის უსამართლო რისკი. გულგრილობა ამ ვალდებულებების მიმართ და მათი თავიდან არიდების მცდელობა, წარმოშობს კორპორაციული საფარველის გარღვევის საფუძველს.

<sup>115</sup>Taylor A., Piercing the Corporate Veil and Fraud, 2013, 1.

<sup>116</sup>Wibberley J., Chambers G., Di Gioia M., Lifting, Piercing and Sidestepping the Corporate Veil, 1.

<sup>117</sup>Anderson P., The Corporate Veil, 2017, 3.

## 11. კორპორაციული საფარველის გაჭოლვის ზოგადი წინაპირობები

კორპორაციული საფარველის გარღვევის ზოგადი წინაპირობების ჩამოთვლისას, პირველი ინდიკატორები, შეფასებისთვის, საჯარო წესრიგი და დარღვეული სამართლებრივი ბალანსი უნდა იყოს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კვლევის ობიექტი ხდება არამართლზომიერი ქმედების ჩამდენი პირების მოტივების, ქმედებების, ამ პირებსა და საწარმოს შორის ურთიერთობის ტიპის დადგენა, რა დროსაც, ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, წინა პლანზე ინაცვლებს „ავენტის“, „ალტერ ეგოსა“ და „ინსტრუმენტალური“ თეორიები.<sup>118</sup> სწორედ მათგან გამომდინარე უნდა შეფასდეს სხვა დანარჩენი წინაპირობები. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად, უნდა დგინდებოდეს პირის კომპანიამდე დომინირება და კონტროლი, რომელიც გამოყენებულია არამართლზომიერი ქმედების ჩასაღწევად, კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენებით და არსებობდეს მიზეზშედეგობრიობა ასეთ ქმედებებსა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის.

გამჭოლი პასუხისმგებლობისათვის წინაპირობებს წარმოადგენს:

გადახდისუენარობა - იმისათვის, რომ მოხდეს კორპორაციული საფარველის გარღვევა, აუცილებელი წინაპირობაა, რომ პასუხისმგებელი კომპანია იყოს გადახდისუენარო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორს აქვს შესაძლებლობა, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კომპანიის აქტივებიდან. აქედან გამომდინარე, გამჭოლი პასუხისმგებლობის მოთხოვნის დასაყენებლად, საქმეში უნდა არსებობდეს კომპანიის გადახდისუენარობის მტკიცებულება. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც კომპანიის გადახდისუენარობის დროს, დირექტორი არ აცხადებს გადახდისუენარობის შესახებ და არ იწყებს პროცედურას.<sup>119</sup> ასეთ შემთხვევაში, სამართლიანი იქნება, თუ კი საკმარისად ჩაითვლება კრედიტორის მხრიდან გადახდისუენარობის დადასტურება და გადახდისუენარიანობის მტკიცების ტვირთი დაეკისრება მოპასუხე მხარეს, რადგან მათ შესაძლებლობებშია, ამტკიცონ კომპანიის მოქმედი აქტივების შესახებ ინფორმაცია.<sup>120</sup> ამასთან, ვინაიდან, თემა ეხება ისეთ განსაკუთრებულ კრედიტორს, როგორც სახელმწიფო და რომელსაც სსიპ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს, ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ მისთვის

<sup>118</sup> John H. Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), Minnesota Journal of Business Law and Entrepreneurship, 2003, 3.

<sup>119</sup> შენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი ადგენს დირექტორის ვალდებულებას, განაცხადოს კომპანიის გადახდისუენარობის შესახებ.

<sup>120</sup> ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუენარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016, 23.



კანონით მინიჭებული უფლება გადახდისუუნარობის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანაზე.<sup>121</sup>

ინსტრუმენტალური თეორია - პარტნიორი კომპანიას იყენებს როგორც ინსტრუმენტს, საშუალებას ვალდებულებებისათვის თავის არიდების მიზნით და მის ხელში კომპანია წარმოადგენს მარიონეტს. სახეზეა დომინირების ელემენტი კომპანიის საქმიანობაზე და კომპანიის ქმედებები უშუალოდ გამომდინარეობს პარტნიორის დომინირებით.

ალტერ ეგო - მაკონტროლებელი პირი არის კომპანიის ალტერ-ეგო, წინა პლანზეა წამოწეული პარტნიორის პერსონალური სურვილები და მიზნები, კომპანიაზე კონტროლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ კომპანია გვევლინება როგორც პარტნიორის ეგოს გამოძახილი, უგულვებელყოფილია კომპანიის სამართალსუბიექტობა და დამოუკიდებელი მიზნები.

იდენტიფიკაცია - მნიშვნელოვანია, განისაზღვრონ ის პირები, რომლებიც დგანან კორპორაციის უკან და მოქმედებენ მისი სახელით, ე.ი უნდა მოხდეს კომპანიის ვალდებულებებისათვის სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. როგორც წესი, არ ხდება კომპანიის პასუხი პარტნიორებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელთა მიმართაც გამოირიცხება ბრალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან იცოდა მეორე პარტნიორის ქმედებების შესახებ.

მნიშვნელოვანი კონტროლი - ასეთ გარემოებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პარტნიორი იმდენად ერევა კორპორაციის საქმიანობაში და კონტროლი აღწევს ისეთ ხარისხს, რომ იკარგება კორპორაციის დამოუკიდებლობა და განცალკევებული სამართალსუბიექტობა. ასეთ დროს, ფაქტობრივად, პარტნიორი და კომპანია ხდება იდენტური და კომპანია წარმოადგენს პარტნიორის ნიღაბს. კონტროლი, ესე იგი დომინირება, არამხოლოდ ერთ პირს შეუძლია განახორციელოს, არამედ პირთა ჯგუფსაც, რომელსაც გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგალითად ხმათა უმრავლესობით. თუმცა ასეთი კონტროლი, გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, პრობლემას წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როცა კონტროლი გამოყენებულია არამართლზომიერი ქმედების განსახორციელებლად, საწარმოს სუბიექტივიზმის უგულვებელყოფით, რომელიც იწვევს შედეგად, კრედიტორების დაზარალებას.<sup>122</sup>

<sup>121</sup> გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>122</sup> Hofstetter, Parent responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly, ნაშრომიდან: 9. ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუუნარობის დროს - გამოწვევის შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016.

ჩრდილოვანი დირექტორი - იგი წარმოადგენს პირს, რომელიც გავლენას ახდენს საწარმოს ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირთა გადაწყვეტილებებზე და ფაქტობრივად მართავს საწარმოს.<sup>123</sup> აღნიშნულ მდგომარეობას აქვს განგრძობითი და არაერთჯერადი ხასიათი. შესაბამისად, შესაძლოა დადგეს ასეთი პარტნიორის პასუხისმგებლობა ხელმძღვანელი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, კრედიტორთა მიმართ დამდგარი ზიანისათვის, თუ კი დადასტურდება მისი ჩრდილოვანი ხელმძღვანელობა, ე.ი. ჩაითვლება ჩრდილოვან დირექტორად.

აგენტის თეორია - გამოთქმულია მოსაზრება, რომ კომპანიისა და მაკონტროლებელი პირის ურთიერთობა, შეიძლება მიემსგავსოს აგენტისა და პრინციპალის, ე.ი. რწმუნებულისა და მარწმუნებლის ურთიერთობას, როდესაც კომპანია მართულია პარტნიორთა მიერ და მოქმედებს როგორც აგენტი, მხოლოდ მარწმუნებლის ნებითა და სახელით,<sup>124</sup> ხოლო პასუხისმგებლობის საკითხის დადგომისას, სწორედ მარწმუნებელია ის სუბიექტი, რომელიც რწმუნებულის ქმედებებისათვის პასუხს აგებს.

იდენტურობა - ეს ნიშანი გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც კომპანიის მიზანი იგივეა, რაც პარტნიორის მიზანი და კომპანიის ქონება იგივეა, რაც პარტნიორის ქონება, ესე იგი დაკარგულია კომპანიისა და პარტნიორის გამიჯვნა და მათ შორის საზღვრები, უგულვებელყოფილია ქონების დემარკაციისა და დამოუკიდებელი სუბიექტობის პრინციპი. იგულისხმება, რომ პარტნიორი თავადვე უგულვებელყოფს შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპებს და სამართალმაც იგი ამ პრივილეგიის გარეშე უნდა განიხილოს.

არასათანადო კაპიტალიზაცია<sup>125</sup> - ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც საწარმოს კაპიტალი არ არის მისი საქმიანობის ადექვატური. საქართველოს კანონმდებლობა, არა ადგენს კაპიტალის სავალდებულო ოდენობას, მაგრამ ასეთი ფაქტი შეიძლება გახდეს კორპორაციული საფარველის გარღვევის საფუძველი, უფლების ბოროტად გამოყენების კონტექსტში, თუ კი კომპანია გამოყენებულია არამართლზომიერად, ვალდებულებების ასარიდებლად და კრედიტორს მიაღგება ზიანი.

ქონების აღრევა - გულისხმობს შემთხვევას, როცა შეუძლებელია კომპანიისა და პარტნიორის ქონების განცალკევება, ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ რომელი ქონება რომელ სუბიექტს ეკუთვნის. ხშირად ეს შემთხვევა მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის იმგვარ წარმოებას, რომ შეუძლებელი ხდება დაიდენტიფიცირდეს

<sup>123</sup> Companies Act (2006), §251.

<sup>124</sup> Shreya R., The ITAT Ruling in the NDTV Case: Piercing the Corporate Veil in Tax Matters, 2017.

<sup>125</sup> Charles B., Brittany N., The Five Most Common Ways to Pierce the Corporate Veil and Impose Personal Liability for Corporate Debts, 2016,2.

კომპანიის ქონება. შედეგად, იკარგება ამ ორი სუბიექტის განცალკევებულობა, შესაბამისად ისინი, განიხილებიან პასუხისმგებლობისათვის ერთიან წარმონაქმნად.

კორპორაციულ ფორმალობათა დაუცველობა<sup>126</sup> - ეს არის შემთხვევა, როდესაც კომპანია არ იცავს იმ ფორმალობებს, რომლებიც განაპირობებენ მის დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას, მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიშის ქონა, დამოუკიდებელი ბუღალტრული აღრიცხვა, საკუთარი საწარმო ნიშნის, სახელის ქონა, დირექტორთა და პარტნიორთა საკუთარი კრება, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ფინანსური დამოუკიდებლობა.<sup>127</sup> ასევე, აღსანიშნავია, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობისთვის საჭიროა, ეს ფაქტები განაპირობებდნენ სამართალსუბიექტობის დარღვევასა და დგინდებოდეს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი.

თაღლითობა - გულისხმობს კრედიტორის შეცდომაში შეყვანას განზრახ, ფაქტების დამალვის ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, ან ინფორმაციის ნამდვილობაში დარწმუნების გარეშე - დაუფიქრებლობით, თუმცა ეს უკანასკნელი სახეზე ვერ გვეჩვენა გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, ვინაიდან, ასეთი დანაშაული მოიცავს მხოლოდ განზრახვის ელემენტს. შესაბამისად, განსახილველ თემასთან მიმართებით, თაღლითობა გულისხმობს პირის განზრახ ქმედებას.

საჯარო წესრიგი - ეს არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც აუცილებელია, რომ სტაბილურად შენარჩუნდეს და რომლის დარღვევაც, მიანიშნებს სამართლიანობისა და წესრიგის აღდგენის საჭიროებაზე. სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, მასში მოიაზრება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, რომელთა დარღვევაც, არა მარტო კონკრეტული პირების უფლებებს არღვევს, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს და ზოგადად, სამოქალაქო ბრუნვისა და ურთიერთობების სტრუქტურას.<sup>128</sup> საჯარო წესრიგი და სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, მოიცავს კრედიტორის უფლებას, იყოს სამართლიანი პასუხისმგებლობის მატარებელი, თუნდაც, ანაზღაურების გარეშე, „სამართლიანად“ დარჩენით, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის, მხოლოდ, მართლზომიერად გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა.

<sup>126</sup> Janine M. Lloyd, *The Limitations of Limited Liability*, 2017, 2.

<sup>127</sup> Dobson, *Lifting the Veil in four Countries: the Law of Argentina, England, France and United States*, *International and Comparative Law Quarterly*, Vol. 35. No.4 1986, 863, ნაშრომიდან: ზუბიტაშვილი ნ., *პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან*, თბილისი, 2016, 150.

<sup>128</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-813-764-2015.

კორპორაციული საფარველის გარღვევისთვის, აუცილებელია არსებობდეს პირის მიერ კომპანიის მართვა იმგვარად, რომ სახეზე იყოს ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევათაგან რამდენიმე მაინც, ასევე, პირის ქმედება იყოს არამართლზომიერი, ინვესტორს უსამართლო შედეგს კრედიტორის მიმართ და სახეზე იყოს, ამგვარი ქმედებებით, კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი.<sup>129</sup>

## 12. პარტნიორის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

თუ კი დადასტურდება პარტნიორის არამართლზომიერ ქმედებასა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი, შეიძლება პასუხისმგებლობა არ დადგეს, მიუხედავად ყველაფრისა, თუ კი არსებებს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები. 1. თუ კი კრედიტორმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა მეორე მხარის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ აიღო რისკი შესაძლო შედეგებზე, ან 2. როდესაც კრედიტორს არ ჰქონია ინფორმაცია, მაგრამ გააჩნდა შესაძლებლობა ასეთი ინფორმაციის მიღებისათვის და არ გამოიყენა იგი.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ასეთი გარემოებები, სახეზე ვერ გვექნება არასახელშეკრულებო კრედიტორებთან მიმართებით, რომელთა შემთხვევაშიც, საერთოდ არ არსებობდა წინასახელშეკრულებო ურთიერთობა. შესაბამისად, ასეთ ურთიერთობებში, საკუთხის გადანყვეტისას, საკმარისია ბრალისა და მიზეზობრივი კავშირის დადასტურება.

თუმცა კანონისმიერი კრედიტორების წინაშე, შესაძლებელია არსებობდეს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება კომპანიის პასიური პარტნიორებისათვის. ეს არ გულისხმობს წილების გადანაწილების კუთხით, პარტნიორის ხმათა უმცირესობის შემთხვევას, ვინაიდან, კანონი მათ ანიჭებს უფლებამოსილებას, დააყენონ პასუხისმგებლობა იმ პარტნიორებისა, რომლებიც არამართლზომიერად მოქმედებენ და მიჰყავთ კომპანია სავალალო შედეგებამდე. „პასიურობა“ გამოიხატება იმ არარსებულ შესაძლებლობაში, სცოდნოდათ კომპანიის არამართლზომიერად მართვის შესახებ და წინააღმდეგობა გაეწიათ ასეთი ქმედებებისათვის.

## 13. კორპორაციული საფარველის გაჭოლვა გადასახადებისაგან თავის არიდების დროს

გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევებისთვის, ისევე, როგორც, ზოგადად, კანონისმიერ კრედიტორებთან, შესაძლებელია, მოხდეს კორპორაციული

<sup>129</sup> Presser, Piercing the Corporate Veil, 2011, 40, ნაშრომიდან: ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარიანობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016.

საფარველის გარღვევა ფიზიკურ პირამდე ან კორპორაციამდე (კორპორაციულ ჯგუფამდე). შესაბამისად, შესაძლებელია, გამოეყოთ ოთხი შემთხვევა, რომელთა მიმართაც, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტრუმენტი.

1. როდესაც ფიზიკური პირი (პარტნიორი ან პარტნიორები), ქმნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. მისთვის მთავარია მოგების მიღება, არ ითვალისწინებს სახელმწიფოს, როგორც კრედიტორის ინტერესებს, თავს არიდებს გადასახადის გადახდას გადასახადების შემცირებით ან დეკლარაციის წარუდგენლობით,<sup>130</sup> დარღვეულია საზოგადოების სამართალსუბიექტობა, უგულვებელყოფილია საზოგადოების დამოუკიდებელი მიზნები, პარტნიორი მას იყენებს, როგორც არამართლზომიერი მოგების მიღების საშუალებას და რაც მთავარია, იმედი აქვს იმ კორპორაციული საფარველისა, რომელშიც არის გახვეული და თუ კი საგადასახადო ორგანო აღმოაჩენს დარღვევას, დააკისრებს შემცირებული გადასახადის გადახდას ან, მითუმეტეს, საურავს, იგი სალაროს ცარიელს დაახვედრებს კრედიტორს, იმ სარგებელს, კი რომელიც, კომპანიის შეუსრულებელი ვალდებულებებით, პირად ბიუჯეტში მიიღო, იმედოვნებს, რომ სახელმწიფოსათვის ხელშეუხებელი დარჩება. შესაბამისად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის ბოროტად გამოყენება აშკარაა და ამ შემთხვევისათვის, კორპორაციული საფარველი, პარტნიორამდე უნდა გაიჭოლოს.

2. როდესაც, სახეზეა პირველი შემთხვევისათვის მოყვანილი წინაპირობები, გარემოებები და ქმედებები, თუმცა საწარმოს უკან დგას სხვა მაკონტროლებელი საწარმო (ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში სახეზეა დედობილი და შვილობილი კომპანია) და გადასახადებისათვის თავის არიდების სქემას ის ახორციელებს, ე.ი იყენებს ვალდებულ საწარმოს გადასახადებისათვის თავის არიდების მიზნით, როგორც მარიონეტს, ნილაბს. კონტროლის სათანადო ხარისხის არსებობისას, ასეთ შემთხვევაში, კორპორაციული საფარველი მაკონტროლებელ (დედობილ) საწარმომდე უნდა გაიჭოლოს.

3. როდესაც, ვალდებული საწარმოს ქმედებებს ახორციელებს და აკონტროლებს კორპორაციული ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ეკონომიკურად<sup>131</sup> (სახელშეკრულებო ან დე-ფაქტო კავშირი). თუ კი არსებობს კონტროლის სათანადო ხარისხი და ჯგუფი ვალდებულ კომპანიას იყენებს ამგვარი საქმიანობის განსახორციელებლად, კორპორაციული საფარველი უნდა გაირღვეს

<sup>130</sup> ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014, 556.

<sup>131</sup> გამომდინარეობს ერთიანი ეკონომიკური კავშირის თეორიიდან (Single Economic Unit) რომელიც უგულვებელყოფს ეკონომიკურად მჭიდროდ დაკავშირებული კომპანიების დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას და განიხილავს მათ ერთ მთლიანობად.

კორპორაციულ ჯგუფამდე, რომლის წევრებიც, სოლიდარულად იქნებიან პასუხისმგებელი კრედიტორის, ამ შემთხვევაში - სახელმწიფოს წინაშე.

4. როდესაც, ამგვარი საქმიანობის განმახორციელებელი პირები, გამოაცხადებენ ვალდებული სანარმოს ლიკვიდაციას, ხოლო სამენარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით ქმნიან ახალ კორპორაციას (კორპორაციებს) იმისათვის, რომ ფორმალურად გაემიჯნონ ყოფილი სანარმოსათვის დაკისრებულ ვალდებულებებს, საქმიანობის შეუწყვეტლად. (როგორც ეს მოხდა Cape Industries-ის შემთხვევაში). ამ შემთხვევაში, უნდა დადასტურდეს ახლადშექმნილ კორპორაციასთან ფასადურობა და შედეგად, კრედიტორისათვის მიყენებული არამართლზომიერი ზიანის ასანაზღაურებლად, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, კორპორაციული საფარველი უნდა გაირღვეს ახალ კორპორაციებამდე.

ყოველივე ამის შემდეგ კი, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის არამართლზომიერად გამოყენების შედეგად, მიყენებული ზიანის ანაზღაურებით, აღდგება სამართლებრივი წონასწორობა და სამოქალაქო სამართლებრივი წესრიგი.

#### **14. პარტნიორის პასუხისმგებლობის მოცულობა და სახე**

თუ კი დამტკიცდება, რომ პარტნიორის მხრიდან, ადგილი ჰქონდა კორპორაციული სტრუქტურის ბოროტად გამოყენებას და არსებობს გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების წინაპირობები, აღსრულების მიზნებისათვის, მნიშვნელოვანი ხდება საკითხი, თუ რა მოცულობით უნდა აგოს პარტნიორმა პასუხი კრედიტორის წინაშე და როგორია პასუხისმგებლობის სახე.

თუ კი მივეყვებით იმ მსჯელობას, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას შორის განსხვავებას, მხოლოდ კორპორაციული საფარველი წარმოადგენს, ლოგიკური იქნება იმის თქმა, რომ კორპორაციული საფარველის გარღვევის შემდგომ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისაგან სხვა აღარაფერი რჩება თუ არა სოლიდარული პასუხისმგებელი საზოგადოება, რომლის პარტნიორებიც, კრედიტორების წინაშე, სანარმოს ვალდებულებებისთვის, სოლიდარულადვე აგებენ პასუხს.

აქედან გამომდინარე, თუ კი კრედიტორს უფლება ჰქონდა, რომ სანარმოსაგან მოეთხოვა სრული ანაზღაურება, რომელიც ვრცელდებოდა როგორც ძირ დავალიანებაზე, ასევე საურავზე, აღნიშნული მოთხოვნა რჩება უცვლელად სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად განხილული სანარმოს მიმართ და შესაბამისად, პარტნიორები სოლიდარულად ხდებიან პასუხისმგებელი სრულ ვალდებულებაზე.

შესაბამისად, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ვალდებულების სრულად შესრულება. თუმცა გასარკვევია, მისი მოთხოვნა პირდაპირ მიემართება თუ არა პარტნიორებისაკენ.

ვინაიდან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაშიც, კრედიტორის ვალდებულების დაკმაყოფილება უპირველესად ხდება საწარმოს ქონებიდან, ხოლო თუ კი საწარმოს არ აღმოაჩნდება საკმარისი სახსრები, ამის შემდგომ ხდება პარტნიორების პირადი ქონებიდან ვალის ამოღება, ასევე უნდა მოვიქცეთ გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას. შესაბამისად, საქმე გვაქვს სუბსიდიურ პასუხისმგებლობასთან. პარტნიორებისაგან ვალის ამოღება კრედიტორს შეუძლია მხოლოდ საწარმოს გადახდისუნარიანობისას.

## 15. შუალედური დასკვნა

საწარმო წარმოადგენს თავის პარტნიორთაგან დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელსაც გააჩნია საკუთარი ქონება, საკუთარი უფლებები და მოვალეობები და არის ქმედუნარიანი, დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც მონაწილეობს სამეწარმეო ურთიერთობაში საკუთარს სახელი და ასევე გააჩნია საპროცესო უფლებაუნარიანობა.

საწარმოს ინტერესები შეიძლება არ ემთხვეოდეს მის ხელმძღვანელთა პირად ინტერესებს, ვინაიდან მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელთ, საწარმოსაგან როგორც წესი, მოგების მიღების ინტერესი აქვთ, საწარმოს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი დამოუკიდებელი ინტერესები, რასაც სოციალური პასუხისმგებლობიანობა წარმოადგენს. საწარმოს ინტერესია დაიცვას კანონი და კეთილსინდისიერად მოეკიდოს კრედიტორთა და მესამე პირთა ინტერესებს, დაიცვას თავისი დასაქმებული პირების შრომითი უფლებები და უსაფრთხოება.

პარტნიორი ვალდებულია დაიცვას ზღვარი საწარმოსთან მიმართებაში, იმოქმედოს საწარმოს ინტერესებში და დაიცვას ქონების დემარკაციის პრინციპი, არ გამოიყენოს კორპორაციული სტრუქტურა პირადი მიზნების განსახორციელებლად, ვალდებულებისაგან თავის არიდებისათვის, კრედიტორთათვის უსამართლო ზიანის გადაკისრებით. თუ კი იგი თავადვე დაარღვევს საწარმოს სამართალსუბიექტობას და გადაკვეთს ზღვარს, ასევე გადაკვეთს პასუხისმგებლობისაგან დაცულ ზღვარს გამჭოლი პასუხისმგებლობის სამართლებრივი ინსტრუმენტი.

პასუხისმგებლობის შეზღუდვის დოქტრინა არის პარტნიორისათვის მინიჭებული პრივილეგია, ხოლო გამჭოლი პასუხისმგებლობა ამ პრივილეგიის მაკონტროლებელი ბერკეტი, შექმნილი იმისათვის, რომ პირებმა ბოროტად არ გამოიყენონ ასეთი პრივილეგია.

გამჭოლი პასუხისმგებლობა არ გამოიხატება საზოგადოების სამართალსუბიექტობას, რის მაგალითსაც სოლიდარული პასუხისმგებლობა წარმოადგენს. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას განიხილავს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, რა დროსაც, პარტნიორები განიხილებიან სოლიდარულად პასუხისმგებელ პირებად კრედიტორის წინაშე.

ვინაიდან, საგადასახადო ორგანო, ჩვეულებრივ, გადახდისუნარიანი, შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის საწარმოსაგან მოითხოვდა ძირითადი თანხისა და საურავის გადახდას, ხოლო კორპორაციული საფარველის გარღვევის შემდეგ, როდესაც ხდება პრივილეგიის ჩამორთმევა და საწარმო განიხილება სოლიდარულად პასუხისმგებელი ტიპის საზოგადოებად, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ უკვე სოლიდარულად პასუხისმგებელ პარტნიორებზე გადადის ის მოთხოვნა, რომელიც კრედიტორს გააჩნდა საწარმოს წინაშე, ე.ი ძირითადი თანხისა და საურავის გადახდა პარტნიორებს ეკისრებათ სრულად და სოლიდარულად, კრედიტორის, ამ შემთხვევაში კი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების დასადგენად რამდენიმე ინდიკატორი არსებობს, რომელთაგან უპირველესად უნდა შემოწმდეს ალტერნატიული და ინსტრუმენტალური თეორიები.

განსხვავებაა, კორპორაციული საფარველის გამოყენებით, უკვე არსებული ვალდებულებებისათვის თავის არიდებასა და იმ ვალდებულებებისათვის თავის არიდებას შორის, რომელიც ჯერ არ წარმოშობილა და პარტნიორი გეგმავს მისი საშუალებებით პასუხისმგებლობის შეზღუდვას. პირველ შემთხვევაში, სახეზეა უკვე არსებული ვალდებულებებისაგან გაქცევა, რაც გაუმართლებელია, მეორე შემთხვევა კი შეიძლება იყოს მართლზომიერი, თუ კი პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივ ფორმას ირჩევს იმისათვის, რომ საწარმოს მართლზომიერი მართვის პროცესში წარმოშობილი საწარმოს ვალდებულებებისათვის პასუხისმგებლობა შემოფარგლოს საწარმოსავე ქონებით.

კორპორაციული საფარველის გარღვევა შესაძლოა მოხდეს პარტნიორ ფიზიკურ პირამდე, დედა კორპორაციამდე, კორპორაციულ ჯგუფამდე.

კორპორაციული საფარველის გარღვევისათვის, უნდა დამტკიცდეს, რომ ადგილი აქვს კორპორაციული სტრუქტურის ბოროტად გამოყენებას. ამისათვის უნდა არსებობდეს პარტნიორის მიერ საწარმოს არამართლზომიერად მართვა ჩამოთვლილი წინაპირობების შესაბამისად, საკუთარ ინტერესებში, პასუხისმგებლობის მესამე პირებზე გადაკისრებით, სახეზე უნდა იყოს კრედიტორისათვის მიყენებული



ზიანი და მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და პარტნიორის არამართლზომიერ ქმედებას შორის.

გადასახადებისათვის თავის არიდება გადასახადების შემცირებით, რეალურად, ნიშნავს ქმედების განმახორციელებელი პირის მიერ, სარგებლის მიღებას შემცირებული გადასახადების ოდენობით. ესე იგი პირი იღებს იმ სარგებელს, რასაც მართლზომიერი მოქმედებით ვერ მიიღებდა. კონკრეტულ ვითარებაში კი შეგვიძლია ასე ვთქვათ, რომ კორპორაციული საფარველის იმედით, პირმა მიიღო ის თანხა, რომელიც უნდა მიეღო სახელმწიფო ბიუჯეტს. შესაბამისად, იკვეთება ორი კომპონენტი - კორპორაციული საფარველის გამოყენება და კრედიტორისათვის ამით მიყენებული ზიანი, რაც საბოლოო ჯამში, კორპორაციული სტრუქტურის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს.

## თავი IV. დირექტორის პასუხისმგებლობა

### 1. დირექტორის ფიდეუციური ვალდებულებები

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული კორპორაციული სამართლის მთავარი პრინციპია ის, რომ კორპორაციებს პარტნიორებზე, უფრო მეტად დირექტორები აკონტროლებენ.<sup>132</sup> სწორედ ისინი განსაზღვრავენ კომპანიების საქმიანობას, ხელმძღვანელობენ, მართავენ და უდგანან სათავეში მათ. დირექტორთა ბოროდი კორპორაციული მმართველობის ცენტრალური ფიგურაა. აშშ-ს კანონმდებლობის შესაბამისად, კორპორაციები სწორედ დირექტორთა ბოროდის ხელმძღვანელობით იმართება.<sup>133</sup> სწორედ ამიტომ, დირექტორთა გავლენისა და ფუნქციური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საყურადღებოა, რომ ასეთ თანამდებობებზე, პირებმა, კომპანია მართონ კეთილსინდისიერად, გულისხმიერებითა და სათანადო მზრუნველობით. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ დირექტორს აკისრია მნიშვნელოვანი მოვალეობები კომპანიის წინაშე რასაც იურიდიულ ლიტერატურაში, ფიდეუციურ მოვალეობებს უწოდებენ.

ფიდეუციური მოვალეობები, შეგვიძლია განვმარტოთ როგორც კეთილსინდისიერი და სანარმოს ინტერესებში მოქმედების მოვალეობა. ასეთი მოვალეობები აკისრიათ როგორც პარტნიორებს, ერთმანეთისა და კომპანიის მიმართ, ასევე, სანარმოს ხელმძღვანელ პირებს, როგორცაა დირექტორი, მაგალითად. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ, ფიდეუციურ მოვალეობებზე საუბრისას, რამდენიმე მნიშვნელოვან

<sup>132</sup> Macey Jonathan R., Corporate Governance, 51.

<sup>133</sup> იქვე.

ცნებას გაუსვა ხაზი, ესენია: სამართლიანობა (fairness), პატიოსნება (honesty), კეთილსინდისიერება (good faith), ერთგულება (loyalty).<sup>134</sup>

დირექტორს, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელს, გააჩნია ვალდებულებები იმ კომპანიის წინაშე, რომელსაც სათავეში უდგას. ის კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით უნდა უძღვებოდეს საწარმოს საქმეებს და ასევე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, გულისხმიერად უნდა ეკიდებოდეს კრედიტორთა ინტერესებს. დირექტორის მმართველობასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა ჩამონათვალი, ფილდუციური ვალდებულებების სახელითაა ცნობილი, რომელთა დარღვევაც იწვევს დირექტორის პასუხისმგებლობას.

დირექტორის ფილდუციური მოვალეობების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი წინაპირობები შეიძლება ასეთი სახით წარმოვადგინოთ:

1. პასუხისმგებლობის სუბიექტი უნდა იყოს დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
2. დარღვეული იყოს ფილდუციური ვალდებულება.
3. სახეზე იყოს მისი ბრალეული ქმედება.
4. საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი და მიზეზმედევობრიობა.
5. მოთხოვნა უნდა გააჩნდეს თავად საზოგადოებას ან საზოგადოების კრედიტორს.
6. მოთხოვნა არ იყოს ხანდაზმული.<sup>135</sup>

საწარმოს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმას, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი შეიცავს და ადგენს, რომ ისინი საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, ჩვეულებრივი, სალად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. აღნიშნული, წარმოადგენს ცენტრალურ ნორმას კაპიტალური საზოგადოებებისთვის, ხოლო სააქციო საზოგადოებებისათვის, კანონი, 56-ე მუხლის მე-4 პუნქტში, დამატებით, პირდაპირ ადგენს საზოგადოების კრედიტორების მიერ სარჩელის შეტანის უფლებას დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ ფილდუციური ვალდებულებების დარღვევით მიყენებული ზიანისათვის.

### 1.1 გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა (Duty of care)<sup>136</sup>

<sup>134</sup> Klein William A., Coffee John C, JR., Partnoy F., Business Organization and Finance, 2010, 72.

<sup>135</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 182-184.

გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობის დათქმას აკეთებს როგორც აშშ-ის, ასევე, გერმანული და ქართული საკორპორაციო კანონმდებლობები. საერთო მახასიათებლების გამოსაყოფად, მიმაჩნია, რომ საჭიროა მოვიყვანოთ სამივე ქვეყნის მიერ ჩამოყალიბებული ნორმის შინაარსი.

აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, „დირექტორს ან ოფიცერს აქვთ მოვალეობა საწარმოს წინაშე, რომ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები კეთილსინდისიერად, ისე, რომ ჰქონდეთ საფუძვლიანი რწმენა, რომ მოქმედებენ საწარმოს საუკეთესო ინტერესებში და იმ გულმოდგინებით, რომელსაც ჩვეულებრივ, წინდახედული ადამიანისაგან ლოგიკურად მოელოან ასეთ თანამდებობაზე და მსგავს გარემოებებში.“<sup>137</sup>

გერმანული სააქციო კანონის თანახმად „გამგეობის წევრებმა, ხელმძღვანელობის განხორციელებისას, უნდა გამოიყენონ წესიერი და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულმოდგინება“<sup>138</sup>

რაც შეეხება ქართულ მენარმეთა შესახებ კანონს, დირექტორის მოვალეობები თავმოყრილია მე-9 მუხლის მე-7 პუნქტში და ადგენს, რომ „საწარმოს ხელმძღვანელები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნონ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება, ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.“ ვფიქრობ, ეს ნორმა, იმეორებს აშშ-ის ზემოთ მოყვანილი სამართლის ნორმის შინაარსს. ტერმინები „ყველაზე ხელსაყრელი“ და „საუკეთესო ინტერესები“ იგივეობრივია ერთმანეთისა და მოიაზრებს ისეთ გადანწყვეტილებებს, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობას ემსახურება. კეთილდღეობაში კი ვფიქრობ, უნდა მოვიაზროთ როგორც ფინანსური ინტერესის კომპონენტი, ასევე კომპანიის რეპუტაცია (რომელიც განსაზღვრავს მის სანდოობას და სიცოცხლისუნარიანობას, საბოლოო ჯამში) რომელიც მოიცავს მისპასუხისმგებლიანობას შიდა და გარე ურთიერთობებში, ასევე ფუნქციონირებას კანონის შესაბამისად.

აღნიშნულ ცენტრალურ ნორმასთან ერთად, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი ადგენს დირექტორის მოვალეობებს სს-ის თავში და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით ადგენს, რომ „დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები“, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, დადგეს

<sup>136</sup> Gevurtz Franklin A., Corporation Law, 278.

<sup>137</sup> ALI Principles of Corporate Governance, §4.01

<sup>138</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 206.

მათი პასუხისმგებლობა და თუ კი არსებობს იყენებული ზიანი, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ ფიდეჯიურ ვალდებულებათა საზღვრებში<sup>139</sup> და დაცვით, იმისათვის რომ მათი მოქმედება ჩაითვალოს მართლზომიერად.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა, ვალდებულია დირექტორი დაიცვას კანონის მოთხოვნები, მაგრამ, მისი პასუხისმგებლობის კონტექსტში, ეს გულისხმობს, უპირველესად, საჯარო-სამართლებრივ კანონმდებლობას.<sup>140</sup> თუ კი კომპანია, მაგალითად ხელშეკრულების მეორე მხარეს შესრულებას დაუგვიანებს, არ შეიძლება გახდეს დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი, ვინაიდან, შეიძლება მოხდეს ისეც, რომ სამენარმეო ურთიერთობებში, სანარმოს უღირდეს ვალდებულების შეუსრულებლობით ან შესრულების დაყოვნებით გამომწვეული დანაკარგი, ვიდრე ვალდებულების დროული და ჯეროვანი შესრულება. შესაბამისად, დირექტორის ფიდეჯიური მოვალეობის დარღვევად აუცილებლად ჩაითვლება საჯარო-სამართლებრივი კანონის დარღვევა, სამენარმეო ურთიერთობებში კი, მისი თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება, ასეთ დარღვევად, ყოველი შემთხვევა არ ჩაითვალოს.

მოვალეობათა ამ ჯგუფთან, განუყოფლად დაკავშირებული Business Judgement Rule-ის პრინციპი, რომელიც ბიზნეს გადწყვეტილების თავისუფლებას გულისხმობს და ერთგვარი შეფასების სტანდარტია. მასზე ქვემოთ, დანვრილებით გვეჩვენება საუბარი.

### 1.1.1 მართლზომიერი მოქმედების მოვალეობა

გერმანიაში არსებობს დირექტორის ე.წ. კანონისმიერი მოვალეობების ცნება, რომელიც მოიაზრებს იმ მოვალეობებს, რომლებიც დადგენილია კანონით. აღნიშნული გულისხმობს არამართო შიდაკორპორაციულ მოვალეობებს, არამედ მოვალეობებსაც კრედიტორებისა თუ მესამე პირების წინაშე.<sup>141</sup> ამ ინსტიტუტის მსგავსია აშშ-ში დირექტორის მართლზომიერი მოქმედების მოვალეობა.<sup>142</sup> ასეთ მოვალეობაში იგულისხმება ის, რომ დირექტორები ვალდებულნი არიან, მართონ სანარმო, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ე.ი. მართონ სანარო მისი საუკეთესო მიზნებიდან გამომდინარე, ოღონდ კანონის დაცვით. გერმანიაში მიიჩნევა, რომ „გამგეობის წევრების მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების კომერციული ინტერესების დაცვით და მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ

<sup>139</sup> მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>140</sup> Bisson, Frank, Die Strafbarkeit des Geschäftsführers oder Liquidators einer GmbH wegen Insolvenzverschleppung. GmbHR 13/2005. S. 843-852, ნაშრომიდან: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 279.

<sup>141</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 201.

<sup>142</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 199.

აქციონერების, კრედიტორებისა თუ თანამშრომელთა ინტერესებიც.<sup>143</sup> აღნიშნული მოვალეობა, პირველ რიგში გამომდინარეობს იმ მოვალეობიდან, რომ საწარმო, რომელიც პერსონიფიცირებულია ფიქციის ძალით და სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობს სხვა პირთა თანასწორად, ასევე მათ თანასწორადვე, აკისრია მოვალეობა იმოქმედოს კანონის საფუძველზე და იყოს კეთილსინდისიერი წევრი სამოქალაქო საზოგადოებისა. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ საწარმოს აკისრია სოციალური პასუხისმგებლობა და ეს ფაქტორი, მნიშვნელოვანია დირექტორის ფიდეუციური ვალდებულებების კონტექსტშიც, ვინაიდან, საწარმოს „საუკეთესო ინტერესებში“ მოიაზრება არა მხოლოდ მოგების გაზრდის ინტერესი, არამედ ისიც, რომ ხელმძღვანელმა პირებმა დაიცვან საწარმოს რეპუტაცია, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია სამენარმეო ურთიერთობებში და გარდა ამისა, სწორედ ფიდეუციური მოვალეობაა, აარიდო საწარმოს ის დანაკარგები (მაგ. აქციათა ფასის ვარდნა) თუ სანქციები (მაგ. ჯარიმა, საურავი), რასაც გამოიწვევს კანონის დარღვევა. ე.ი დირექტორმა, საწარმოს მართვის პროცესში, უნდა დაიცვას კანონი და გაითვალისწინოს მესამე პირთა უფლებებიც. საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ სამოქალაქო სამართლის პრინციპი - „ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის“, ქვაკუთხედია სამოქალაქო და შესაბამისად, სამენარმეო ურთიერთობებში.

### 1.1.2 „სასარგებლო“ კანონდარღვევა

გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევა არაა სტანდარტული დირექტორის ფიდეუციური მოვალეობების დარღვევის შეფასებისათვის, ვინაიდან ამ დროს სახეზე არ გვაქვს საწარმოსათვის მიყენებული ზიანი, რომელიც, როგორც წესი, განმსაზღვრელია. გადასახადებისათვის თავის არიდების დროს, საწარმო, პირიქით, ასეთი უკანონო ქმედებებისაგან, იღებს სარგებელს, ვინაიდან იზოგება ის თანხა, რომელიც ვალდებულების სახით, საწარმოს ბიუჯეტიდან უნდა გასულიყო. ფაქტობრივად, სახეზეა საწარმოს მოგება და დირექტორიც მოქმედებს საწარმოს ინტერესებში, მისთვის სარგებლის მოტანის მიზნით. ფორმალურად, დაცულია დირექტორისათვის დადგენილი მოვალეობები, მაგრამ პრობლემად რჩება კანონის დარღვევის ფაქტორი, რაც უსამართლობის განცდას აჩენს.

დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკა ერთსულოვანია იმ საკითხთან მიმართებაში, რომ დირექტორები, ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონი. არსებობს კანონის დაცვის ამ მოვალეობის ორი ასპექტი: 1. დაცვა კანონის იმ მოვალეობებისა, რომელიც აკისრიათ წასარმოს წინაშე (კორპორაციული მოვალეობები), 2. იმ წესების დაცვა, რომლებიც

<sup>143</sup> Hefermehl/Spindler in MunchKommAktG (2004) §93 Rn 19, ნაშრომიდან: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 208.

სხვადასხვა კანონებიდან გამომდინარეობენ და უზრუნველყოფენ კორპორაციის მართლზომიერ საქმიანობას (საგარეო მოვალეობები).<sup>144</sup>

მაშინ, როდესაც კორპორაციული საფარველის გარღვევისას, პარტნიორის არამართლზომიერი ქმედებით, კრედიტორს ადგება არამართლზომიერი ზიანი, დირექტორის შემთხვევაში, არამართლზომიერ სარგებელს წარმოადგენს მისი უკანონო ქმედებებით მიღებული სანარმოს მოგება, ვინაიდან ის, თუ კი კანონის დაცვით იმოქმედებდა, ვერ მიიღებდა ასეთ შემოსავალს. შედეგად, სამოქალაქო ურთიერთობების სამართლიანი ბალანსი ამ შემთხვევაშიც დარღვეულია, ვინაიდან, პირთა შემოსავლებსა და დანაკარგებს, ყოველთვის საფუძვლად უდევს კანონი, ე.ი. ყოველი სამართლებრივი შედეგი გამომდინარეობს კანონიდან. თუნდაც ეს ფაქტი არის ინდიკატორი, იმისა, რომ შემთხვევა საჭიროებს მონესრიგებას და რომ ის შედეგი, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს სამართალი, უკანონოა და არ ეკუთვნის პირს სამართლის თვალში. შესაბამისად, თუ კი წახალისებული იქნება დირექტორთა ამგვარი ქმედება, ლოგიკურად მივალთ იმ შედეგებამდე, რომ სანარმოები, ხელმძღვანელთა წყალობით, ჩაერთვებიან ამგვარ საქმიანობაში, რაც საგანგაშო მდგომარეობას შექმნის სამართლისა და სამართლიანობის დაცვის კუთხით.

როგორც აშშ-ს, ასევე გერმანული საკორპორაციო სამართალი, მიიხსენებს, რომ „კანონის დარღვევა, თუნდაც მას სარგებელი მოჰქონდეს საზოგადოებისთვის, არ არის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი“ და მას ვერც Business Judgment Rule-ის პრინციპი ვერ გაამართლებს.<sup>145</sup>

კანონის დარღვევისათვის, ხელმძღვანელ პირებს, როგორც წესი პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული წესით. მაგრამ სამოქალაქო წარმოებაში, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, კომპანიისთვის სარგებელი მოაქვთ, ის პრობლემატური საკითხი იჩენს თავს, თუ როგორ უნდა ამტკიცოს კრედიტორმა ან, მაგალითად, სანარმოს აქციონერმა, რომ დირექტორმა დაარღვია ფიდეციური მოვალეობები. უნდა ამტკიცოს, რომ დირექტორმა, გადანყვეტილების მიღებამდე, არ გამოიკვლია სრულად გარემოებები ან, რომ იგი არ მოქმედებდა რაციონალური რწმენის საფუძველზე, რომ მისი მოქმედება სანარმოს საუკეთესო ინტერესებშია, თუ უბრალოდ, ის ფაქტი, რომ მან დაარღვია კანონი, საკმარისია ფიდეციური ვალდებულების დარღვევად შერაცხვისთვის.<sup>146</sup>

<sup>144</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 394.

<sup>145</sup> იქვე.

<sup>146</sup> Cox James D., Hazen Thomas L., Business Organizations Law, 2011 2011, 326.

ამ მხრივ, საყურადღებოა აშშ-ში მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე - Miller v. AT&T,<sup>147</sup> რომლის დროსაც საკითხი ეხებოდა ამერიკულ სატელეფონო კომპანიასა და დემოკრატიულ პარტიას შორის შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც სატელეფონო კომპანიამ უფასო მომსახურება გაუწია საარჩევნო პროცესში მყოფ პარტიას, იმ იმედით, რომ მათი გამარჯვების შემდგომ, კომპანია ისარგებლებდა სამთავრობო პრივილეგიით. როდესაც აქციონერებმა მოითხოვეს პარტიისაგან მომსახურების საფასურის გადახდა და დირექტორების მიერ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის საკითხი დღის წესრიგში დადგა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, არ იყო დარღვეული Business Judgement Rule. სამაგიეროდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ დემოკრატიული პარტიის მიერ ანაზღაურება არ მომხდარა არა იმიტომ, რომ მათ არ გააჩნდათ ამისათვის საკმარისი აქტივები, არამედ, იმიტომ რომ ეს იყო უფასო მომსახურება, სანაცვლო სარგებლის მიღების მიზნით, რაც წარმოადგენდა არამართლზომიერ გარიგებას, რომელიც აკრძალული იყო კანონით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ დირექტორმა დაარღვია თავისი ვალდებულებები.<sup>148</sup>

შედეგად, გამომდინარეობს, რომ დირექტორის ფიდუციურ ვალდებულებად ითვლება, იმოქმედოს კანონის საფუძველზე. უკანონო გარიგებები და ქმედებები, წარმოადგენს ხელმძღვანელ პირთა მიერ ფიდუციური ვალდებულებების დარღვევას.

როგორც ვხვდებით, „საწარმოს ინტერესები“ არ უნდა განიმარტოს ფართოდ და არ უნდა მოიცავს ის შემთხვევა, როდესაც საწარმო დირექტორის უკანონო ქმედებებით იღებს სარგებელს.

ხელმძღვანელ პირთა ამგვარი მმართველობა ფიდუციურ ვალდებულებათა დარღვევად ამ სამი საფუძვლის გამო უნდა ჩაითვალოს.

1. ირღვევა საჯარო წესრიგი და სამართლიანი ბალანსი
2. ქმედების ნახალისება სავალალო შედეგებს გამოიწვევს
3. საწარმოს უქმნის დანაკარგებს უკანონო ქმედების შედეგად გამოყენებული სანქციის სახით, რაც ეწინააღმდეგება ზრუნვის მოვალეობებს.

### 1.1.3. Business Judgement Rule, როგორც სამენარმო გადაწყვეტილების თავისუფლება

როდესაც ვსაუბრობთ Business Judgement Rule-ის ინსტიტუტზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ამერიკული სამართლის პირმშოა და გამოიყენება მხოლოდ გულმოდგინების მოვალეობასთან (Duty of Care) მიმართებაში. მის სამშობლოდ ლუიზიანას შტატი ითვლება, როდესაც 1829 წელს მიღებული

<sup>147</sup>Miller v. AT&T, 507 F.2d 759 (3d Cir. 1874)

<sup>148</sup>Cox James D., Hazen Thomas L., Business Organizations Law, 2011, 327-328.

გადაწყვეტილებით, შტატის უმაღლესმა სასამართლომ გამოიყენა დირექტორის პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მის გადაწყვეტილებას წარუმატებლობა მოჰყვა კომპანიისთვის. სასამართლოს აზრით, პასუხისმგებლობა არ უნდა მოჰყვეს ისეთი ზიანის დადგომას, რომელიც დირექტორის ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც შესაძლოა მოსვლოდა მსგავს თანამდებობაზე მყოფ, გულმოდგინე ხელმძღვანელს. პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს ისეთი უხეში გაუფრთხილებლობისთვის (და მაშასადამე განზრახვისთვის), რომელიც არ შეიძლება მოუვიდეს ჩვეულებრივ სალად მოაზროვნე, გულმოდგინე დირექტორს. შესაბამისად, დამკვიდრდა პრინციპი, რომ სამენარეო წარუმატებლობა, არ არის დირექტორის პასუხისმგებლობის წინაპირობა.<sup>149</sup>

ასეთი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, მნიშვნელოვან და დროულ მოვლენად მიმაჩნია, ვინაიდან სამენარეო გადაწყვეტილებების სირთულიდან გამომდინარე, ხშირად წინასწარ განჭვრეტა იმ შედეგებისა, თუ რას მოიტანს საწარმოს ინტერესებისათვის, კეთილსინდისიერად და სათანადო გულმოდგინებით მიღებული გადაწყვეტილება, შეუძლებელია. ბიზნეს გადაწყვეტილებების დამახასიათებელი ნიშანია რისკი, რომელსაც შეიძლება დიდი წარმატება მოჰყვეს და ასეთი სახის უფლებამოსილება, ვფიქრობ, დირექტორს გააჩნია და თუკი გულმოდგინე დირექტორის სარისკო გადაწყვეტილება ვერ გაამართლებს, დაუშვებელია, მას მოეთხოვოს პასუხისმგებლობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს მიდგომა შექმნიდა დაბრკოლებას საწარმოთათვის და დირექტორები ვეღარ იმოქმედებდნენ თავისუფლად თავის გადაწყვეტილებებში, შესაბამისად ასეთი სიფრთხილე, სწორედაც რომ გამოიყენებოდა რისკიანი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელთაც შეიძლება დიდი წარმატება მოეტანა კომპანიისათვის. შესაბამისად, ასეთი მიდგომა გახდებოდა ერთგვარი მუხრუჭი სამენარეო და სავაჭრო ურთიერთობებში. შესაბამისად, სამენარეო გადაწყვეტილებების თავისებურებებისა და დამახასიათებელი რისკის გათვალისწინება, აუცილებლად უნდა მომხდარიყო სამართალში.

ამერიკული სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დეფინიციის გამოყენებით,<sup>150</sup> შეგვიძლია გამოვყოთ ამ კონცეპტის რამდენიმე ელემენტი.

პირველ რიგში, დირექტორს არ უნდა გააჩნდეს პირადი დაინტერესება.<sup>151</sup> აღნიშნული უნდა განიმართოს იმგვარად, რომ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, უნდა წარმოადგენდეს საწარმოს ინტერესებისათვის მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ რწმენით, რომ ასეთი ნაბიჯი მოიტანს დადებით შედეგებს. პირადი ინტერესის

<sup>149</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 215.

<sup>150</sup> ALI Principles of Corporate Governance, §4.01

<sup>151</sup> Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen, S, 42-43 ნაშრომიდან ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 218.



შეიძლება სახეზე იყოს მაშინ, როდესაც დირექტორი, გარკვეული გადანწყვეტილების მიღებისას მოქმედებს მხოლოდ საკუთარ ინტერესებში. მოტივი და შემთხვევები შესაძლოა სხვადასხვა იყოს, ასე მაგალითად, შესაძლოა პირად დაინტერესებას, ადგილი ჰქონდეს ჩვენს განსახილველ საკითხში - გადასახადების შემცირების დროს. შესაძლოა ერთი შეხედვით, ჩაითვალოს, რომ გადასახადების შემცირება და საგადასახადო ვალდებულებისათვის თავის არიდება მოხდა სანარმოს ბიუჯეტის სასარგებლოდ, თუმცა შესაძლოა აქ გამოიკვეთოს პირადი ინტერესიც, თუ კი დირექტორი მოქმედებს იმ ინტერესით, რომ დაზოგილი თანხა, საბოლოო ჯამში, მის პირად ანგარიშზე აღმოჩნდება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გადასახადებისათვის თავის არიდება, არც ერთ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არ შეიძლება ჩაითვალოს დირექტორის მიერ ფილდუციური ვალდებულების დაცვად, მიუხედავად იმისა, თუკი ამით დადებითი შედეგი მიიღო სანარმომ და მითუმეტეს, არც იმ შემთხვევაში, თუ კი დირექტორის პირადი ინტერესია წინა პლანზე წამოწეული.

მეორე ინდიკატორია საკმარისი ინფორმაციის არსებობა გადანწყვეტილების მიღებისას,<sup>152</sup> რაც გულისხმობს იმას, რომ დირექტორმა გადანწყვეტილება უნდა მიიღოს საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე. თუ კი დადასტურდება, რომ დირექტორის გადანწყვეტილება შეიცავს უხეში გაუფრთხილებლობის ნიშნებს, ეს მისი ფილდუციური ვალდებულებების დარღვევად ჩაითვლება, იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ შემთხვევაში იკარგება გულმოდგინების, მზრუნველობისა და გულისხმიერების ელემენტი და დირექტორი მოქმედებს სათანადო ყურადღების გარეშე, ხოლო ამ ჭრილში იკვეთება, რომ სანარმოს მიმართ მისი დამოკიდებულება არც ისე მზრუნველობითი და პრიორიტეტულია. უხეში გაუფრთხილებლობის ცნება შეგვიძლია იმგვარად განვმარტოთ, რომ დირექტორს გადანწყვეტილება უნდა მიეღო სათანადო ინფორმაციის, ცოდნის, ფაქტების, გათვლების, გონიერების საფუძველზე და არა მათ გარეშე, არასათანადო სიფრთხილის გამოჩენით, რომელიც არამართლზომიერი რისკის წინაშე აყენებს სანარმოს. რისკი მაშინ არის გამართლებული, როდესაც ყველა არსებული დეტალი და გარემოება გათვალისწინებულია და იძლევა საფუძველს იმის ვარაუდისა, რომ ასეთი გადანწყვეტილება მოიტანს სანარმოსათვის სასარგებლო შედეგებს, მაგრამ არამართლზომიერია რისკი, როდესაც არ არსებობს ასეთი ყურადღებიანობის ელემენტი და არაა გათვალისწინებული ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც შეეძლო მსგავს თანამდებობაზე და მსგავს ვითარებაში მყოფ გულმოდგინე დირექტორს.

აქ საყურადღებოა დირექტორის ცოდნაც, რაც შეიძლება პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, კერძოდ, დირექტორს, რომელსაც გააჩნია სპეციალური ცოდნა, ვალდებულია, რომ გადანწყვეტილების მიღებისას, გამოიყენოს ის ან თუ კი არ გააჩნია სათანადო ცოდნა, უარი თქვას თანამდებობაზე

<sup>152</sup> იქვე.

(რაც, ასევე, გამოხატულებაა სანარმოზე ზრუნვის).<sup>153</sup> ხოლო, ასევე გადამწყვეტი შეიძლება აღმოჩნდეს ე.წ „ინფორმაციული დამოკიდებულება“, როდესაც, მაგალითად, ხელმძღვანელი დამოკიდებულია სპეციალური ცოდნის მქონე პირების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე (დამოუკიდებელი ექსპერტების, აუდიტორების და ა.შ).<sup>154</sup> ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საქმე დირექტორის სასარგებლოდ გადაწყდეს და ფიდეუციური მოვალეობები დაცულად ჩაითვალოს, ვინაიდან, როგორც ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში აღვნიშნეთ, დირექტორი ვალდებულია, სათანადოდ გამოიკვლიოს ის გარემოებები და ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გადამწყვეტილების მისაღებად და რომლის გამოკვლევაც მის შესაძლებლობაშია. თუკი დირექტორი ეყრდნობა ისეთი სპეციალური ცოდნის მქონე პირების მიერ დამუშავებულ ინფორმაციას, რომელიც არ შედეს დირექტორის პროფესიულ კომპეტენციაში და მას უწევს, სანდოობიდან გამომდინარე, დაეყრდნოს ასეთ მონაცემებსა და ინფორმაციას, ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში, გამოირიცხება დირექტორის ბრალი, ვინაიდან, მან გამოიჩინა სათანადო გულმოდგინება და აღნიშნული უნდა მოექცეს ფიდეუციური ვალდებულების დაცვის სტანდარტში.

მესამე კომპონენტია კეთილსინდისიერი მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.<sup>155</sup> იმისათვის, რომ დავადგინოთ, რას ნიშნავს სანარმოს ინტერესებში მოქმედება, ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის სანარმოს ინტერესები. ასეთი შეიძლება იყოს მოგება, ვინაიდან, კაპიტალური ტიპის სანარმოების ძირითადი ინტერესი, სწორედაც, რომ მოგების მიღებას მოიაზრებს. მაგრამ, გარდა ამისა, სანარმოს ინტერესი შეიძლება იყოს ის, რომ ფუნქციონირებდეს როგორც სრულყოფილი „მოქალაქე“, ე.ი სამოქალაქო საზოგადოების წევრი, რომელიც მოქმედებს კანონის ფარგლებში, გააჩნია პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებზე, პატივს სცემს მესამე პირთა უფლებებს და სურს იყოს კარგი რეპუტაციის მქონე სუბიექტი, რაც შემდგომ, პირდაპირპროპორციულად აისახება მისდამი სანდოობის ხარისხზე, მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლის სურვილზე და შესაბამისად, მის ბიუჯეტზეც, საბოლოო ჯამში. სანარმოს რეპუტაციის ქვეშ შეგვიძლია განვიხილოთ მაგალითად მისი ზრუნვის მოვალეობა თანამშრომლების წინაშე, რომ შექმნას მათთვის უსაფრთხო შრომის პირობები, ასევე მოვალეობა მესამე პირთა ინტერესების გათვალისწინებისა, რომლის მაგალითადაც გამოდგება კუთვნილი საგადასახადო ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, რომლის საპირისპირო ქმედება - გადასახადებისათვის თავის არიდება, თავის თავში მოიაზრებს კრედიტორის მიმართ არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებასა და უსამართლო

<sup>153</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 204-207.

<sup>154</sup> იქვე.

<sup>155</sup> Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen, S, 42-43 ნაშრომიდან ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 218.

ქმედებას. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ფაქტები დამაზიანებელია და უარყოფითად აისახება სანარმოს რეპუტაციაზე. ასე, რომ, საბოლოოდ, საქმე მაინც ფინანსურ კომპონენტამდე მიდის, თუმცა ის კი ცხადია, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებმა თავისი უფლებები კანონის საფუძველზე უნდა განახორციელონ. გარდა ამისა, კანონის დარღვევა სანარმოს მიერ, იწვევს ფინანსურ სანქციებს, რაც ასევე ვერ მოექცევა სანარმოს „საუკეთესო ინტერესების“ ცნებაში და ასეთი შემთხვევაც, შედეგად, დირექტორის ფიდეციური მოვალეობის დარღვევას მოგვცემს. შესაბამისად, თუ კი მოკლედ შევაჯამებთ, დირექტორმა თავისი მმართველობა იმგვარად უნდა განახორციელოს, რომ 1. ორიენტირებული იყოს სანარმოს მოგებაზე და ასევე, 2. მისი რეპუტაციის დაცვაზე.

Business Judgment Rule მოიაზრებს ბიზნეს გადაწყვეტილების თავისუფლებას, ანუ სივრცეს, სადაც დირექტორი დაცულია პასუხისმგებლობისაგან, თავისი საქმიანობისას, გადაწყვეტილების წარუმატებლობის შემთხვევაში. შესაბამისად, თუ კი დაცული იქნება ზემოთ ჩამოთვლილი სამი კომპონენტი, ასევე იქნება დაცული სანარმოს ხელმძღვანელი პასუხისმგებლობისაგან.

## 1.2 ერთგულების მოვალეობა (Duty of loyalty)<sup>156</sup>

მაშინ, როდესაც გულმოდგინების მოვალეობა სამოქმედო წესებს ადგენს დირექტორისთვის გადაწყვეტილების მიღებისას და მიუთითებს, თუ როგორი სტანდარტის ხელმძღვანელობა მართებს მას, ერთგულების მოვალეობა უფრო მეტად ორიენტირებულია დირექტორისა და სანარმოს შორის ურთიერთობის მონერსივებაზე. ამერიკული განმარტების მიხედვით,<sup>157</sup> ამ მოვალეობათა მიმართ მოითხოვება კეთილსინდისიერებისა და სანარმოს საუკეთესო ინტერესებში მოქმედების სტანდარტი. ერთგულების ეს მოვალეობები აგებულია იმგვარ პრინციპებზე, რომ დირექტორისაგან მოითხოვს, დააყენოს სანარმოს ინტერესები საკუთარზე მაღლა, რაც იმას ნიშნავს, რომ პირადმა ინტერესმა არ უნდა გადასწონოს სანარმოს ინტერესს.

ამ მოვალეობათა ფარგლებში, კანონიდან<sup>158</sup> შესაძლებელია რამდენიმე შემთხვევის გამოყოფა: 1. ღუმილის მოვალეობა, 2. ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც მოიცავს კონკურენციის აკრძალვას და საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობას.

### 1.2.1 ღუმილის მოვალეობა

<sup>156</sup> Gevurtz Franklin A., Corporation Law, 340.

<sup>157</sup> RMBCA, §8.30.

<sup>158</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

დუმილის მოვალეობას, როგორც კიდევ ერთ სახეს ფიდუციური მოვალეობისა, იცნობს გერმანული სამართალი.<sup>159</sup> „საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებას განეკუთვნება იმ ინფორმაციის გამოყენების დაუშვებლობა, რომელიც დირექტორისათვის ცნობილი გახდა სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე. ინსაიდერული ინფორმაციით ვაჭრობა აკრძალულია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით.“<sup>160</sup> ანალოგიურ მოთხოვნას ითვალისწინებს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და ადგენს რომ სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე მიღებული ინფორმაცია, საწარმოს ხელმძღვანელმა პირებმა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა, არ შეიძლება გამოიყენონ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით. შესაძლებელია საწარმოს მხრიდან კომპენსაციის შეთანხმებაც ამ ვალდებულების სანაცვლოდ. კანონი ამ ვალდებულებას სხვა ფიდუციურ მოვალეობებთან ერთად უთითებს. საწარმოს შიდა ინფორმაციის დაცვა, მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა მისმა შიდა სივრციდან გასულა საწარმოს დიდი დანაკარგები გამოიწვიოს, ანდაც წინაპირობა გახდეს მისი საბაზრო სივრციდან გაქრობისა. შესაბამისად, აღნიშნული მოვალეობა პირდაპირ კავშირშია და გამომდინარეობს ხელმძღვანელთა ზრუნვისა და გულმოდგინების მოვალეობიდან. ამ მოვალეობასთან მიმართებაში, ამ მუხლით ჩამოთვლილი პირების პასუხისმგებლობა გამოირიცხება მაშინ, თუ არსებობს წინასწარი თანხმობა პარტნიორთა საერთო კრების მიერ. საწარმოზე ზრუნვის მოვალეობა, თანამდებობიდან წასვლის შემდგომაც გრძელდება და შესაძლოა ხელშეკრულებით გაიწეროს ასეთი ვალდებულების დაცვის პერიოდი. თუმცა, აღნიშნული ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს სამ წელს.

შესაბამისად, თუ კი მითითებული პირები დაარღვევენ ამ მოვალეობას, ისინი პასუხს აგებენ საწარმოსათვის მიყენებული ზიანისათვის.

### 1.2.2 ინტერესთა კონფლიქტი

ეს ის შემთხვევაა, როცა საწარმოს ინტერესის დაცვის გარდა, ხელმძღვანელს პირს, შეიძლება, რომ სხვა ინტერესიც გააჩნდეს. მაგალითად, როდესაც დირექტორი სხვა საწარმოშიც არის იმავე თანამდებობაზე და მოხდება ისე, რომ ამ ორი საწარმოს ინტერესები გადაიკვეთება. კანონი აკეთებს დათქმას, რომ მსგავსი ტიპის საწარმოში მონაწილეობა, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელ პირებსა და დირექტორებს, შეუძლიათ მხოლოდ პარტნიორების თანხმობის ან ამ უფლების წესდებით გათვალისწინების შემთხვევაში.

<sup>159</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 199.

<sup>160</sup> Mertens in Kölner Kommentar zum Aktiengesetz (1996 )§93, Rn.42, ნაშრომიდან: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 286.

ინტერესთა კონფლიქტის ცნების ქვეშ ექცევა შემთხვევა, როდესაც დირექტორი საკუთარ თავთან დებს გარიგებას, ერთი მხრივ როგორც საწარმოს დირექტორი და წარმომადგენელი, მეორე მხრივ კი პირადად, ან როგორც სხვა საწარმოს წარმომადგენელი. ამ დროს ინტერესთა კონფლიქტი იჩენს თავს, რადგანაც დირექტორს ამ ურთიერთობაში სხვა პირადი მოტივიც შეიძლება გააჩნდეს და შესაბამისად უკანა პლანზე იწევს საწარმოს ინტერესები. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კი პარტნიორები / აქციონერები ან დირექტორთა ბორდი თანახმა იქნებიან და მოინებებენ ასეთ ურთიერთობებს.<sup>161</sup>

ასევე ამ ცნების ქვეშ მოიაზრება კონკურენციის აკრძალვა, რაც გულისხმობს იმას, რომ საწარმოს ხელმძღვანელ პირებს არ აქვთ უფლება, განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საწარმო, პარტნიორთა ნებართვის ან წესდებით აღნიშნულზე შეთანხმების გარეშე. ამ შემთხვევაში კონკურენცია თავადვე გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობას, აქედან გამომდინარე, ეს უფლება შებლუდულია ერთგულების ამ მოვალეობით. ამ თემასთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქმე *Artedomus v del Casale*,<sup>162</sup> რომლის დროსაც მოპასუხემ დაარღვია კონკურენციის აკრძალვის პირობა და დირექტორის თანამდებობის დატოვების შემდეგ, ბიზნისი წამოიწყო სხვა კომპანიაში, რომელმაც სწორედ მოქმედებისა და სავაჭრო კავშირების ის არეალი მოიცვა, რომელშიც საქმიანობდა დირექტორის ყოფილი დამსაქმებელი საწარმო. აღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ სასამართლომ გამოიყენა გამჭოლი პასუხისმგებლობა, მიიჩნია რა ახალი კომპანია დირექტორის „სათარველად“ და ჩათვალა, რომ დარღვეული იყო დირექტორის ერთგულების მოვალეობა კონკურენციის აკრძალვის სახით და შესაბამისად, დირექტორს უნდა აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი.

## 2. ხელმძღვანელთა ბრალი

იმისათვის, რომ ხელმძღვანელთა მიმართ დადგეს პასუხისმგებლობა, აუცილებელია, რომ არსებობდეს მათი ბრალი. ამის დასადგენად კი უნდა გავარკვიოთ რა სახის სამართლებრივ შემადგენლობასთან გვაქვს საქმე. განსხვავებული სტანდარტი არსებობს გულმოდგინებისა და ერთგულების მოვალეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთგულების მოვალეობის მიმართ, დასავლეთის ქვეყნებში, მიდგომა უფრო მკაცრია და პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მარტივი გაუფრთხილებლობისთვისაც კი. ხოლო, გულმოდგინების მოვალეობის მიმართ, ვინაიდან გამოიყენება *Business Judgement Rule*-ის შეფასების მასშტაბი,

<sup>161</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 324

<sup>162</sup> *Artedomus v del Casale* (2006) 68 IPR 577.

პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს უხეში გაუფრთხილებლობისთვის.<sup>163</sup> რა თქმა უნდა, განზრახვა, თავისთავად გულისხმობს პასუხისმგებლობის შედეგს.

გაუფრთხილებლობა გულისხმობს იმ სათანადო ყურადღების არარსებობას, რომელიც ობიექტური თვალსაზრისით, შეიძლებოდა რომ გაეთვალისწინებინა ჩვეულებრივ, გონიერ ადამიანს. დირექტორის ბრალეულობა ვერ გვექნება სახეზე, თუ კი მან ყველა ზომა მიიღო და ყველა ის გარემოება გაითვალისწინა, რისი გათვალისწინებაც, ობიექტური შეფასებით, მის შესაძლებლობაში იყო კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე. ე.ი შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა ანალოგიურ თანამდებობაზე და მსგავს გარემოებაში მყოფ გულმოდგინე ადამიანს.

რაც შეეხება გადასახადებისათვის თავის არიდების კონკრეტულ შემთხვევას, რომლის დეტალებსაც სისხლის სამართლის კოდექსი გვაძლევს, ხაზგასმულია, რომ დანაშაული არის განზრახი და იგი არ შეიძლება გაუფრთხილებლობით იქნას ჩადენილი, ვინაიდან გადასახადების შემცირება, გულისხმობს მიზანმიმართულ მოქმედებებს. „ტრადიციული გაგებით, განზრახვად ითვლება მართლსაწინააღმდეგო განზრახვა და მისი დადგომის სურვილი.“<sup>164</sup> აქედან გამომდინარე, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევისათვის, იგულისხმება, რომ ასეთი ქმედების ჩამდენ პირებს ჰქონდათ ცოდნა მართლწინააღმდეგობისა და ასევე, სურვილი, ჩადენილი იგი. შესაბამისად, ასეთი განზრახვის არსებობისას, პრობლემას არ წარმოადგენს ბრალის საკითხის დადასტურება.

გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევა, წარმოადგენს დირექტორის გულმოდგინების მოვალეობის დარღვევას, პირველ რიგში იქიდან გამომდინარე, რომ დარღვეულია საქაროსამართლებრივი ნორმა, რომლის დაცვაც გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული პირებისთვის სავალდებულოა. მეორე მხრივ, კი აღიქმება დირექტორის არასათანადო დამოკიდებულება საწარმოსა და საწარმოს ე.წ „საუკეთესო ინტერესების“ მიმართ. იგი არასათანადო გულისხმიერებით ეკიდება დაკისრებულ ზრუნვის მოვალეობებს და არც საწარმოს ინტერესებია წინა პლანზე წამოწეული.

აქვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოტივზეც. ასეთი მართლწინააღმდეგობა, შეიძლება მიზნად ისახავდეს 1. საწარმოს ბიუჯეტში აქტივის მეტი ოდენობით შენარჩუნებას, ან 2. პირად გამორჩენას, როდესაც დირექტორმა იცის, რომ დაზოგილი თანხა შეუძლია პირად ანაზრაურებად მიიღოს, ან 3. მოახდინოს მისი გადინება საწარმოდან, ისე რომ ეს არ იყოს თანხვედრაში საწარმოს მიზნებთან. საკითხავია კიდევ ერთი ფაქტორი, ის

<sup>163</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 385.

<sup>164</sup> Elsing/Van Alstine, US-amerikanisches Handels – und Wirtschaftsrecht.Rn,145, ნასრომიდან: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 374.

თუ რამ მიიყვანა საწარმო გადახდისუნარობამდე, ხომ არ მოხდა შემცირებული გადასახადების გადინება მათი გადამალვის მიზნით. სწორედ ამ მომენტში აშკარადდება კორპორაციული საფარველის ბოროტად გამოყენების ნიშანიც, რაზედაც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი, როცა პირმა იცის, რომ კორპორაციული საფარველის მიღმა აღსრულება მის ჯიბეს ვერ მისწვდება. ზემოთ ცამოთვლილ სამივე შემთხვევაში, დირექტორის ბრალეული ქმედება აშკარაა და სახეზეა მისი პასუხისმგებლობის საფუძველი. თუმცა გასარკვევია, ვის წინაშე და რა ოდენობით უნდა აგოს მან პასუხი. ეს სამი შემთხვევა კი შესაძლოა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმაროს.

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ დირექტორს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წაუყენონ საწარმომ და საწარმოს კრედიტორმა, რომელსაც დირექტორის მიერ დარღვეული ფიდეიკუარი ვალდებულების გამო მიაღდა ზიანი. მეორე მხრივ, საწარმოს კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც თავად საწარმოს შეუძლია მოითხოვოს დირექტორისაგან. ეს გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, რეალურად მეტი იყოს საწარმოს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანი, მაგალითად, როგორც ეს მოხდა გადასახადებისათვის თავის არიდების დროს (სახელმწიფოს ზიანი მიაღდა როგორც შემცირებული გადასახადის მიუღებლობით, ასევე იმ დარიცხული საურავის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს ზიანის კომპენსაციას და ძირი დავალიანების განუყოფელ ნაწილს), მაგრამ დირექტორის მიერ საწარმოსთვის მიყენებული ზიანი იყოს უფრო ნაკლები (საწარმოს ზიანი მიაღდა საგადასახადო სამართალდარღვევის სედეგად დაკისრებული სანქციის ოდენობით, ხოლო ძირი დავალიანება, თავისი ბუნებით, წარმოადგენდა საწარმოს ჩვეულებრივ ვალდებულებას, ე.ი დირექტორი მას ვერ მიაყენებდა საწარმოს, როგორც ზიანს). დირექტორის ვალდებულება გულისხმობს საწარმოს წინაშე ვალდებულებას და პასუხისმგებელია საწარმოსთვის მიყენებული ზიანისათვის, თავისი საქმიანობის ფარგლებში. იგი არაა ვალდებული პირადად შეასრულოს საწარმოს კუთვნილი ვალდებულება მისი კრედიტორის წინაშე. სწორედ აქ ვლინდება განსხვავება საწარმოს პარტნიორსა და დირექტორს შორის მათი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საწარმოსთან. კრედიტორი უფლებამოსილია სრულად მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება პარტნიორს, იქიდან გამომდინარე, რომ საწარმო სრულ შესრულებაზე პასუხისმგებელი, გამჭოლ პასუხისმგებლობას კი კორპორაციული საფარველის უგულვებელყოფით, ეს ვალდებულებები პარტნიორზე გადააქვს. დირექტორი კი იმ ფარგლებშია პასუხისმგებელი, რა ფარგლებშიც მისი ბრალით შემცირდა საწარმოს აქტივი.

ეს შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც შემცირებული თანხა საწარმოს ბალანსზე ნარჩუნდება და მიზანს წარმოადგენდა საწარმოს ბიუჯეტის გაზრდა, ვთქვათ, საწარმოს ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს რომ დირექტორის დამოკიდებულება საწარმოს მიმართ შედარებით მზრუნველობითია, თუმცა ამ დროს

მას პასუხისმგებლობა დაეკისრება კანონმდებლობის დარღვევიდან გამომდინარე, რისი დაცვაც ფილუციური მოვალეობის ნაწილია.

უსამართლოდ უღერს, თუ კი დირექტორს არ დაეკისრებთ პასუხისმგებლობას ძირ თანხაზეც, თუ კი იგი მას მიითვისებს, ე.ი როდესაც გადასახადების შემცირების მიზანს წარმოადგენდა შემცირებული თანხის პირად ანგარიშზე მიღება, თუნდაც ეს იყოს ხელფასის სახით ან საწარმოდან იმგვარად გადინებით, რომ საბოლოო ჯამში ემსახურებოდეს მის პირად გამორჩენის მიზნებს. ასეთ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ის დანაკლისი, ე.ი ზიანი, რომელიც საწარმომ განიცადა დირექტორის ქმედებით და ამ შემთხვევაში უხეშადაა გამოხატული დირექტორის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება საწარმოს მიმართ. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში, საწარმოს და შესაბამისად, საწარმოს კრედიტორს, შეუძლია, მოსთხოვოს დირექტორს ანაზღაურება, როგორც ძირი თანხის (რაც იგივეა რაც შემცირებული გადასახადი), ასევე დარიცხული სანქციის ოდენობით.

შესაბამისად, სამართლებრივი შედეგი, შეგვიძლია ამ მხრივ განვასხვაოთ. სწორედ ამ კონტექსტში ენიჭება მიზანსა და მოტივს მნიშვნელობა.

### **3. ზიანი და პასუხისმგებლობის მოცულობა**

ზიანის ანაზღაურების მოვალეობა გულისხმობს ზიანის არსებობას. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, დირექტორის ფილუციური ვალდებულების დარღვევის შემთხვევისათვის, ყურადღებას, ზიანის არსებობაზე ამახვილებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს, თუ კი დირექტორის ასეთი ქმედებისგან - მოვალეობათა ბრალეულად დარღვევის შედეგად, მიადგა ზიანი, შეუძლია, მას მოსთხოვოს ასეთი ზიანის ანაზღაურება.

„გერმანული სამართლის მიხედვით, ზიანი არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა, საზოგადოების ქონების შემცირება ისე, რომ იგი კომპენსირებული არ არის ქონების ნამატი და რომელიც გამონვეულია ხელმძღვანელობის მოვალეობათა დარღვევით.“<sup>165</sup>

დირექტორის პასუხისმგებლობის დასაყენებლად, აუცილებელი კომპონენტია, რომ არსებობდეს მიზეზშედეგობრიობა დირექტორის ბრალეულ ქმედებებსა და დამდგარ ზიანს შორის.

გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს არა საწარმოსთვის მიყენებულ ზიანთან, არამედ ისეთ შემთხვევასთან, როდესაც, დირექტორის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებამ და ფილუციური ვალდებულების

<sup>165</sup>ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 401.



დარღვევამ, კომპანიისათვის სასარგებლო შედეგი გამოიწვია, საკითხი უნდა განვიხილოთ იმისდა მიხედვით, თუ კრედიტორების რა ზიანი წარმოეშვა ასეთმა ქმედებებმა და კრედიტორის რა მოთხოვნის დაპირისპირება გახდა საწარმოს მიმართ შესაძლებელი.

თუ კი ამას განვიხილავთ გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევისათვის, ცხადი ხდება, რომ იმგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც გადასახადების შემცირებით, საწარმო იღებს სარგებელს და ფორმალურად, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, არ არსებობს დირექტორის ფილუციური ვალდებულებების დარღვევით მიყენებული ზიანი. თუმცა ეს ზიანი გადაეკისრა და წარმოეშვა კრედიტორს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს.

განსახილველი საკითხია, რა დოზით წარმოიშვა ასეთი ზიანი. ფინანსთა სამინისტრო ითხოვს როგორც გადაუხდელი ძირი თანხის, ასევე მასზე დარიცხული საურავის გადახდას. ესაა ის ზიანი, მთლიანობაში, რაც განიცადა კრედიტორმა, საწარმოს მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით.

მეორე საკითხია ის, თუ ამ მოთხოვნიდან, რომელი წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას და რომელი კომპანიისათვის მიყენებულ ზიანს. თუ კი გავაანალიზებთ მოთხოვნის კონტენტს, ცხადი ხდება, რომ ძირი თანხა, თავისი არსით წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც კომპანიას უნდა გადაეხადა კანონის საფუძველზე, ე.ი წარმოადგენდა კომპანიის თავისთავად მოვალეობას კრედიტორის წინაშე. რაც შეეხება საურავს, მისი დარიცხვა მოხდა ფილუციური ვალდებულებების შეუსრულებლობით, საწარმოს გადასახადის გადაუხდელობით. ასევე, დირექტორის ფილუციური ვალდებულების დარღვევით მიყენებულ ზიანად ჩაითვლება საწარმოსათვის დარიცხული ჯარიმა, რომელსაც საგადასახადო ორგანო არიცხავს საწარმოს, საგადასახადო სამართალდარღვევისათვის. ესე იგი, დირექტორი ვალდებულია იმ ზიანისთვის, რომელმაც გაზარდა საწარმოს პასივი და რომელიც არ იარსებებდა, ვალდებულების გულმოდგინედ შესრულებისას.

აქედან გამომდინარე, დირექტორის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, უნდა შემოიფარგლოს საგადასახადო სამართალდარღვევის შედეგად დარიცხული ჯარიმის, საურავის ოდენობით.

#### **4. კრედიტორის უფლება მოთხოვნაზე**

ქართულ კანონმდებლობაში, კრედიტორების უფლება, დირექტორის მიმართ, გამომდინარეობს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტიდან, რომლის მიხედვითაც, დირექტორის ფილუციური ვალდებულების დარღვევით, საზოგადოების მიმართ წარმოშობილი ზიანისათვის, დირექტორი პასუხს აგებს სოლიდარულად და საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების

მოთხოვნაზე, ან კომპრომისი, დაუშვებელია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ამასთან, ხელმძღვანელის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ იგი მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილების შესასრულებლად. სააქციო საზოგადოებისთვის კი, კრედიტორის ასეთ უფლებას ამავე კოდექსის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი განამტკიცებს, კერძოდ კი, სააქციო საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ დირექტორისაგან მოითხოვონ ანაზღაურება, თუ კი მათ კომპანიისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია. ეს ნორმები, ფაქტობრივად, გერმანული კანონმდებლობის ანალოგიური<sup>166</sup> და კრედიტორის როგორც საპროცესო უფლებას განამტკიცებს სარჩელის საკუთარი სახელით შეტანის სახით, არამედ უფლებასაც, დირექტორის მიერ შესრულების დამოუკიდებელი მოთხოვნისა.<sup>167</sup>

როგორც წესი, დირექტორი, ფილუციური ვალდებულების დარღვევისათვის, ვალდებულია საწარმოს წინაშე და სწორედ, ეს უკანასკნელია კრედიტორის მოთხოვნების აღრესატი. მაგრამ, გამონაკლისის სახით, არსებობს შემთხვევები, როდესაც დირექტორის მიერ, ფილუციური ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორს აქვს უფლება, მიმართოს მოთხოვნა პირადად დირექტორისაკენ. ამის განხორციელება, შეიძლება, მხოლოდ, სათანადო პირობების არსებობისას:

1. თავად კომპანიას აქვს მოთხოვნის უფლება დირექტორის მიმართ, ფილუციური ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე.
2. კრედიტორს გააჩნდეს მოთხოვნის უფლება კომპანიის მიმართ.
3. კომპანიას არ შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილება (როდესაც საწარმო არის გადახდისუნარო).
4. ზიანი გამონვეულია დირექტორის მიერ, ფილუციური მოვალეობის დარღვევით.

ამ ოთხი კომპონენტის არსებობის შემდგომ, კრედიტორს უფლება ეძლევა, მიმართოს მოთხოვნა დირექტორის წინააღმდეგ. ხოლო განხილვის შემდეგ საკითხად, წინა პლანზე ინაცვლებს ის, თუ რა ოდენობით შეუძლია კრედიტორს, რომ დირექტორისაგან მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვოს, ესე იგი როგორია დირექტორის პასუხისმგებლობის მოცულობა.

ამ მხრივ, როგორც კანონის შინაარსიდან ვარკვევთ, არსებობს ორი პირობა, რომ კრედიტორს შეუძლია დირექტორისაგან მოითხოვოს: 1. ზიანის ანაზღაურება, თავისი

<sup>166</sup>ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 453.

<sup>167</sup> Knieper Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten. S. 514 წიგნიდან: ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 453.

მოთხოვნის ფარგლებში საზოგადოების მიმართ და 2. საზოგადოების მოთხოვნის ფარგლებში დირექტორის მიმართ. ეს ოდენობები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. მაგალითად, დირექტორის ვალდებულების დარღვევით, სახელმწიფო ბიუჯეტს ადგება ზიანი გადასახდელი ძირი თანხითა და დაკისრებული სანქციის ოდენობით, ხოლო საწარმოს, ზიანი ადგება მხოლოდ სანქციით, ვინაიდან ძირი თანხა, ბიუჯეტის მიმართ, თავად საწარმოს მართებს. შესაბამისად, კრედიტორს, ძირითადი დავალიანების გადახა, შეუძლია მოსთხოვოს მხოლოდ საწარმოს, საურავის ნაწილში, კი - პარტნიორსა და დირექტორს ერთად.

ესე იგი, დირექტორი პასუხს აგებს საწარმოს არსებული ვალდებულებისთვის, კრედიტორის წინაშე, იმ ოდენობით, რა ოდენობის ზიანიც მიაყენა საზოგადოებას, მისმა ქმედებებმა. შესაბამისად, დასტურდება ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ დირექტორის პასუხისმგებლობა, არ უნდა გავრცელდეს ძირ თანხაზე და შემოიფარგლოს მხოლოდ დარიცხული სანქციების ოდენობით.

როგორც თემის დასაწყისში ვნახეთ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, დირექტორისათვის მოხდა საურავთან ერთად, ძირი თანხის დაკისრება. ზემოთ განვითარებული მსჯელობის შემდგომ, შეიძლება, რომ ეს დეტალი ხარვეზად ჩაითვალოს.

## 5. დირექტორის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები

ის დირექტორები, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელმაც გამოიწვია საწარმოს მიმართ ზიანის ფაქტი, პასუხს არ აგებენ, ვინაიდან ამისათვის აუცილებელია არსებობდეს ბრალი. ე.ი ხელმძღვანელები, პასუხს აგებენ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის, ხოლო ის ვინც ბრალის გარეშეა, პასუხისმგებლობისგან უნდა გათავისუფლდეს.<sup>168</sup>

პასუხისმგებლობას გამორიცხავს ასევე, Business Judgement Rule, თუკი ხელმძღვანელის გადაწყვეტილება ამ ინსტიტუტით დაცულ სივრცეში ექცევა. მისი გადალახვისათვის, აუცილებელია, მინიმუმ, უხეში გაუფრთხილებლობის დადასტურება.

ასევე, ერთგულების მოვალეობის კონტექსტში, პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება ხელმძღვანელი, თუ კი მას აქვს საერთო კრების წინასწარი თანხმობა. ასევე, ამერიკულ სამართალში, პასუხისმგებლობა გამომრიცხება, თუ კი აქციონერები ან ბორდის წევრები მოიწონებენ დირექტორის ქმედებას.<sup>169</sup> მაგალითად, როდესაც საქმე

<sup>168</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 392.

<sup>169</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 479.

ეხება საკუთარ თავთან დადებულ გარიგებებს, როდესაც წინა პლანზე იწევს ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. შესაძლებელია, თუ კი ასეთ გარიგებას მოიწონებენ ზემოთ ხსენებული ორგანოები, გარიგება იქნება ნამდვილი და ეს არ გახდება დირექტორის ფილანთროპიული ვალდებულების დარღვევა.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, ასევე შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის შემცირება წესდებით,<sup>170</sup> რასაც ქართული სამართალი არ იცნობს. მენარმეთა შესახებ კანონი, მხოლოდ უთითებს პასუხისმგებლობაზე და არაფერს ამბობს ასეთ შესაძლებლობაზე. მსგავსს არც სამოსამართლო პრაქტიკა იცნობს. კერძოდ, დასავლეთის ქვეყნებში, შესაძლებელია, რომ გულმოდგინების მოვალეობასთან მიმართებაში, წესდებით გაიწეროს პასუხისმგებლობის შემცირება, რაც გამორიცხულია ერთგულების მოვალეობასთან და ასევე კანონის სხვა განზრახ დარღვევებთან მიმართებაში.<sup>171</sup>

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთ შემთხვევად, ასევე უნდა აღინიშნოს აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მას განსახილველად გადაეცა დირექტორის ინიციატივით (თუმცა ეს უპირობო წესი ვერ იქნება, თუ კი კრება კომპეტენტური არ არის და დირექტორი ცდილობს პასუხისმგებლობისაგან გაქცევას).<sup>172</sup> პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ასეთი შემთხვევებისთვის, არ გულისხმობს გათავისუფლებას ვალდებულებისგან, კრედიტორების წინაშე,<sup>173</sup> ე.ი ბათილია მესამე პირთათვის, ხოლო აღნიშნული მონესრიგება, აქტუალობას შიდა ურთიერთობაში იძენს. მსგავსს შინაარსს მოიცავს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი,<sup>174</sup> როდესაც ამბობს, რომ „თუ ანაზღაურება აუცილებელია მესამე პირებისათვის, საზოგადოების ხელმძღვანელთა ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილების შესაბამისად.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული კანონმდებლობაც, ანალოგიურად, ადგენს დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ბათილობას კრედიტორების წინაშე, ხოლო ასეთ შედეგს აყენებს საწარმოსთან, დირექტორის შიდა ურთიერთობაში.

ასევე ვფიქრობ, აღნიშვნის ღირსია გერმანულ და ამერიკულ სამართალში არსებული საწარმოს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი, რომელიც ფარავს გაუფრთხილებლობით საწარმოსა და კრედიტორებისათვის მიყენებულ

<sup>170</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 469

<sup>171</sup> იქვე.

<sup>172</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 476.

<sup>173</sup> იქვე.

<sup>174</sup> მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი.

ზიანს.<sup>175</sup> ვფიქრობ, ასეთი პრაქტიკის გადმოტანა ქართულ რეალობაში, დადებითი შედეგების მომტანი იქნება, ვინაიდან იმ რისკიდან გამომდინარე, რაც დირექტორთა მიერ საწარმოს ხელმძღვანელობას უკავშირდება, პასუხისმგებლობის დაზღვევის შემოღება, დანაკარგების რისკს მნიშვნელოვნად შეამცირებს, ასევე კარგი საშუალებაა საწარმოსა და კრედიტორების მოთხოვნათა უზრუნველყოფისათვის.

ხოლო რაც შეეხება, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევას, იგი თავისი შინაარსით, ვერ მიესადაგება ვერც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესაძლებლობას, თუ კი მტკიცდება ბრალი. აღნიშნული დანაშაული განზრახია, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობისაგან გამორიცხვა ვერ მოხდება ვერ დაზღვევის ინსტიტუტით, ვერც პარტნიორთა / აქციონერთა კრება და ვერც დირექტორთა ბორდი იქნება უფლებამოსილი ასეთი ქმედება მოინონოს, მისცეს წინასწარი თანხმობა ან პასუხისმგებლობა გამორიცხოს საკუთარი გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევას ვერც Business Judgement Rule-ის სტანდარტი დაიცავს და ვერც წესდებით ვერ მოხდება ასეთი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის შემცირება.

შესაბამისად, ცხადია, თუ როგორი სიმძიმის დანაშაულთან გვაქვს საქმე. თუნდაც ის, რომ დირექტორის ამგვარი ქმედებით, საწარმოს ბიუჯეტი იზრდებოდეს, მას ვერ დაიცავს პასუხისმგებლობისაგან და შესაბამისად, ბრალის არსებობის შემთხვევაში, ის პასუხს აგებს საწარმოსა ან / და საწარმოს კრედიტორის წინაშე, ფილტვიური ვალდებულების დარღვევისთვის.

## 6. შუალედური დასკვნა

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს დირექტორის მოვალეობათა, ძირითადად ორ კატეგორიად დაყოფა - გულმოდგინებისა და ერთგულების მოვალეობებად.

გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევა გულმოდგინების მოვალეობების კატეგორიის დარღვევად ითვლება და შეფასებისას Business Judgement Rule-ის სტანდარტი მოქმედებს, თუმცა, საეჭვოა და უფრო ზუსტად - შეუძლებელი, რომ ხელმძღვანელი პირის ამგვარმა მოქმედებამ ამ სტანდარტს გაუძლოს.

დირექტორის მოვალეობა, რომ არ ჩაებას გადასახადებისათვის თავის არიდების სქემაში, კანონიდან გამომდინარეობს, კანონის დაცვა კი გულმოდგინების მოვალეობის კატეგორიის ნაწილს წარმოადგენს.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის მოცულობას და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მქონე სუბიექტებს, დირექტორი პასუხისმგებელია საწარმოსათვის მიყენებული

---

<sup>175</sup> ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 481.

ზიანისათვის, ე.ი იმ დანაკლისისათვის, რომელიც მისმა ქმედებამ გამოიწვია, შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობაც უნდა შემოიფარგლოს ამ ოდენობით. სწორედ ეს განასხვავებს მის სამართლებრივ დამოკიდებულებას საწარმოს პარტნიორის სამართლებრივი კავშირისაგან საწარმოსთან. დირექტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია წაუყენოს როგორც საწარმომ, ასევე საწარმოს კრედიტორმა.

დირექტორის პასუხისმგებლობის გამორიცხვა შესაძლებელია ბრალის არარსებობის შემთხვევაში. ბრალის არსებობისას, არ შეიძლება საწარმოს კომპრომისი ან უარი დირექტორისაგან რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე, როცა ანაზღაურება აუცილებელია კრედიტორის მიმართ.

## თავი IV. სოლიდარული და სუბსიდიური პასუხისმგებლობა

### 1. სოლიდარული პასუხისმგებლობის ცნება და შინაარსი

სოლიდარული პასუხისმგებლობა გამომდინარეობს პირთა სოლიდარული ვალდებულებიდან. იურიდიულ ლიტერატურაში სოლიდარული ვალდებულება განიმარტება, როგორც შემთხვევა, როდესაც „რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.“<sup>176</sup> სოლიდარულობა ვლინდება როგორც კრედიტორთან ურთიერთობაში, ასევე ერთმანეთთან მიმართებაში. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ სოლიდარულ მოვალეთაგან ნებისმიერს შეუძლია მთლიანად დაფაროს კრედიტორის მოთხოვნა, თუმცა ამის შემდეგ, ამ საერთო ვალდებულებით გამოწვეული მათი ზარალი, მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს და დანარჩენი მოვალეები, ვალდებულნი იქნებიან შემსრულებლის წინაშე თანაბრად, შემსრულებლის წილის გამოკლებით.<sup>177</sup>

სოლიდარული ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, როგორც ხელშეკრულების, ვალდებულების საგნის განუყოფლობით, ასევე კანონის საფუძველზე. ამ უკანასკნელის მაგალითია დელიქტურ სამართალში სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევა, როდესაც ზიანი რამდენიმე პირმა გამოიწვია ერთობლივად.<sup>178</sup> ასევე კანონის საფუძველზე წარმოიშობა დირექტორთა პასუხისმგებლობა, რომელნიც დაარღვევენ ფიდუციურ მოვალეობებს და ისინი საწარმოს წინაშე, სოლიდარულად აგებენ პასუხს მიყენებული ზიანისათვის.

<sup>176</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი.

<sup>177</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>178</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი.

ერთიანი სამართლებრივი საფუძველი არაა აუცილებელი იმისათვის, რომ სოლიდარული ვალდებულება წარმოიშვას.<sup>179</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ პირები, კრედიტორის მიმართ, სოლიდარული მოვალეობი შეიძლება გახდნენ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით, რომელმაც წარმოშვა ერთიანი ზიანი. მაგალითად, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ნაშრომში განსახილველ საკითხთან მიმართებაში, კერძოდ დირექტორი და პარტნიორი, რომელთა ერთობლივმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამაც საწარმოსათვის წარმოშვა ზიანი, საწარმოს წინაშე არიან ვალდებულები ამ ზიანის ანაზღაურებაზე ერთობლივად, ანუ სოლიდარულად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი პირი, პასუხისმგებელი იყო სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის საფუძველზე, მათ აერთიანებდათ საერთო ნიშანი - ერთობლივი მართლსაწინააღმდეგო ქმედება - გადასახადებისათვის თავის არიდების ერთობლივად განხორციელება, რამაც კრედიტორს მიაყენა ზიანი. თუ კი პარტნიორის პასუხისმგებლობა წარმოიშვებოდა გადასახადებისათვის თავის არიდების საფუძველიდან, ხოლო დირექტორის პასუხისმგებლობა კონკურენციის აკრძალვის პრინციპის დარღვევიდან, მაგალითად, მაშინ, ამ ორ შემთხვევას არაფერი ექნებოდა ერთმანეთთან საერთო და საწარმოს მოთხოვნა, თითოეულის მიმართ, დამოუკიდებელი იქნებოდა.

## 2. სუბსიდიური პასუხისმგებლობის ცნება და შინაარსი

სუბსიდიური პასუხისმგებლობის ცნებას არ განამტკიცებს კანონმდებლობა, თუმცა კანონში ხშირად ვხვდებით ისეთ ურთიერთობებს, რომლის დროსაც სწორედ სუბსიდიური პასუხისმგებლობაზე ვუთითებთ. მასზე საუბრისას, საჭიროა განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს ასეთი პასუხისმგებლობა თავისი შინაარსით და რა სამართლებრივ შედეგს აყენებს.

დასავლეთ ევროპის იურიდიულ ლიტერატურაში სუბსიდიური პასუხისმგებლობა განმარტებულია როგორც შემთხვევა, როდესაც პირი პასუხს აგებს სხვა პირის მიერ ჩადენილი უმართლობისათვის.<sup>180</sup> ასეთად შეგვიძლია გავიხსენოთ წარმომადგენლობითი, შრომითი ან სადაზღვევო ურთიერთობები, არასრულწლოვნისა და კანონისმიერი წარმომადგენლის ურთიერთობა, თავდებობა და ა.შ.

სსკ-ის მეორე კარის მეშვიდე თავი წარმომადგენლობით ურთიერთობებს ეძღვნება და 104-ე მუხლი განამტკიცებს პრინციპს, რომ წარმომადგენლის (რწმუნებულის) მიერ დადებული გარიგების შედეგები წარმოიშობა წარმოდგენილი პირისთვის (მარწმუნებლისთვის). ასევე, დამსაქმებელი პასუხისმგებელია დასაქმებულის მიერ

<sup>179</sup> თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014, 512.

<sup>180</sup> Cooke J., Law of Tort (Fifth Edition), 333.

მიყენებული ზიანისათვის, თუ დასაქმებული შრომით ურთიერთობაშია დამსაქმებელთან, იგი არ წარმოადგენს მესამე პირთან ინდივიდუალ კონტრაქტორს და მისი მოქმედება განხორციელებულია სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში.<sup>181</sup> ქართულ კანონმდებლობაში სამსახურებრივ ურთიერთობას სსკ-ის 997-ე მუხლი ეძღვნება. მსგავსია სადაზღვევო ურთიერთობაც, კერძოდ, დაზღვეული პირის მიერ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს მზღვეველი.<sup>182</sup> ყველა ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ გამოირიცხება ერთი პირის პასუხისმგებლობა და ამ პასუხისმგებლობას იღებს მეორე. მაგრამ სუბსიდიური პასუხისმგებლობის ცნება უფრო რთული შინაარსისაა და მხოლოდ პირთა ჩანაცვლება მის ხასიათს ვერ აღწერს.

სუბსიდიური პასუხისმგებლობის ბუნება, კარგად ჩანს კანონისმიერი წარმომადგენლების შემთხვევაში. ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის კანონისმიერ წარმომადგენლებს.<sup>183</sup> თუმცა აქ საყურადღებოა ორი ფაქტორი: 1. ათ წლამდე ასაკის ბავშვთან მიმართებით, თუ კი შეუძლებელი იყო წარმომადგენლების მხრიდან ზიანის თავიდან აცილება, გამოირიცხება პასუხისმგებლობა. შესაბამისად, დაზარალებული ვერ მოითხოვს ანაზღაურებას, ვინაიდან, თუ კი კანონმდებელი მეთვალყურე პირების ბრალს გამოირიცხავს, არც ამ ასაკის ბავშვს მიიჩნევს პასუხისმგებლობაუნარიანად, ხოლო 2. ათ წელზე მეტი ასაკის ბავშვს თვლის ასეთი უნარის მქონედ და პირველ რიგში მას აგებებს პასუხისმგებლობას, ხოლო თუ კი მას ამისათვის საკმარისი ქონება არ აღმოაჩნდება, დამატებით, პასუხისმგებელ პირებად, ურთიერთობაში რთავს კანონიერ წარმომადგენლებს. შეგვიძლია ამას ვუნოდოთ სუბსიდიური პასუხისმგებლობა კანონის საფუძველზე. როგორც ვხედავთ, სუბსიდიურ პასუხისმგებლობას ახასიათებს გამჭოლი ხასიათი და შეიძლება ითქვას, რომ ქმედებისათვის პასუხისმგებელ პირებს დაეძებს. მაგალითად, ათ წლამდე ბავშვის წინაშე, მან ვერ ამოქმედა თავისი პასუხისმგებლობა, ვინაიდან ასეთი პირი სამართლის თვალში არ იყო პასუხისმგებლობაუნარიანი, რის შემდგომაც, მან ბავშვის უკან მდგომ პირებზე გადაინაცვლა და იპოვა პირები, რომლებიც სამართლებრივი საფუძველით იყვნენ დაკავშირებულნი პირველი პირის (ბავშვის) პასუხისმგებლობაზე. კანონში მოხმობილი ფრაზა ამბობს, რომ „დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებსაც“. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სახეზე გვაქვს ორსაფეხუროვანი პასუხისმგებლობა, რომელშიც პასუხისმგებლობის პირველი ადრესატი არის არასრულწლოვანი, ხოლო შემდგომ მისი მშობლები მასთან ერთად, თანაბარწილად. აღნიშნული სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან სწორედ ორსაფეხუროვანი სისტემით განსხვავდება, ვინაიდან სუბსიდიური პასუხისმგებლობის დროს, პირველმა პასუხისმგებელმა პირმა, შესაძლოა, ვალდებულების შესრულებით,

<sup>181</sup> Schneeman A., The Law of Corporations and Other Business Organizations (Fifth Edition), 218.

<sup>182</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლი.

<sup>183</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი.



შეაჩეროს პასუხისმგებლობის მის უკან მდგომ - სათადარიგო პირებზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში, მეორე საფეხურზე მყოფი პირები, ვალდებულნი არ არიან, რომ რაიმე ანაზღაურონ პირველი პირის მიმართ (როგორც ეს სოლიდარულ ურთიერთობებშია, თუკი ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე შეასრულებს ვალდებულებას სრულად). შესაბამისად, სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფუნქცია სრულდება, როდესაც იგი პასუხისმგებელ სუბიექტს საბოლოოდ მოძებნის. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხისმგებლობას, სამართალი, მეორე საფეხურზე მდგომ პირთა მიმართაც გამორიცხავს და აღარ რჩება სხვა პასუხისმგებელი სუბიექტი, სუბსიდიური პასუხისმგებლობა, ამ შემთხვევაშიც ამონურავს თავის თავს. შესაბამისად, სუბსიდიური პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს პირველ რიგში მდგომი პასუხისმგებელი პირისთვის, ან გადაინაცვლოს სათადარიგო - პასუხისმგებლობაზე სამართლებრივად დაკავშირებულ პირებზეც და მოიცვას პირველ პირთან ერთად ეს სათადარიგო პირებიც.

სუბსიდიურობის ცნება შეგვიძლია დავინახოთ ასევე თავდებობის სამართლებრივ ურთიერთობაში. თავდებობა, თავისი შინაარსით, გულისხმობს ერთი პირის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობისათვის, მეორე პირის (თავდების) სათადარიგო პასუხისმგებელ პირად ჩაყენებას ხელშეკრულებით. თავდებობა ხშირად გამოიყენება საკრედიტო ურთიერთობებში, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, ხელშეკრულებითაა განერილი, რომ თავდები, მოვალის ვალდებულებისათვის სოლიდარულადაა პასუხისმგებელი. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, თავდებობა იმოქმედებდა იმ ფორმით, როგორადაც ის კანონში არსებობს,<sup>184</sup> ე.ი. კრედიტორს, მხოლოდ მას შემდეგ შეეძლება თავდებს მოსთხოვოს ანაზღაურება, როდესაც პირველ რიგში შეეცდება მოთხოვნის მოვალის მიერ დაკმაყოფილებას. აღნიშნული შემთხვევა იმეორებს ზემოთ განხილულ პრინციპებს, ოღონდ, ამ შემთხვევაში ორსაფეხუროვანი პასუხისმგებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე, ხელოვნურად და სათადარიგო მოვალეები, პირველი მოვალის უკან, არა კანონის საფუძველზე, არამედ სახელშეკრულებო ნების საფუძველზე დგებიან. ე.ი ხელოვნურად იქმნება პასუხისმგებლობის ორსაფეხუროვანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც, სუბსიდიურ პასუხისმგებლობა, შემდგომ, შეუძლია რომ იმოძრაოს და ეძიოს პასუხისმგებლობის სუბიექტი. თუ კი ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იქნება თავდების სუბსიდიური პასუხისმგებლობა, ეს დააყენებს იმგვარ სამართლებრივ შედეგს, რომ პასუხისმგებლობა პირველ რიგში, მოვალის მიმართ დადგება. თუ კი მოხდება მოვალის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილება, სუბსიდიური პასუხისმგებლობის ფუნქცია აქ ამოიწურება და იგი აღარ გადაინაცვლებს თავდებ პირებზე. ხოლო მაშინ, თუკი ამ პირისგან (მოვალისაგან) ვერ მოხდება ვალის ამოღება, სუბსიდიური პასუხისმგებლობა მის უკანა ფლანგზე - სათადარიგო პირებზეც

<sup>184</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლი.

(თავდებებზე) გადაინაცვლებს, ესე იგი მოვალე და თავდები პირები გახდებიან სოლიდარულად პასუხისმგებლები კრედიტორის წინაშე. სოლიდარული პასუხისმგებლობის დროს კი კრედიტორი უფლებამოსილია, თავიდანვე დააყენოს პასუხისმგებლობა, ერთდროულად, მოვალისა და თავდები პირების მიმართ.

თუ კი შემუშავებული სქემის მიხედვით ვიმოქმედებთ, შეგვიძლია, აღნიშნული მსჯელობა გადავიტანოთ საწარმოსა და მის ხელმძღვანელ პირებს შორის ურთიერთობაზე და გავარკვიოთ, რა სამართლებრივი შედეგი დგება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებისა და დირექტორის მიერ ფილანთროპიული ვალდებულების დარღვევის შემდეგ.

### **3. შიდა და გარე ურთიერთობა**

კრედიტორებისა და მათი მოვალეების ურთიერთობების დაყოფა ერთმანეთთან მიმართებაში, შეიძლება შიდა და გარე ურთიერთობებად. გარე ურთიერთობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომ მხარეები გარკვეული სამართლებრივი საფუძვლით ექცევიან ორ საპირისპირო მხარეს, კერძოდ, ერთი მხარე ვალდებულია შესრულებაზე, მეორე მხარე კი უფლებამოსილია მოთხოვნაზე. გარე ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ე.ი როდესაც ამ საპირისპირო მხარეთა შორის სრულდება სამართლებრივი ურთიერთობა და კრედიტორ(ებ)ი კუთვნილს მიიღებს, წყდება მათ შორის კავშირი და ურთიერთობა დამოუკიდებლად გრძელდება თითოეულ მხარეს ცალ-ცალკე, ე.ი იწყება შიდა ურთიერთობა ყოფილ კრედიტორ(ებ)ში და ყოფილ მოვალე(ებ)ში.

მხოლოდ, გარე ურთიერთობის დასრულების შემდეგ, აქტუალური ხდება ერთ მხარეს მყოფ პირთა შორის შიდა ურთიერთობა. საკითხი ეხება იმას, თუ როგორ უნდა განაწილდეს მათ შორის, გარე ურთიერთობიდან მიღებული მოგება (კრედიტორებს შორის) ან განცდილი ზიანი (მოვალეებს შორის). აღნიშნული საკითხი წყდება იმ პროპორციით, რაც მათ ერთმანეთის მიმართ მართებდათ.

### **4. ვალდებულებაში წილობრივი მონაწილეობა**

თუ კი პირთა შორის ხელშეკრულებით ან წესდებით არაა მონესრიგებული შიდა ურთიერთობა, ითვლება, რომ ისინი თანაბარწილად არიან ვალდებულნი / უფლებამოსილნი ერთმანეთის მიმართ.<sup>185</sup>

მხარეებმა შეიძლება წინასწარ შეათანხმონ, თუ როგორ განაწილდება მათ შორის მოგება ან ზარალი და რა მოცულობით იქნებიან ისინი პასუხისმგებელნი ერთმანეთის მიმართ. უფლებაში ან მოვალეობაში წილობრივი მონაწილეობა, ძირითადად საწარმოში წილთა დანაწილებიდან გამომდინარეობს. იგულისხმება, რომ

<sup>185</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 462-მე მუხლის მე-2 პუნქტი და 473-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში, მოგებისა და ზარალის განაწილება მოხდება საწარმოში მათი წილების შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, თუ კი ასეთი პირები გარე ურთიერთობაში თანაბარწილად არიან მოვალეები ან კრედიტორები, შიდა ურთიერთობაში მათი ზარალი ან მოგება, წინასწარ განსაზღვრული წილების შესაბამისად გაიყოფა.

## **5. პარტნიორისა და საწარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან ურთიერთობაში**

როცა განვიხილავთ შეზღუდული პასუხისმგებლობის ტიპის საწარმოს ურთიერთობას კრედიტორთან, კრედიტორს მოთხოვნის წაყენება შეუძლია მხოლოდ საწარმოსათვის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტისათვის და მათი ურთიერთობა მიმდინარეობს ერთიერთზე. მაგრამ ვითარება იცვლება, როდესაც საქმე გვაქვს გამჭოლ პასუხისმგებლობასთან. გამჭოლი პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში, თვისობრივად, შეიძლება იგივეობრივი იყოს სუბსიდიური პასუხისმგებლობისა, ვინაიდან იგი ერთი პირის (საწარმოს) ქმედებისათვის პასუხისმგებლობას მეორე პირს (პარტნიორს) მიაწერს, დამატებით კი აქვს იმის ფუნქცია, რომ ერთსადაცხეუროვანი ურთიერთობა, ორსადაცხეუროვანი გახადოს, რაც არ შეუძლია სუბსიდიურ პასუხისმგებლობას, ვინაიდან იგი მოქმედებს უკვე არსებულ ორსადაცხეუროვან სისტემაში.

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენებისას, დოქტრინა ადგენს პასუხისმგებელ სათადარიგო პირს, რითიც იწყობა პასუხისმგებლობისათვის ორსადაცხეუროვანი სისტემა და პირველ პასუხისმგებელ პირად დგება საწარმო, მის უკან კი პირი, რომელამდეც მოხდა კორპორაციული საფარველის გარღვევა. გამჭოლი პასუხისმგებლობა, როგორც წინამდებარე ნაშრომში აღინიშნა, დგება საწარმოს გადახდისუუნარობის დროს. შესაბამისად, როცა პირველ რიგში მდგომი პირი (ე.ი საწარმო) აღმოჩნდება გადახდისუუნარო, პასუხისმგებლობა გადადის მეორე რიგში მდგომ პირზე (პარტნიორი / დედა კომპანია / კომპანიათა ჯგუფი) და ის საწარმოსთან ერთად ხდება პასუხისმგებელი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულებაზე. ხოლო, თუ კი აღმოჩნდება, რომ გადახდისუუნარო საწარმომ შეძლო თანხის მოგროვება და გადაიხადა დავალიანება, კრედიტორის მიმართ ვალდებულება შეწყდება პირველივე საფეხურზე და სუბსიდიური პასუხისმგებლობა ამოწურავს თავს. შესაბამისად, კორპორაციული საფარველის გარღვევისას, სუბსიდიური პასუხისმგებლობა გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეკისრება საწარმოს, მეორე რიგში კი საწარმოს და პარტნიორს (პარტნიორებს დედა კომპანიას / კომპანიათა ჯგუფს) ერთად. აღნიშნული ეხება ვალდებულებების გარე ურთიერთობებს კრედიტორის მიმართ.

რაც შეეხება შიდა ურთიერთობას პარტნიორსა და საწარმოს შორის, აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი დეტალი. თავდებობის დროს, მეორე რიგში მდგომ თავდებს, თუ კი ანაზღაურება მოხდება მისი მხრიდან, გარე ურთიერთობის დასრულების შემდეგ, როდესაც საქმე შიდა ურთიერთობებში ინაცვლებს, შეუძლია მოსთხოვოს პირველ რიგში მდგომ მოვალეს იმ თანხის ანაზღაურება, რა თანხითაც მან პასუხი აგო მის ნაცვლად.<sup>186</sup> საწარმოსა და ბრალეული პარტნიორის შემთხვევაში კი, მეორე რიგში მდგომ პარტნიორს, არ შეუძლია საწარმოსაგან მოითხოვოს იმ თანხის ანაზღაურება, რომლითაც მან პასუხი აგო კრედიტორის წინაშე, აღნიშნული კი აიხსნება იმით, რომ პასუხისმგებლობა დადგა არა საწარმოს, არამედ პარტნიორის ბრალეული ქმედებიდან გამომდინარე. შესაბამისად, შიდა ურთიერთობებში, იმას, თუ ვისგან არის გამონვეული ანაზღაურების მოვალეობა, მნიშვნელობა ენიჭება. თუ კი მოხდებოდა პირიქით და გადახდისუუნარო საწარმო, როგორცაა შეძლებდა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში მას წარმოეშობოდა მოთხოვნის უფლება, შიდა ურთიერთობაში, ბრალეული პარტნიორის მიმართ.

## **6. დირექტორისა და საწარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან ურთიერთობაში**

დირექტორისა და საწარმოს ურთიერთობაც, ფილუციური ვალდებულების დარღვევის შედეგად, კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის შემდგომ, ანალოგიურად, ხდება ორსაფეხუროვანი. კრედიტორის მიმართ, ე.ი გარე ურთიერთობაში, პირველ რიგის პასუხისმგებელ პირად დგება საწარმო, ხოლო თუ კი ვერ მოხდება საწარმოსაგან ვალის ამოღება, პასუხისმგებლობა გადაინაცვლებს მეორე საფეხურზე და საწარმოსთან ერთად, კრედიტორის წინაშე, პასუხისმგებლობა დაეკისრება დირექტორს.

რა თქმა უნდა, სხვაგვარი სიტუაციაა შიდა ურთიერთობაში საწარმოსა და დირექტორს შორის. მართალია კრედიტორისათვის, დირექტორის ფილუციური ვალდებულების დარღვევის შედეგად, მიყენებული ზიანის ანაზღაურება პირველ რიგში საწარმოს ეკისრება, მაგრამ შიდა ურთიერთობაში, კანონი პირდაპირ ადგენს საწარმოს უფლებას, მოითხოვოს დირექტორისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომლისთვისაც საწარმოს მოუწია პასუხისგება კრედიტორის წინაშე. თუ კი საწარმო, გადახდისუუნარობისას, ვერ აანაზღაურებს კრედიტორის მოთხოვნას და თანხის ამოღება მოხდება პირდაპირ დირექტორისაგან, აქ დამთავრდება საწარმოსა და დირექტორს შორის შიდა ურთიერთობა, ვინაიდან, დირექტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საწარმოს მიმართ არ გააჩნია, სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე - „ანაზღაურებას ითხოვენ ბრალეული პირისაგან.“

<sup>186</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 905-ე მუხლი.

## **7. დირექტორისა და პარტნიორის პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან მიმართებაში**

ამ შემთხვევაში, როდესაც განვიხილავთ დირექტორისა და პარტნიორის ურთიერთობას ერთმანეთთან მიმართებაში, უნდა ვიგულისხმოთ დირექტორი, რომელმაც დაარღვია ფიდუციური მოვალეობა და პასუხისმგებელია კრედიტორის ან სანარმოს წინაშე და პარტნიორი, რომლის მიმართაც მოხდა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება და პასუხისმგებელია ასევე, კრედიტორის ან სანარმოს წინაშე. ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება მათ მიერ განხორციელებულ ერთსა და იმავე ქმედებებს.

ვინაიდან ზემოთ განხილულ ორივე შემთხვევაში, კრედიტორის წინაშე ანაზღაურებაზე, პირველ რიგში, პასუხისმგებელი სანარმო იყო, ხოლო დირექტორი და პარტნიორი პასუხისმგებლობის მეორე რიგში დგებოდნენ, ასეთივე ორსაფეხუროვანი იქნება სურათი კრედიტორის მიმართ გარე ურთიერთობაში. სახეზე გვექნება ვითარება, როდესაც სანარმო ჩადგება პირველი რიგის პასუხისმგებელ პირად, ხოლო მეორე რიგში, პასუხისმგებელ პირებად, თანაბარწილად ჩადგებიან დირექტორი და პარტნიორი, ერთიანი საქმიანობით, კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის გამო. შესაბამისად, კრედიტორის დაკმაყოფილებას პირველ რიგში ეცდება სანარმო, ხოლო თუ ეს ვერ მოხერხდა, სანარმოსთან ერთად, თანხის ამოღება მოხდება დირექტორისა და პარტნიორის პირადი ანგარიშებიდან. იმ შემთხვევაში, თუკი სანარმო შეძლებს კრედიტორის დაკმაყოფილებას, მას წარმოეშობა მოთხოვნის უფლება დირექტორისა და პარტნიორის მიმართ. ე.ი დირექტორი და პარტნიორი ხდებიან სანარმოს მიმართ სოლიდარული მოვალეები. თუმცა სანარმოს მხრიდან რაიმეს მოთხოვნა ძნელი წარმოსადგენია, თუ კი სახეზე არ არიან სხვა წევრები და მათ მხოლოდ ბრალეული პარტნიორი და დირექტორი წარმოადგენენ.

ასეთ შემთხვევაში, გარე შიდა ურთიერთობის წარმოდგენა მხოლოდ მათ შორის შეგვიძლია, სოლიდარული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, თუკი მთლიან ვალდებულებას კრედიტორის წინაშე ერთი სოლიდარული მოვალე შეასრულებს, წარმოეშობა მოთხოვნის უფლება მეორე სოლიდარული მოვალის მიმართ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამ უკანასკნელს, ვალდებულება უნდა შეესრულებინა.

## **8. დირექტორის, პარტნიორისა და სანარმოს პასუხისმგებლობის სახე ერთმანეთთან და კრედიტორთან მიმართებაში**

როგორც აღინიშნა, ბრალეული დირექტორი და პარტნიორი სოლიდარული მოვალეები ხდებიან კრედიტორის მიმართ - გარე ურთიერთობაში და სანარმოს მიმართ - შიდა ურთიერთობაში. შესაბამისად, კრედიტორის თვალსაწიერით პასუხისმგებლობა სუბსიდიურია - მის წინაშეა ორსაფეხუროვან სისტემაში

განლაგებული პასუხისმგებელი სუბიექტები. ხოლო საწარმოს თვალსაწიერიდან, პასუხისმგებლობა არის სოლიდარული - ვინაიდან, მის წინაშეა თანაბარ სიბრტყეზე განლაგებული პასუხისმგებელი პირები. თავად პარტნიორი და დირექტორიც, ერთმანეთის მიმართ, სოლიდარულ მოვალეებს წარმოადგენენ.

## 9. შუალედური დასკვნა

განხილული საკითხიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრედიტორს, საწარმოსა და ბრალეულ დირექტორს / პარტნიორს შორის წარმოშობილ ურთიერთობაში ვხვდებით როგორც სუბსიდიურ, ასევე სოლიდარულ პასუხისმგებლობას.

სოლიდარულია პასუხისმგებლობა, როდესაც ურთიერთობის ერთ მხარეს ცაბმულია რამდენიმე პირი, რომელიც თანაბრადაა ვალდებული შესრულებაზე. ასეთი ურთიერთობა გვაქვს ბრალეულ დირექტორსა და პარტნიორს შორის, რომელთაც ერთობლივი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიაყენეს ზიანი კრედიტორს / საწარმოს. ისინი სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი საწარმოს წინაშე - გარე და ერთმანეთთან - შიდა ურთიერთობაში.

სუბსიდიური პასუხისმგებლობა ორსაფეხუროვანი სტრუქტურით ხასიათდება, კერძოდ განსაზღვრავს პირველ რიგში პასუხისმგებელ და მეორე რიგში პასუხისმგებელ პირებს. ასეთი ურთიერთობა ვხვდება კრედიტორსა და ბრალეულ დირექტორს / პარტნიორს შორის. კერძოდ, დირექტორისა და პარტნიორის მიერ მიყენებული ზიანის გამო, კრედიტორის წინაშე, პირველ რიგში, პასუხისმგებელ პირად გამოდის საწარმო, სწორედ ისაა კრედიტორის მოთხოვნის პირველი სუბიექტი, ხოლო თუ კი ვერ მოხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება საწარმოს მიერ, სამართალი პასუხისმგებელ პირებად ასევე ჩააბამს მეორე რიგში მდგომ დირექტორსა და პარტნიორს. შესაბამისად, ეს უკანასკნელნი, საწარმოსთან ერთად ხდებიან სოლიდარული მოვალეები კრედიტორისათვის.

ასევე, ურთიერთობების დაყოფა შესაძლებელია შიდა და გარე ურთიერთობებად. როდესაც კრედიტორის მოთხოვნას დააკმაყოფილებს საწარმო და დასრულდება გარე ურთიერთობა, ეს უკანასკნელი ხდება კრედიტორი დირექტორისა და პარტნიორისათვის, შიდა ურთიერთობაში. დირექტორისა და პარტნიორისათვის კი საწარმოსთან ურთიერთობა, თავის მხრივ, კიდევ შეიძლება ჩაითვალოს გარე ურთიერთობად. ამ ურთიერთობაში ისინი სოლიდარული მოვალეები არიან. თუ კი ერთ-ერთი მაინც დააკმაყოფილებს საწარმოს მოთხოვნას, დასრულდება საწარმოსთან მათი ურთიერთობა და ისინი ერთმანეთის წინაშე ჩაებმებიან შიდა ურთიერთობაში, ვინაიდან ერთი სოლიდარული მოვალის მიერ მთლიანი

ვალდებულების შესრულება წარმოშობს მოთხოვნას მეორე სოლიდარული მოვალის მიმართ, მთლიანი ვალდებულებიდან, პირველის წილის გამოკლებული ოდენობით.

## დასკვნა

საბოლოო ჯამში, წინამდებარე ნაშრომში, განვიხილეთ პარტნიორისა და ღირეფტორის პასუხისმგებლობის საკითხი, შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმის ბოროტად გამოყენებისა და ღირეფტორის მიერ ფიდუციური მოვალეობების დარღვევის შემთხვევებში, გადასახადებისათვის თავის არიდების დროს.

გადასახადებისათვის თავის არიდების შინაარსის გაანალიზებისას, დადგინდა, რომ დანაშაული მოიცავს განზრახვას, რამაც საშუალება მოგვცა შემდგომი მსჯელობა გაგვეგრძელებინა ამ კონტექსტში.

საგადასახადო ორგანოს მოთხოვნის საფუძველს საწარმოს პარტნიორის მიმართ წარმოადგენს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საგამონაკლისო ნორმა, რომელიც ადგენს პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობის დაყენების შესაძლებლობას, თუ კი ისინი კორპორაციულ სტრუქტურას ბოროტად გამოიყენებენ. სწორედ ეს ნორმაა, იმ სამართლებრივი ბერკეტის შემოქმედი, რომელსაც გამჭოლი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ჰქვია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა სკეპტიკური დამოკიდებულება ამ დოქტრინის მიმართ, ვინაიდან გარკვეული წრეების მოსაზრებით, იგი საფუძველს აცლიდა იურიდიული ოირის სამართალსუბიექტობის ცნებას, თუმცა ნაშრომმა დეტალურად განიხილა გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის თანაარსებობა ისე, რომ არ გამორიცხულა საწარმოს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა. კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის პრივილეგიური ხასიათიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სამართალს მინიმუმამდე დაეყვანა ამ პრივილეგიით ბოროტად სარგებლობა, საჭირო გახდა მისი შემაპირისპირებელი ბერკეტის გაჩენა. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა შექმნილია იმისათვის, რომ შეახსენოს პრივილეგიურულ პირებს, სად გადის მათი მოქმედების საზღვარი. ასეთი საზღვარი, გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში გადის იქ, სადაც პირი იწყებს გადასახადებისათვის თავის არიდების სქემების შექმნას და მასში მონაწილეობას, შეგნებულად, იმ იმედით, რომ კორპორაციული საფარველის წყალობით, იგი დაცული იქნება პასუხისმგებლობისაგან და ვერ მოხდება მისგან შემცირებული თანხის, ასევე საწარმოსათვის დარიცხული სანქციის ამოღება ე.ი იყენებს საწარმოს როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას და ისეთი ქმედებით, რომლის განხორციელებაც აკრძალულია კანონით, ზიანს აყენებს კრედიტორს, ამ შემთხვევაში კი სახელმწიფოს. სახეზე ასევე გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანი შემცირებული გადასახადის

ოდენობით გადაუხდელი ძირი დავალიანება და ძირ თანხაზე, გადახდის ვადაგადაცილებისათვის დარიცხული საურავი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორის მოთხოვნის უფლება ძირ თანხასა და საურავზე, არამხოლოდ მათი განუყოფელი ბუნებიდან გამომდინარეობს, როგორც ეს დაასაბუთა სასამართლომ, არამედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ კორპორაციული საფარველის გარღვევის, ე.ი პრივილეგიის ჩამორთმევის შემდგომ, საზოგადოება განიხილება არა შეზღუდულ, არამედ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. შესაბამისად, აქედან გამომდინარე, თუკი კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ძირი თანხისა და დარიცხული საურავის გადახდა ზოგადად, ჩვეულებრივი სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიმართ, ლოგიკურია, რომ ასევე შეუძლია მოითხოვოს სრული ანაზღაურება პრივილეგიაჩამორთმეული საწარმოს მიმართაც, რომლის გადახდისუუნარობის შემთხვევაშიც, ამ ვალდებულებისათვის პასუხს აგებენ პარტნიორები პირადად. შესაბამისად, პასუხისმგებლობის სახე, ამ შემთხვევაში სუბსიდიურია.

აღსანიშნავია, რომ პარტნიორი, გადასახადებისათვის თავის არიდების სქემის განხორციელებისას, წინააღმდეგობაში მოდის საწარმოს ინტერესებთან, იგი იყენებს საწარმოს, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, თავადვე უგულვებელყოფს ზღვარს საკუთარ და საწარმოს ქონებას შორის, ვინაიდან ითვისებს საწარმოს იმ თანხას, რომელიც ამ უკანასკნელის კრედიტორისათვის იყო განკუთვნილი. კორპორაციული საფარველის წყალობით, ვინაიდან, ჩადენილი უმართლობის შემდეგ, იგი შეძლებს თავიდან აირიდოს პირადი პასუხისმგებლობა და კრედიტორს შეაგებოს საწარმოს ცარიელი სალარო. იგი კრედიტორს აყენებს უსამართლო ზიანს, რომელიც არ დადგებოდა, პირს რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით ემოქმედა.

მოცემული შემთხვევა შეესაბამება კორპორაციული საფარველის გარღვევის უმეტეს წინაპირობას. კერძოდ, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება ალტერნატიული და ინსტრუმენტალური ინდიკატორების არსებობა. ამასთან, დარღვეულია საჯარო წესრიგი და სამართლიანი ბალანსი, ვინაიდან პარტნიორის ქმედებამ უსამართლო ზიანი გამოიწვია, ე.ი ზიანი, რომელსაც ზურგს არ უმაგრებდა სამართლებრივი ნორმა - **სამართლებრივი შედეგი კანონის გარეშე**. გარდა ამისა, ქმედება შეიცავს თაღლითობის ნიშნებს, ვინაიდან საგადასახადო ორგანო, პირებს შეჰყავთ შეცდომაში გაყალბებული, არანამდვილი მონაცემებისა და აღრიცხვის წარდგენის შედეგად. სახეზეა ასევე, მნიშვნელოვანი კონტროლი, ვინაიდან საწარმოს პირადი ინტერესები უარყოფილია და პარტნიორი იმდენად ერევა საწარმოს საქმიანობაში, რომ პირადად განკარგავს საწარმოს სახსრებს და ახორციელებს გადასახადების შემცირების სქემას. ფაქტობრივად შეუძლებელია საწარმოს მიზნების განცალკევება პარტნიორის მიზნებისაგან და ასევე, დარღვეულია ქონების დემარკაციის პრინციპი, რაც შეესაბამება ასევე იდენტურობისა და ქონების აღრევის



ინდიკატორს. ასევე, სახეზეა კორპორაციულ ფორმლობათა დაუცველობა, ვინაიდან, საწარმოში არ ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა სათანადოდ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ერთიანობაში, გვაძლევს საფუძველს, რომ გადასახადებისათვის თავის არიდების შემთხვევაში, პარტნიორის მიმართ, გამოვიყენოთ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა.

რაც შეეხება დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს, ასეთს ადგენს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. კერძოდ ის განსაზღვრავს დირექტორის ფილუციურ მოვალეობათა ორ კატეგორიას - გულმოდგინე ხელმძღვანელისა და ერთგულების მოვალეობას. გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობა გულისხმობს, რომ დირექტორმა უნდა იმოქმედოს საზოგადოების საუკეთესო ინტერესებში, რაც თავის მხრივ მოიცავს მოგებასა და საწარმოს რეპუტაციის დაცვაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს. სწორედ რეპუტაციის დაცვის ფარგლებში ექცევა დირექტორის ვალდებულება, საწარმოს ხელმძღვანელობა განახორციელოს კანონის ფარგლებში. გულმოდგინების მოვალეობასთან მიმართებაში, სამენარმეო გადაწყვეტილების შეფასების მასშტაბად გამოიყენება ე.წ. Business Judgement Rule-რომელიც საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს პირებს, მიიღონ მაღალი რისკის მქონე გადაწყვეტილებები და დარჩნენ დასჯილები პასუხისმგებლობისაგან, თუ კი ისინი გადაწყვეტილების მიღებისას გამოიჩინენ სათანადო გულმოდგინებას გარემოებების შეფასების, გაანალიზებისა და რისკების სათანადო განჭვრეტისას და იმოქმედებენ იმ რწმენით, რომ ასეთი გადაწყვეტილება საწარმოს საუკეთესო ინტერესებშია. სწორედ კანონის დარღვევაა ის, რასაც ვერ გაუძლებს Business Judgement Rule-ის შეფასების კრიტერიუმი, მითუმეტეს ისეთი მძიმე შემთხვევისათვის, როგორც გადასახადებისათვის თავის არიდების სქემაში მონაწილეობაა.

შეიძლება ითქვას, რომ დირექტორის პასუხისმგებლობის დადასტურება გაცილებით მარტივია ვიდრე გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საჭიროების დამტკიცება, მოცემული ვითარებისათვის, იქიდან გამომდინარე, რომ დირექტორის ფილუციური ვალდებულებაა საწარმოს კანონის შესაბამისად მართვა. კანონის დარღვევა კი, ავტომატურად, ფილუციური ვალდებულების დარღვევას იწვევს.

შესაბამისად, დირექტორს პასუხისმგებლობა ეკისრება ფილუციური ვალდებულების დარღვევისათვის, გადასახადებისათვის თავის არიდების დროს.

აღნიშნული დასკვნის შემდეგ, აქტუალური ხდება საკითხი, თუ რა მოცულობით უნდა აგოს დირექტორმა პასუხი და ვის წინაშე. მისი კრედიტორები შეიძლება იყვნენ საწარმო ან საწარმოს კრედიტორი. დირექტორი პასუხისმგებელია საწარმოს წინაშე, მისთვის მიყენებული ზიანის ოდენობით, საწარმოს კრედიტორის მოთხოვნა კი

გამომდინარეობს იმ შემთხვევიდან, როდესაც საწარმო ვერ ახერხებს კრედიტორის მიმართ, დირექტორის მიერ ფილუციური ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს კრედიტორს, შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს დირექტორისაგან მხოლოდ იმ ოდენობის ზიანის ანაზღაურება, რა ოდენობის ზიანიც დირექტორმა მიაყენა საწარმოს. სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, აღსანიშნავია, რომ განვითარებული მსჯელობის საპირისპიროდ, მან დირექტორს, კრედიტორის წინაშე, პასუხისმგებლობა სრულად დააკისრა ძირისა და საურავის სახით.

მოცემულ შემთხვევაში საწარმოს კრედიტორისათვის და საწარმოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობები არ ემთხვევა ერთმანეთს, ვინაიდან საწარმოს კრედიტორმა - სახელმწიფომ ზიანი განიცადა გადაუხდელი ძირი თანხისა და ძირ თანხაზე დარიცხული სანქციის ოდენობით, ხოლო საწარმომ მხოლოდ სანქციის სახით განიცადა ზიანი, იქიდან გამომდინარე, რომ ძირი თანხის გადახდა წარმოადგენს მის ბუნებრივ ვალდებულებას და არა ზიანს, თანაც გადასახადების შემცირებით, პირიქით, იზრდება საწარმოს ბიუჯეტი. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, თუკი დირექტორი გადასახადების შემცირებით დაზოგილ თანხას მიიღებს პირადად, ეს ჩათვლება საწარმოსათვის მიყენებულ ზიანად და მაშინ ცხადი ხდება, რომ საწარმოს შეუძლია დირექტორისაგან, ზიანის სახით, როგორც შემცირებული და მითვისებული თანხის, ასევე დარიცხული სანქციის ოდენობის ანაზღაურებაც მოითხოვოს. შესაბამისად, ასეთი ოდენობის მოთხოვნა წარმოეშობა საწარმოს კრედიტორს.

დირექტორის პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე სუბსიდიურია, ვინაიდან კრედიტორის მოთხოვნის აღრესატი, ზიანის ანაზღაურებაზე, არის საწარმო. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი საწარმოსგან ვერ მოხდება ზიანის ანაზღაურება, კრედიტორს შეუძლია პირადად მოსთხოვოს დირექტორს არსებული ზიანის ანაზღაურება. თუ კი საწარმო შეძლებს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, შიდა ურთიერთობაში, მას უფლება აქვს დირექტორს მოსთხოვოს ანაზღაურება მიყენებული ზიანისათვის.

შეტამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორსაც განზრახი ქმედებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი წარმოადგენს, შესაძლებელია პარტნიორისა და დირექტორის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებაც, სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის პარალელურად, ვინაიდან, როდესაც დანაშაულებრივი ქმედებით დარღვეულია სამოქალაქო სამართლებრივი წესრიგი და წონასწორობა, აუცილებელია, რომ სამართალმა იმოქმედოს სამართლიანობის აღდგენისათვის.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1. ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006.
2. ჭანტურია ლ., კანონის მენარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში, ს. ჯორბენაძის 70წ. საიუბილეო კრებული, 1996.
3. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2002.
4. ბურდული ი., სამენარმეო (სავაჭრო) სამართლის განვითარება საქართველოსა და გერმანიაში (შედარებითი სამართლებრივი კვლევა), თბილისი, 2007.
5. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2002.
6. როგავა ზ., საგადასახადო სამართალი (წიგნი III), თბილისი, 2017.
7. თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, 2014.
8. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე კ., ბოლქვაძე ბ., საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი (წიგნი I), თბილისი 2012.
9. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I), თბილისი, 2014.

10. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2018, 83.
11. მახარობლიშვილი გ., მენარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამოჭვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი N2, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2012.
12. ზუბიტაშვილი ნ., პარტნიორის პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებებისათვის საზოგადოების გადახდისუნარობის დროს - გამონაკლისი შემთხვევები პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპიდან, თბილისი, 2016.
13. გვარამაძე თ., სანქციები საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის, სამართლის ჟურნალი N2, ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2012.

### **გამოყენებული ლიტერატურა უცხოურ ენაზე:**

1. Maizes, Limited Liability Companies: A Critique, St. John's Law Review: Vol.70:Iss.3, Article 3, 1996.
2. McPherson, Raja, An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45 Wake Forest Law Review 931, 2010.
3. Hansmann, Kraakman, Squire, Law and Rise of the Firm, Harvard Law Review, Vol.119, No 5, 2006.
4. John H. Matheson, The Limitations of Limited Liability: Lessons for Entrepreneurs (and Their Attorneys), Minnesota Journal of Business Law and Entrepreneurship, 2003.
5. Klein William A., Coffee John C, JR., Partnoy F., Business Organization and Finance, 2010.
6. Gevurtz Franklin A., Corporation Law.
7. Cox James D., Hazen Thomas L., Business Organizations Law, 2011.
8. Cooke J., Law of Tort (Fifth Edition).
9. Schneeman A., The Law of Corporations and Othet Business Organizations (Fifth Edition).
10. Macey Jonathan R., Corporate Governance.
11. Stefan H C Lo, Piercing of the Corporate Veil for Evasion of Tort Obligations, 2017.
12. McCulloch J., Tweedale G., the Indefensible: The Global Asbestos Industry and Its Fight for Survival, Oxford University Press: Oxford ,2008.
13. Hofstetter, Parent responsibility for Subsidiary Corporations, Evaluating European Trends, 39 International and Comparative Law Quarterly.

14. Dobson, Lifting the Veil in four Countries: the Law of Argentina, England, France and United States, International and Comparative Law Quarterly, Vol. 35. No.4 1986.
15. Presser, Piercing the Corporate Veil, 2011.
16. Knieper Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten.
17. Knieper Die Regelung von Sorgfaltspflichten und Verantwortlichkeit in den Gesellschaftsrechten der Transformationsstaaten.
18. Elsing/Van Alstine, US-amerikanisches Handels – und Wirtschaftsrecht.Rn.
19. Mertens in Kölner Kommentar zum Aktiengesetz (1996 ) §93
20. Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen.
21. Hefermehl/Spindler in MunchKommAktG (2004) §93.
22. Bisson, Frank, Die Strafbarkeit des Geschäftsführers oder Liquidators einer GmbH wegen Insolvenzverschleppung. GmbHHR 13/2005.

**ჭსაქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება Nას-1307-1245-2014.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება Nას-1158-1104-2014.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება Nას-238-224-2010.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-813-764-2015.

**საზღვარგარეთის სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. Saloman v. A Saloman & Co Ltd [1897] AC 22.
2. Adams v Cape Industries PLC [1990] Ch 443
3. Tiu Shi Kian v Red Rose Restaurant Sdn Bhd [1984].
4. Craig v Lake Asbestos of Quebec Ltd., 541 F. Supp.182 [1982]
5. Artedomus v. del Casale (2006) 68 IPR 577
6. Miller v. AT&T, 507 F.2d 759 (3d Cir. 1874)

**სტატიები ქართულ ენაზე:**

1. გოგელია ვ., თორბს-მოსაზრება, შეუზღუდავი პასუხისმგებლობა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში.
2. ბურდული ი., ეგნატაშვილი დ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 28.12.2015, მუხ.24.

#### **სტატიები ინგლისურ ენაზე:**

1. Recovery of Tax by Lifting the Corporate Veil, 2013
2. Richards D. Piercing the corporate veil: Supreme Court Clarifies the English Law Position, 23.09.2013;
3. Charles B., Brittany N., The Five Most Common Ways to Pierce the Corporate Veil and Impose Personal Liability for Corporate Debts, 2016.
4. Janine M. Lloyd, The Limitations of Limited Liability, 2017.
5. Shreya R., The ITAT Ruling in the NDTV Case: Piercing the Corporate Veil in Tax Matters, 2017.
6. Wibberley J., Chambers G., Di Gioia M., Lifting, Piercing and Sidestepping the Corporate Veil.
7. Anderson P., The Corporate Veil, 2017.
8. Taylor A., Piercing the Corporate Veil and Fraud, 2013.

#### **ნორმატიული მასალა ქართულ ენაზე:**

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
7. გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის

#### **ნორმატიული მასალა უცხოურ ენაზე:**

1. Companies Act (2006)
2. Model Business Corporation Act (MBCA)
3. Revised Model Business Corporation Act (RMBC)
4. American Legal Institute (ALI) Principles of Corporate Governance

#### **გამოყენებული ინტერნეტ-რესურსი:**

1. [www.forbes.ge](http://www.forbes.ge)
2. [www.legislation.gov.uk](http://www.legislation.gov.uk)
3. [www.americanbar.org](http://www.americanbar.org)
4. [www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)
5. [www.info.court.ge](http://www.info.court.ge)
6. [www.supremecourt](http://www.supremecourt)
7. [www.gccc.ge](http://www.gccc.ge)
8. [www.Dictionary.law.com](http://www.Dictionary.law.com)
9. [www.tax.findlaw.com](http://www.tax.findlaw.com)